ცნობილია, რომ დაკვეთის ეკონომიკური ზომის ტრადიციული კონცეფცია ხშირად სრულად ვერ ასახავს წარმოებისა და განაწილების მოთხოვნებს. რის შედეგადაც წარმოიქმნება მარაგების ზედმეტი დონე თავის მხრივ მასალებისა და ნედლეულის შესყიდვა მჭიდროდად დაკავშირებული კრედიტორების ანგარიშებზე. ლოჯისტიკის თვალსაზრისით, ასეთი ანგარიშები წარმოადგენს ფირმის ბალანსის ძირითად ელემენტებს და გავლენას ახდენენ მათ საბრუნვაზ კაპიტალზე. შესაბამისად, შესყიდვების და წარმოების მართვის ინტეგრაციამ, როგორც ლოჯისტიკური სტრატეგი

გიის შემადგენელმა ნაწილმა – შეიძლება მოგვცეს დადებითი უფერტი, რაც დამტკიცებულია პრაქტიკულად. ფირმებში, რომლებიც, მარაგების ხარჯვის სტადიები შეესაბამებიან მასალებსა და ნედლეულზე არსებულ მოთხოვნებს, მცირდება ლორჯისტიკური დანახარჯები, შესაბამისად მაღალია ინვესტიციური კაპიტალის გამოყენების მაჩვენებელი.

საწყობების, სატრანსპორტო საშუალებების და ლოჯისტიკური სისტემების სხვა ელემენტების იჯარა მოიჯარებისთვის წარმოადგენს მიმდინარე ხარჯებს. ძირითადი კაპიტალის შეცვლა მიმდინარე ხარჯებით, მიიღწევა სხვა მომსახურების ფირმების მოზიდვით, დასაწყობების თუ გადაზიდვის ოპერაციების შესასრულრბლად, ამ სამუშაოების განხორციელებისთვის საკუთარი საშუალებების ყიდვის ხაცვლად.

ლოჯისტიკის სფეროში ბაზრის ფართო დიაპაზონისთვის (სასურსათო საქონლის ბაზრიდან, კაპიტალტევად პროდუქტიამდე) ჩატარებული გამოკვლევები ცხადყოფს, რომ ფირმა – პროდუქტები და შეამავლები ფლობენ საკმაოდ ფართო შესაძლებლობებს მომხმარებელებისთვის ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად. თუმცა ეს შესაძლებლობები შეიძლება რეალიზებული იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ლოჯისტიკური სისტემების ფუნქციონირება სრული მოცულობით მრიენტირებულია ბაზარზე.

ზემოთ განხილული საკითხები გვაძლევს იმის მტკიცების საშუალებას, რომ ლოჯისტიკის მიზანი ცდებამ ხოლოდ მოცდენების შემცირებისა და მოგების ზრდის ჩარჩოებს. აქედან გამომდინარე, ფირმის კონკურენტუნარიანობის კონცეფცია მდგომარეობს კონკურენტული უპირატესობის მიღებაში, დამატებითი მომსახურების გაწევისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების ხარჯზე. გარკვეული დროის შემდეგ ფირმების უმრავლესობის მიერ აღნიშნული კონცეფციების გამოყენებისას, დანახარჯების შემცირება შეიძლება ისევ აღმოჩნდეს უპირველეს საქმიანობად, მაგრამ უკვე სხვა ფაქტორების საფუძველზე. შესაბამისად, ფირმის კონკურენტუნარიანობის ამაღლება ლოჯისტიკის ხარჯზე – ესაა უწყვეტი და დინამიური პროცესი.

ახლა განვიხილოთ რამდენიმე ლოჯისტიკური მიღვომა ანუ კონცეფცია, რომლებიც განაპირობებენ საწარმოებისა თუ ფირმების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას:

დასავლელმა მეცნიერებმა შეიმუშავეს რამოდენიმე ლოჯისტიკური კონცეფცია, რომლებიც უკვე წარმატებით გამოიყენება მრავალი ცნობილი კომპანიებისა და კორპორაციების მიერ. ამ კონცეფციების დანერგვამ მნიშნელოვანი კონკურენტული უპირატესობები მისცა მათ და ასევე მათ მიერ წარმოებულ საქონელს, საშუალება მისცა აღნიშნული საწარმოები და კომპანიები გამხდარიყვნას ლიდერები წარმოების თავიანთ დარგში. ქვემოთ მოყვანილია დღესდღეისობით ყველაზე ხშირად გამოყენებადი კონცეფციების და მათი დანერგვის მაგალითები კონკრეტულ საწარმოებში.

პირველი კონცეფციაა – „უსტინტიმე“ ”ზუსტად ღროში“. აღნიშნული კონცეფცია ფართოდ გაფრცელებულია, ის ჩამოყალიბდა 50-იანი წლების ბოლოს, როდესაც იაპონურმა კომპანიამ «Toyota motors» დაიწყო „kanbani“-ს KANBAN-ის სისტემის აქტიური დანერგვა. (KANBAN – იაპონური სახელწოდება, გავრცელებულია დასავლეთში და იაპონურად ნიშნავს ”რუკას“). კონცეფციის სლოგანს წარმოადგენს პოტენციური მარაგების გამორიცხვა, მასალების, ნაწილების და ნახევარფაბრიკატიკაზე დამტკიცების წარმოების პროცესში. ამ კონცეფციის შექმნის თავდაპირველი მიზანი იყო ის, რომ თუ წარმოების გეგმა (განრიგი) შედგენილია და გადაცემულია შემსრულებლებისთვის, მაშინ შესაძლებელია პროცესის ისე ორგანიზება, რომ საწარმოში ყველა მასალა და ნახევარფაბრიკატი მიეწოდოს საჭირო რაოდენობით, საჭირო აღგილას და ზუსტად დათქმულ დროს, საქონლის წარმოებისთვის ან მზა პროდუქციის აწყობისათვის. ამისათვის საჭიროა მონაცემების თერატოული გადაცემა ქვეგანყოფილებებს შორის და მაკომპლექტებელი ნაკეთობების მომწოდებლების სწორი კოორდინაცია. აღნიშნული კონცეფციის გამოყენება მნიშნელოვნად აუმჯობესებს გამოშვებული პროდუქციის ხარისხს, ამცირებს წარმოების ხარჯებს, პრაქტიკულად კვეცავს სადაზღვეო მარაგებს და ასევე აჩქარებს საბრუნავი კაპიტალის ბრუნვას ფირმაში.

ასევე, განვიხილოთ მაკროლოჯისტიკური კონცეფცია ერთ-ერთი და მარაგება. ეს მიღვომა ითვალისწინებს შემდეგი ძირითადი კომპონენტების ერთობლიობას: პროდუქციის მაღალი ხარისხის საჭიროობა, საწარმოო პარტიების მცირე ზომა, მარაგების დაბალი დონე, მაღალკვალიფიციური პერსონალი და მოქნილი ტექნოლოგიები. ამ კონცეფციამ თავისი დასახელება „ზუსტი წარმოება“ მიიღო, იმიტომ რომ მასიური წარმოებისგან განსხვავებით მოითხოვს მნიშნელოვნად ნაკლებ რესურსებს – მცირე მარაგებს, ერთეული პროდუქციის წარმოებისთვის საჭირო მცირე დროს, ნაკლები დანახარჯები წუნდებული პროდუქციიდან და ა. შ. ამგვარად, „ზუსტი წარმოება“ აერთიანებს მასიური წარმოების (წარმოების დიდი მოცულობა – დაბალი თვითღირებულება) და მცირე სერიული წარმოების უპირატესებებს (პროდუქციის მრავალფეროვნება – მოქნილი ასორტიმენტი).

დასასრულს, მინდა ავღინიშნო, რომ ლოჯისტიკა არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშნელოვანი და უფასო წარმატებით გამოიყენება მრავალი ცნობილი კომპანიებისა და კორპორაციების მიერ. ამ კონცეფციების დანერგვამ მნიშნელოვანი კონკურენტული უპირატესებები მისცა მათ და ასევე მათ მიერ წარმოებულ საქონელს, საშუალება მისცა აღნიშნული საწარმოები და კომპანიები გამხდარიყვნას ლიდერები წარმოების თავიანთ დარგში. ქვემოთ მოყვანილია დღესდღეისობით ყველაზე ხშირად გამოყენებადი კონცეფციების და მათი დანერგვის მაგალითები კონკრეტულ საწარმოების არხე-

ბის ოპტიმალური ფორმირება მნიშვნელოვნად ამ-
ცირებს საერთო დანახარჯებს, რასაც საბოლოო
ჯამში მივყავართ ფირმის კონკურენტუნარიანო-

ბის ამაღლებასთან, იმ ორგანიზაციებთან შედა-
რებით, რომლებიც იგნორირებას უკეთებენ ლო-
ჯისტიკურ მიღებობის გამოყენებას მართვაში.

ლიტერატურა/ REFERENCES

1. ტეშელაშვილი გ., ხმალაძე გ., „ლოგისტიკის საფუძვლები“ – «თბილისი» 2004 წ. [Tkeshelashvili G. Khmaladze G. «Logistics Principles» - «Tbilisi» 2004];
2. მამულაძე რ., ვარდმანიძე ჯ., „ლოგისტიკური კონცეპციები – წარმატებული ბიზნესის გარანტი“. ბათუმის საზღვაო აკადემია, შრომები II, 2008 წ. [2. Mamuladze R., Vardmanidze J., «Logistics Concepts - Successful Business Guarantee». Batumi Maritime Academy, Works II, 2008];
3. მამულაძე რ. გაბაიძე გ., „ლოგისტიკა“ – ს.ს. «გამომცემლობა აჭარა» ბათუმი 2013 წ. [3. Mamuladze R., Gabaidze M., “Logistics” - JSC «Publishing House Adjara» Batumi 2013];
4. Аникин Б.А., Тяпухин А.П., Коммерческая логистика – «Москва » 2007 г. [4. Anikin B.A. Tyapukhin A.P. Commercial logistics - “Moscow” 2007];
5. Алесинская Т.В., Основы логистики. Функциональные области логистики – «Таганрог» 2010г. [5. Alesinskaya TV, Foundations of Logistics. Functional areas of logistics - “Taganrog” 2010.];
6. Дегтяренко В. Н., Основы логистики маркетинга – «Ростов»2011г. [6. Degtyarenko VN, Foundations of Logistics Marketing - “Rostov” 2011.];
7. Шехтер Д. Логистика. Искусство управления цепочками поставок / Д. Шехтерю – М.: Альпина, 2013 г. [Shekhter D. Logistics. The art of supply chain management / D. Shekhter - Moscow: Alpina, 2013];
8. Сербин В.Д., Основы логистики - «Таганрог» 2004 г. [Serbin V.D., Basics of Logistics - “Taganrog”, 2004.];

პათუმის გოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურის დროის მართვის თავისებურებები

TIME MANAGEMENT PECULIARITIES OF BATUMI SHOTA RUSTAVELI STATE UNIVERSITY MA STUDENTS

ნატალია ხარაძე

გეონომიკის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის
სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ეკატერინე გულა

გეონომიკის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის
სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასისტენტი პროფესორი

NATALIA KHARADZE

PhD in Economics, Associated Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University.

EKATERINE GULUA

PhD in Economics, Assistant Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University.

ანოტაცია

დროის სწორი გამოყენება, თავისუფალი დროის მართვა, ჯანსაღი ცხოვრების წესი სრულ-ფასოვანი შრომითი რესურსის მიღების საფუძველია. მათი ფსიქიკური თუ ფიზიკური მდგომარეობა დამოკიდებულია დროის სწორ განაწილებაზე.

ნაშრომი ეხება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტების დროის ბიუჯეტის კვლევას.

კვლევა ჩატარდა საქართველოს მასშტაბით 523 მაგისტრზე. ანკეტა მოიცავდა 37 კითხვას და პასუხის 117 ვარიანტს, კვლევის შედეგები დამუშავებულია "SPSS Statistics" პროგრამაში. მსგავსი მასშტაბის კვლევა აღნიშნულ საკითხზე საქართველოში ჩატარდა პირველად.

კვლევის შედეგად დადგინდა თვითმენეჯმენტის კულტურა პოტენციურ და რეალურ შრომით რესურსში; მიღებული შედეგების საფუძველზე შემუშავდა სათანადო რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: დრო, მეჯეჯმენტი, კვლევა, მაგისტრი, თავისუფალი დრო, თვითმენეჯმენტი.

Abstract

Proper usage of the time, leisure time management and healthy lifestyle is basic of preparing valuable work force. Their physical and mental condition depends on proper time management.

The article presents the time management research of MA students' of Batumi Shota Rustaveli State university.

The object of our study was wholly 523 MA students in Georgia. The questionnaire consisted of 37 questions with 117 possible answers. The results of this research are processed by "SPSS Statistics" program. It was the first time that such a large scale research had been conducted in Georgia.

The study has revealed peculiarities of real self-management culture in real and potential labor resources; Based on the analysis the relevant recommendations were developed.

Keywords: Time, management, research, MA student, leisure time, self-management

ჩვენს მიერ წარმოდგენილი ნაშრომი ეხება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მაგისტრის დროის ბიუჯეტის კვლევას და შედარებითი ანალიზს საქართველოს ზოგად სურათობას. რიგ შემთხვევებში, გამოიკვეთა დადებითი ტენდენციას სხვა უნივერსიტეტებთან შედარებით.

ანკეტა მოიცავდა 37 კითხვას და პასუხის 117 გარიანტს, მსგავსი მაშტაბის კვლევა აღნიშნულ საკითხზე საქართველოში ჩატარდა პირველად. კვლევის შედეგები დამუშავებულია "SPSS Statistics" პროგრამაში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აღნიშნულ ფაკულტეტზე ირიცხებოდა 522 მაგისტრი და გამოიკითხა-313; საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ირიცხებოდა - 401, გამოიკითხა-11; გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში ირიცხებოდა 40, გამოიკითხა -37; თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში ირიცხებოდა 99, გამოიკითხა 35 მაგისტრი.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოკითხულ რესპონდენტთა 62,9% იყო მდედრობითი, ხოლო 37,1% მამართობითი სქესის წარმომადგენელი. 77,1% პირველი კურსის, ხოლო 22,9% - მეორეკურსის მაგისტრი, რაც ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ მეორე კურსელთა დასაქმების მაჩვენებელი არის მაღალი და ვერ ახერხებებს ლექცია-სემინარებზე დასწრებას. კვლევის საერთო მონაცემებში კი კურსების მიხედვით გამოკითხულ რესპონდენტთა რაოდენობა თითქმის თანაბარია, კერძოდ პირველი კურსი- 51,6%, მეორე კურსი-48,4%.

არსებული დროის რესურსის უკმარისობას მწვევდ განიცდის რესპონდენტთა 81,7% და სრულად ყოფნის დრო მხოლოდ 14,3%-ს. აღნიშნული მაჩვენებელი საერთო რესპონდენტთა მონაცემების ანალოგიურია, კერძოდ, სრულად ყოფნის დროის რესურსი გამოკითხულ რესპონდენტთა 14,5%, რაც საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ პრობლემა ერთნაირად მტკიცნეულია ნებისმიერი მაგისტრანტისთვის.

მეცნიერთა გარკვეული ნაწილი, მაგალითად მარკუსი, ჰიუსტონი (Marquis and Huston) და ზოგიერთი ქართველი მეცნიერი, მ. შ. კახაბერ ჯაფელი ემიჯნება იმ აზრს, რომ დრო შეიძლება მართო, რადგან ადამიანებს შეუძლიათ მართონ მხოლოდ მოვლენები, რომლებიც დაკავშირებულია დროსთან და არა თვით დრო. ბეიკერი და მასტრიკი (Becker and Mustric) დროის მართვის ორ

მიმართულებას განიხილავენ: რაოდენობრივ და ხარისხობრივ ვექტორებს. მაკავიმ, დრაკერმა და ლეიკინმა (McCay, Drucker, Lakein) მნიშვნელოვანი კვლევები მიუძღვნეს დროის მართვის საკითხებს. მათ შემცირებული დროის მართვის სასწავლო პროგრამები და მეთოდები, როგორიცაა ყველასათვის ცნობილი - „შესახრულებელ სამუშაოთა ნუსხის შედეგების მეთოდი“ („to-do lists“), მთავარი მათ შორის არის დროის პროდუქტიულობის განსაზღვრა რა თქმა უნდა იდივიდუალური შესაძლებლობების და პირობების გათვალისწინებით. კვლევის მიზანი სწორედ პროდუქტიულობის დადგენას ემსახურებოდა.


ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოკითხულ მაგისტრანთა 80% არის დასაქმებული და მხოლოდ 20% - დაუსაქმებელი. საერთო კვლევაშიც დაფიქსირდა მსგავსი მონაცემი: დასაქმებული - 81,6% და დაუსაქმებელი - 18,4%-ია. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოკითხულ მაგისტრანტთა 60% სრულ განაკვეთზე არის დასაქმებული. ასეთი მაჩვენებლის პირობებში გასაკვირი არ არის, რომ გართულდა რესპონდენტთა გამოკითხვა, რაც ყველა უნივერსიტეტს მეტნაკლებად თანაბრად შეეხება.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ 82,8% სამუშაო საქმეების გაკეთებას ვერ ახერხებს სახლში და სამუშაო ადგილზე მაქსიმალურად არიან დატვირთულები. სამუშაოს სახლში იგრძელებს მხოლოდ 17,1%, რაც საერთო კვლევის მაჩვენებელს მცირედ აღემატება. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ რესპონდენტთა 34,3% სასწავლო დისციპლინების მომზადებას სამუშაოს ხარჯზე ახდენს (იგივე მაჩვენებელი საერთო კვლევაში 16,8%-ია), შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შრომის ორგანიზაციის კუთხით გარკვეული სარვეზები არსებობს.

მაგისტრანტისთვის მნიშვნელოვანი და უპირველესი საქმე განათლება და სწავლაზე დახარჯული დრო უნდა იყოს. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ გამოკითხულ მაგისტრანტთა 22,9% ამ საქმიანობას დღეში მხოლოდ ერთ საათს უთმობს, რაც სამუშაოზე დატვირთვის მაღალი მაჩვენებლით არის გამოწვეული. სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ სწავლის პროცესში დამატებითი მასალის მომზადებას რესპონდენტთა 28,6% ხშირად ახერხებს და რამდენიმე უნივერსიტეტის ანალოგიურ მაჩვენებელზე საშუალოდ 11%-ით მეტია. (იხ. დიაგრამა 1)

სასწავლო დისციპლინების მომზადებისას სარგებლობთ და მატებითი სახელმძღვანელოებითაც?

■ ხშირად ■ ზოგჯერ ■ თითქმის არასდროს



დიაგრამა 1. დამატებითი მასალის გამოყენების და წიგნთან მუშაობის მაჩვენებელი

ლექცია-სემინარებზე დასწრების აქტივობა საკმაოდ დაბალია. კერძოდ, ერთ-ორ ლექციას ესწრება რესპონდენტთა 65%. სხვა საერთო კვლევაში აღნიშნული მაჩვენებელი არის 69,6%. კვლევა აჩვენებს რომ წამყვან უნივერსიტეტში ლექცია-სემინარებზე დასწრების აქტივობა არის დაბალი, რაც გამოწვეულია მაგისტრანტთა მასობრივი დასაქმებით და დაძაბულობის მაღალი ხარისხით.


სწავლისა და საქმიანობის შეთავსება საკმაოდ რთული პროცესია და დაგემჭვის გარეშე კიდევ უფრო რთული ხდება. ბათუმის უნივერსიტეტის მაგისტრანტთა 62,9% ხშირად გეგმავს სამუშაო დღეს და საერთო მაჩვენებელს 3,1 ერთეულით აღმატება. რაც შეეხება კვირის დაგეგმვას, ხშირად მას მხოლოდ რესპონდენტთა 42,9% ახერხებს და კიდევ უფრო დაბალია დროის დიდი პერიოდის დაგეგმვის მაჩვენებელი. კერძოდ, ერთ წელს გეგმვას - 25,7%. დროის პერიოდის ზრდასთან ერთად დაგეგმვის პროცესზე უარის

თქმა ერთნაირად ახასიათებთ რესპონდენტებს ყველა უნივერსიტეტში.

დაზაბული რეჟიმის პირობებში მნიშვნელოვანია თავისუფალი დროის გამოყენება და მართვა ენერგიის აღსადგენად. თუმცა კვლევამ აჩვენა, რომ დასვენების და თავისუფალი დროის მართვის კულტურა არ არსებობს და ხშირ შემთხვევაში თავისუფალი დროის ხარჯვა ხდება კომპიუტერთან. რესპონდენტთა 45,7% საერთოდ არ ახდენს თავისუფალი დროის გამონთავისუფლებას ენერგიის აღდგენის მიზნით, (ი.e. დიაგრამა 2). აღნიშნული მაჩვენებელი საერთო კვლევაში არის 28,9 %. რესპონდენტთა 22,9% აღნიშნავს, რომ არა მხოლოდ დღის მანძილზე არ ახდენენ თავისუფალი დროით სარგებლობას, არამედ არ/ვერ ახერხებენ შაბათ-კვირას განტვირთვას. ასევე დაბალია სპორტულ აქტივობებში ჩართულობის ხარისხიც. კერძოდ რესპონდენტთა 11,4 % არის დაკავებული სპორტით და მხოლოდ მოყვარულთა დონეზე.

დღის მანძილზე გაქვთ გამოყოფილი დრო დასასვენებლად?

■ ხშირად ■ ზოგჯერ ■ თითქმის არასდროს



დიაგრამა 2 თავისუფალი დროის მართვა

შრომითი რესურსის ეფექტიანობაზე გავლენას ახდენს ჯანსაღი ცხოვრების წესი. შეუძლებელია ძილის დადგენილი რეაქტის დარღვევის ფონზე ახალგაზრდამ მოახერხოს საკუთარი პოტენციალის სრულად გამოყენება. კვლევამ აჩვენა, რომ რესპონდენტთა 17,1%-ს უჟ საათზე ნაკლები სძინავს. მაშინ როცა აღნიშნული მაჩვენებელი საერთო კვლევაში 8,2 %-ია. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ შედეგი გამოწვეულია რეგიონის თავისებურებიდან გამომდინარე. ტურისტული ზონის რეგიონში მაღალია გართობის საშუალებები ბარებში. აღნიშნულ ვარაუდს ამყარებს, ის ფაქტი რომ 01-02 საათის შემდეგ იძინებს რესპონდენტთა ყველაზე მაღალი პროცენტი, ბათუმის უნივერსიტეტის მაგისტრების შემთხვევაში -31,4%, საერთო კვლევაში კი აღნიშნული მაჩვენებელი 27,7% ია.

ჯანსაღი შრომითი რესურსის ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს სრულფასოვანი კვება. კვლევამ აჩვენა, რომ სრულფასოვნად 3-4 ჯერ იკვებება რესპონდენტთა 42,9%, რაც საერთო მაჩვენებელზე (27,4%) მაღალია.

სტუდენტურ აქტივობაში ხშირად არის ჩართული რესპონდენტთა მხოლოდ 2,9%, რაც შესაძლოა აიხსნას მათი ოჯახური სტატუსით.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ გამოკითხულ რესპონდენტთა 25,7% არის დაოჯახებული, მაშინ როცა საერთო კვლევაში ეს მაჩვენებელი 13,8%-ია. მსგავსი მაჩვენებელი დაფიქსირდა თელავის უნივერსიტეტში-25,9%, ხოლო დანარჩენ უნივერსიტეტში აღნიშნული მაჩვენებელი მკვეთრად დაბალია.

კვლევის შედეგად დადგინდა რომ გამოკითხულ რესპონდენტთა 54,3% მუშაობს პროფესიის შესაბამისად, 45,7 - კი არა. აღნიშნული პრობლემა ეხება ყველა უნივერსიტეტს.

რესპონდენტთა 34,3%-ს ხშირად უწევს დაგეგმოლი საქმის შეცვლა, რაც საერთო კვლევასთან შედარებით მაღალი მაჩვენებელია, მთლიან კვლევაში გამოჩნდა, რომ დაგეგმილი საქმის გადაღება და შეცვლა ხშირად მხოლოდ 9,4 %-ს უწევს. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ უსისიტემო მუშაობის მიზეზი შესაძლოა იყოს ის ფაქტი, რომ დაოჯახებულ რესპონდენტთა ყველაზე მაღალი პროცენტი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტებში დაფიქსირდა.

ტრანსპორტში დახარჯული დრო გაცილებით ნაკლებია ბათუმის უნივერსიტეტის მაგისტრებისათვის. კერძოდ, ერთ საოზე ნაკლებს ხარჯავს რესპონდენტთა 48,6%. საერთო კვლევაში აღნიშნული მაჩვენებელი არის 32,9%. აღნიშნული მაჩვენებელი შესაძლოა აიხსნას ქალაქის მასშტაბით.

დროის დანაკარგების მიზეზების ანალიზს ახდენს რესპონდენტთა 42,9%. საერთო კვლევაში აღნიშნული მაჩვენებელი 33,8%-ა. დროის დანა-

კარგების მიზეზების ანალიზი საშუალებას იძლევა აღმოფენან დროის „მტაცებლები“ და ოპტიმალურად გაანაწილონ დრო. დროის დანაკარგების მიზეზების გაუთვალისწინებლობის შედეგია ის ფაქტი, რომ 40,0% ერთ საათს ხარჯავს გაუთვალისწინებელი და დაუგეგმავი საქმეების შესრულებაზე, 57,1% კი ერთიდან ორ საათამდე. მსგავსი პრობლემის წინაშე არიან სხვა უნივერსიტეტის მაგისტრანტებიც.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა 62,9% აღნიშნავს, რომ გაცილებით მეტ დროს ხარჯავდნენ სწავლაზე ბაკალავრიატში, ვიდრე მაგისტრატურაში სწავლის პერიოდში. მსგავსი ტენდენცია არის დაფიქსირებული ყველა სასწავლო უნივერსიტეტში.

მაგისტრანტთა უპირველესი მოვალეობის (სწავლის) შესაძლებლობა აიძულებოთ მათ სწავლასთან ერთად დასაქმდნენ დაამ გზით უზრუნველყონ სწავლის საფასურის გადახდა და ოჯახის რჩენა. კვლევამ დაადასტურა რომ 11,4% იხდის საცხოვრებელში გადასახადს, რაც 2,3-ჯერ ნაკლებია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტებთან შედარებით (25,9%) და მცირედით ჩამორჩებატრექნიკური უნივერსიტეტის მაჩვენებელს(14,4%).

საყურადღებო აშემდეგი საკითხების კვლევის ანალიზის შედეგებიც: სტუდენტთა ლექცია-სემინარების დასწრებაზე და ლექცია-სემინარების მომზადების დროის ხანგრძლივობაზე ახდენენ თუ არა გავლენას ისეთი ფაქტორები, როგორიცაა სქესი, მუშაობა კერძო ან სახელმწიფო სექტორში, მუშაობა პროფესიის მიხედვით, და სოციალურ ქსელში მუშაობა. ანალიზისთვის გამოვიყენეთ მრავალფაქტორული დისპერსიული ანალიზი (Multivariate (Multiple analysis of variance, MANOVA)). დისპერსიული ანალიზის საფუძველზე მივიღეთ ცხრილები, რომელთა საფუძველზე მოვახდინეთ სხვადასხვა დაკვნების გამოტანა და ჰიპოთეზების ფორმულირება. ცხრილი 1 გვიჩვენებს, თუ რომელ კონკრეტულ ცვლადზე მოქმედებენ აღნიშნული ფაქტორები. ლევინის ტესტის მიხედვით (ცხრილი 1), სამივე ფაქტორი ერთად გავლენას ახდენს Q11 და Q8 ცვლადებზე და მათთან აღნიშნებათ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი 0,05 დონეზე (P ორივე შემთხვევაში P ნაკლებია 0,05-ზე), ტესტის მიხედვით უფრო მეტ გავლენას ფაქტორები ახდენენ Q11 ცვლადზე. ასე, რომ შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ H1 ჰიპოთეზა: ფაქტორთა ერთობლიობა: სქესი, მუშაობა კერძო ან სახელმწიფო სექტორში, და სოციალურ ქსელში მუშაობის დრო მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ცვლადებზე: Q11 - კვირაში დაახლოებით რამდენ ლექციას ესწრებით და Q8 - დღის მანძილზე რა დროს ანდომებთ ლექცია-სემინარების მომზადებას.

ცხრილი 1. ლევინი ტესტი დისპერსიის ერთგვაროვნებაზე

Levene's Test of Equality of Error Variances ^a	F	df1	df2	Sig.
Q10 დღეში რამდენი საათი ხართ ლექციაზე	1.043	27	474	0.408
Q11 კვირაში დაახლოებით რამდენ ლექციას ესწრებით (საათს)?	1.760	27	474	0.011
Q8 დღის მანძილზე ერადროს ანდომებთ ლექცია- სემინარების მომზადებას	1.754	27	474	0.012

ცალკეული ფაქტორების გავლენის შეფასება Q10, Q11 და Q8 ცვლადებზე:

სქესის გავლენა ცვლადებზე: ამ საკითხის გასაანალიზებლად ვისარგებლეთ დისპერსიული ანალიზით მიღებული ცხრილი 2-ის მონაცემებით. ტესტი აჩვენებს, რომ სქესი გავლენას ახდენს Q10 ცვლადზე სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირით 0,01 დონეზე, და Q8 ცვლადზე სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირით 0,05 დონეზე.

ტიკურად მნიშვნელოვანი კავშირით 0,05 დონეზე, ამასთან, ეტაკოეფიციენტის მიხედვით სქესი Q10 ცვლადზე უფრო მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ვიდრე Q8-ზე. შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ H2 ჰიპოთეზა: სქესი გავლენას ახდენს დღეში ლექცია-სემინარებზე დასწრებისა და ლექცია- სემინარების მომზადების დროის ხანგრძლივობაზე.

ცხრილი 2 ერთგანზომილებიანი ტესტი / Univariate Tests

Dependent Variable დამოკიდებული ცვლადი	Sum of Squares	df	Mean Square	F	Sig.	Partial Eta Squared
Q10 დღეში რამდენი საათი ხართ ლექციაზე	სქესი	5,649	1		11,705	0,001
	ცდ. Error	228,753	474	,483		
Q11 კვირაში დაახლოებით რამდენ ლექციას ესწრებით (საათს)?	სქესი	,010	1	0,01	0,003	0,953
	ცდ. Error	1373,825	474			
Q8 დღის მანძილზე რა დროს ანდომებთ ლექცია- სემინარების მომზადებას	სქესი	1,844	1		4,546	0,034
	Error	192,253	474			

კერძო ან სახელმწიფო სექტორში მუშაობის გავლენის შეფასება Q10, Q11 და Q8 ცვლადებზე. ამ საკითხის გასაანალიზებლად ვისარგებლეთ აგრეთვე დისპერსიული ანალიზით მიღებული ცხრილი 3-ის მონაცემებით, საიდანაც ფორმულირება მივეცით შემდეგ H3 ჰიპოთეზას: კერძო ან სახელმწიფო სექტორში მუშაობა გავლენას ახდენს ლექცია-სემინარებზე დასწრების დროსა და ლექცია-სემინარების მომზადების დროის ხანგრძლივობაზე. ამასთან, Q10 ცვლადთან და Q11 ცვლადთან (კვირაში დაახლოებით რამდენ ლე-

ციის ესწრებით (საათს) კერძო ან სახელმწიფო სექტორში მუშაობის ფაქტორს გააჩნია სტატისტიკურად მაქსიმალური კავშირი 0,001 დონეზე ($P<0.001$), ხოლო Q8 ცვლადთან (დღის მანძილზე რა დროს ანდომებთ ლექცია- სემინარების მომზადებას) სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი 0,01 დონეზე ($P<0.01$). F ტესტისა და Eგერაციული ციენტის მიხედვით კერძო, ან სახელმწიფო სექტორში მუშაობა ყველაზე მეტ გავლენას ახდენს Q10 (დღეში რამდენი საათი ხართ ლექციაზე) ცვლადზე.

ცხრილი 3. ერთგანზომილებიანი ტესტი/Univariate Test

დამოკიდებული ცვლადი Dependent Variable	Sum of Squares	df	Mean Square	F	Sig.	Partial Eta Squared
Q10 სწავლის გარდა, მუშაობთ კერძო ან სახელმწიფო სექტორში?	13,318	1	13,318	27,597	0	0,055
	228,753	474	0,483			
Q11 სწავლის გარდა, მუშაობთ კერძო ან სახელმწიფო სექტორში?	72,747	1	72,747	25,099	0	0,050
	1373,825	474	2,898			
Q8 სწავლის გარდა, მუშაობთ კერძო ან სახელმწიფო სექტორში?	3,109	1	3,109	7,666	0,006	0,016
	192,253	474	0,406			

დისპერსიული ანალიზის შედეგად გამოვლინდა აგრეთვე, დღის მანძილზე სოციალურ ქსელში

მუშაობა გავლენას ახდენს Q11 ცვლადზე (კვირაში დაახლოებით რამდენ ლექციას/საათს ესწრებით) სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირით 0,05 დონეზე (ცხრილი 4).

ცხრილი 4. ერთგანზომილებიანი ტესტი/ UnivariateTests

Dependent Variable დამოკიდებული ცვლადი	Sum of Squares	df		F	Sig.	Partial Eta Squared
Q10 დღის მანძილზე რა დროს ატარებთ სოციალურ ქსელში?	1,334	3	0,445	0,921	0,430	0,006
Error/(ცდომილება	228,753	474	0,483			
Q11 დღის მანძილზე რა დროს ატარებთ სოციალურ ქსელში?	25,559	3	8,520	2,939	0,033	0,018
Error/(ცდომილება	1373,825	474	2,898			
Q8 დღის მანძილზე რა დროს ატარებთ სოციალურ ქსელში?	1,842	3	0,614	1,514	0,210	0,009
Error/(ცდომილება	192,253	474	0,406			

აღნიშნულმა კვლევით გამოვლინდა უამრავი პრობლემა, რომელიც აგრეთვე მოითხოვს სხვადასხვა პროფესიის ადამიანების ჩართვას და რეკორდაციების შემუშავებას. ამ მიზნით კვლევა გადაეცა ექიმებსა და ფსიქოლოგებს. წვენი მხრივ შგვიძლია დაგასცვნათ, რომ დროის მენეჯმენტისადმი არასათანადო დამოკიდებულება ქმნის უამრავ პრობლემას

და მიზანშეწონილად მიგვაჩვინა საბაკალავრო დონეზე თვითმენეჯმენტისა და დროის მენეჯმენტის საკითხების შესწავლის დანერგვა. დასაქმებული მაგისტრანტების სრული განაკვეთით დასაქმების შეზღუდვა; სამაგისტრო სწავლებით უნდა დაკავდნენ მეცნიერებით დაინტერესებული სტუდენტები.

ლიტერატურა/REFERENCES

- 1 ხარაძე ნ., ბადრიძე ვ., „სტუდენტის დროის ბიუჯეტი“ თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2004 წ;2
- 2 შუნ ძი, „ომის ხელოვნება“, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი 2007;
- 3 TracyB, TIME POWER, AMACOM,London 2007;4
- 5 Chapman S. Rupured W. M., Time Managarmet, The University of Georgia, Tbilisi 2008;
- 6 Ward S., Time Management: From the Factory Floor to Our Daily Lives, 2016;
- 7 Kerzner H., “Project Management: A Systems Approach to Planning, Scheduling, and Controlling” John Wiley & Sons ,2009;
- 8 Marquis, B.L. & Huston, C.J. “Leadership roles and management functions in nursing: theory and application” Wolters Kluwer Health, 2009;
- 9 Morgenstern J., Time Management from the Inside Out. 2000;
- 10 Becker, H & Mustric, F. “Can I Have 5 Minutes of Your Time?” Morgan James Publishing, 2008.
- 11 Mancini, M. “Time Management: 24 Techniques to Make Each Minute Work” Mc Grow-Hill 2007, p.8;
- 12 Mc Cay, J. The Management of Time, Prentice Hall, Englewood Cliffs, NJ. 1959
<http://www.studygs.net/timman.htm>;
<http://www.topuniversities.com/blog/7-time-management-tips-students>;
<https://bigfuture.collegeboard.org/get-started/inside-the-classroom/8-ways-to-take-control-of-your-time>.

დისკრეზიტული უფლებამოსილების პრინციპითა მართვის პიროვნეულ სისტემაში

DISCRETIONARY POWERS PRINCIPLES BUREAUCRATIC MANAGEMENT SYSTEM

ხატია გორგილაძე

საჯარო სამართლის მაგისტრი

KHATIA GORGILADZDE

Master of public law

ანოტაცია

სტატიაში განხილულია მართვის ბიუროკრატიული სისტემის არხი და მნიშვნელობა, მისი დადგებითი ეფექტები. განხილულია ბიუროკრატიული სისტემის ვებერისტული შეხედულებები იმის თაობაზე, რომ ბიუროკრატიული სისტემა წარმოადგენს მართვის უნივერსალურ პრინციპებს. ასევე გამახილებულია უფლებები, იმ საინტერესო მიმართულებაზე, რომ მართვის სისტემურობისა და დადგენილი წესების მიუხედავად ბიუროკრატიას ახასიათებს ე.წ. „გაურკვეველი ზონა“, ანუ დისკრეზიტული უფლებამოსილება, რაც გადაწყვეტილების მიღებას (მმართველობა) აძლევს იმ აღტერნატივის საშუალებას, რაც უკლიაზე უფრო მისაღებია. მოსაზრება იმის თაობაზე, რომ დისკრეზიტული უფლებამოსილება სახელისუფლებო ურთიერთობების ფუნქციონირების უნივერსალურ პრინციპს წარმოადგენს. მხოლოდ მაშინ როცა მმართველის მიერ მიღებული არჩევანი გამომდინარეობს საჯარო ინტერესებიდან.

საკვანძო სიტყვები: დისკრეზიტული უფლებამოსილება, ბიუროკრატია, იურისტიული სისტემა, საჯარო ინტერესი, უფლებამოსილი ორგანიზაცია

Abstract

The article deals with the management of the bureaucratic system of the essence and meaning, Its positive effects. Webber's bureaucratic system is discussed in view of The bureaucratic system of management of the universal principles.

Also, Attention is drawn to the interesting aspects of the The management and systematic set of rules regardless of the bureaucracy is characterized by the so-called, "Uncertain zone" or discretionary powers. As a decision-maker (the manager) to the alternative method, Which are more convenient. Views on, That the discretionary power of the universal principle of operation of the power relationship. Only when the manager's choice is due to the public interest.

Keywords: Discretionary powers, Bureaucracy, Hierarchical system, The public interest, Responsible institution

20 საუკუნის დასაწყისში მაქს ვებერმა შეიმუშავა რაციონალური ბიუროკრატიის, როგორც თანამედროვე ორგანიზაციის მართვის ფუნდამენტალური კონცეფცია. აღნიშნული კონცეფცია დაუპირისპირდა პატრიარქალურ, შუასაუკუნოვან აღმინისტრაციას, სადაც რიგითი აღამიანისოვის შეუძლებელი იყო სამართლის მიება, არ არსებობდა საქმეების განხილვის ვადები, საქმისწარმოების სისტემურობა, არ იყო გამოიჯენული უფლებები თანამდებობრივ იერარქიებს შორის, ბუნდოვანი იყო ქვეუწყებების საქმიანობა. მართალია, მართვის ბიუროკრატიული და მოხერხებული იყო. შესაძლებელი იყო პირადი კონტაქტის დამყარება ოფიციალურ პირებთან, რათა მოეგვარებინა თავისი პრობლემა. მათ შორის ყალიბდებოდა თბილი, მეგობრული ურთიერთობები. მაგრამ ასეთ ურთიერთობებში ნაკლოვანები უფრო მეტი იყო.

მაქს ვებერის ბიუროკრატიის თეორიამ მე-20 საუკუნეში დიდი გავლენა მოახდინა ზოგადად მართვის სისტემების განვითარებაზე. ბევრი მეცნიერი, მე-20 საუკუნის 40-50 წლებიდან ფორმალური ორგანიზაციების შესწავლისა და ემპირიული კვლევების განხორციელების დროს მიმართავდნენ ვებერის ბიუროკრატიის მოდელს.

ვებგრისეული რაციონალური ბიუროკრატიასიათდება როგორც ლეგალური ბატონობის (გავლენის)პროცესი. ამ ტიპის ბატონობის განმასხვავებელი ელემენტს წარმოადგენს ფორმალური წესების სისტემის არსებობა,რომელიც არეგულირებს მართველის (ადმინისტრაციული) პერსონალის საქმიანობას. აღნიშნული ფორმალური წესები შესაძლოა შეიცვალოს მიღებული პროცედურების შესაბამისად. როგორც ვებგრი აღნიშნავდა „გადამწყვეტი ჩვენი ტერმინოლოგიისთვის არ ის რომ დამორჩილება ეხლა ეფუძნება არა რწმენას, ქარიზმატული ლიდერის ერთგულენას, გმირს და ა.შ., არამედ“ სამსახურეობრივ მოვალეობას,რომელიც განსაზღვრულია რაციონალურად დაწესებული ნორმებით (კანონებით, წესებით...). მაშასადამებარონობის ლეგიტიმურობა გამოიხატება საყოველთაო,კორექტულად ჩამოყალიბებული და აღიარებული წესებში”.

მ.ვებერმა გამოყო “იდეალური ტიპის”, ბიუროკრატიული მოდელის რამდენიმე თვისება:

შრომის მკაფიოდ გამოხატული დანაწილება,რაც უზრუნველყოფს თანამდებობაზე მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების გამოჩენას;

მართვის დონეების იერარქია,რომლის დროსაც ყოველი ქვედა დონე კონტროლდება ზე და დონის მიერ უქვემდებარება მას;

განზოგადებული ფორმალური წესებისა და სტანდარტების სისტემის შექმნა,არც უზრუნველყოფს თანამშრომელთა მიერ მოვალეობების შესრულების ერთგვაროგნებას და სხვადასხვა ამოცანის კორდინაციას;

თანამშრომელთა სამუშაოზე მიღება კვალიფიკაციურ მოთხოვნებთან მკაცრი შესაბამისობის პირობებში.მუშაკთა დაცვა სამუშაოდან თვითნებური განთავისუფლებისაგან;

საჯარო კანცელარიის არსებობა,სადაც მოთავსებულია ორგანიზაციის წერილობითი დოკუმენტი;

ადმინისტრაციული პირების მომზადების ოფიციალური პროცედურა. შტატიანი თანამშრომლების არსებობა,რომლებისათვის ორგანიზაციის სამუშაო წარმოადგენს მთავარ საქმიანობას (პროფსიული კომპეტენციაზე დამყარებული კარიერული ზრდა);

ერთიანი პოლიტიკა უფლება მოვალეობის სფეროში.დამორჩილება ფორმალურ წესებს და არა პირს,რომელსაც გააჩნია ძალაუფლება;

ლოალობა დადგენილი წესების მიმართ.

ბიუროკრატიული ორგანიზაციები,რომლებიც მეტ-ნაკლებად უახლოვდებიან მართვის სრულყოფილ ტიპს, შესაძლებელია ვიპოვთ თანამედროვე საზოგადოების სხვადასხვა სფეროში: სახელმწიფო მართვის აპარატში,პოლიტიკურ პარტიებში, სასწავლო დაწესებულებებში,სამსახურო სფეროში და ა.შ.

ბიუროკრატიული განრცელება დაკავშირებულია უპირველესყოვლისა იმაზე,რომ ის არის

უფრო ეფექტური,ვიდრე ნებისმიერი მართვის სხვა ფორმა.ყველაფერი ეს ხდის ბიუროკრატიას შეუცვლელ ელემენტად თანამედროვე საზოგადოებაში.

ორგანიზაციის თანამედროვე ფორმების განვითარება, როგორც თვლის ვებგრი, პრაქტიკულად ემთხვევა ბიუროკრატიული მართვის განვითარებას.

განვითარების უპირატესობა სხვა მართვის ფორმებთან განისაზღვრება იმით, რომ ის გამოდის როგორც სპეციალური ცოდნის მატარებელი, რომელიც საჭიროა ნებისმიერი მსხვილი საწარმოს ნორმალური ფუნქციონირებისთვის.

მიუხედავად საყოველთაოდ მიღებული აზრისა,რომ ბიუროკრატია ექვემდებარება მხოლოდ დადგენილ წესებსა და ნორმებს, თანამედროვე ეტაპზე პრაქტიკამ ჩვენა და მეცნიერთა შეხედულებებიც ადასტურებს,რომ ბიუროკრატიულ სისტემას ახასიათებს ასევე უკვე ჩამოყალიბებული და დამკვიდრებული წესების არაფორმალურად,პირადი შეხედულებისამებრ გამოყენების შესაძლებლობა. მიშელ [4.გ.9-15]. ბუროკრატიას განიხილავს, არამხოლოდ როგორც ორგანიზაციის სპეციფიკურ ნიშანს, არამედ სამუშაოს შესრულების აუცილებელ პირობას. მისი შეხედულებით ბიუროკრატია ეს არის სახემწიფო ორგანიზაციის ტიპი და საზოგადოებრივი ცხოვრების სტილი, რაც განსაზღვრავს საზოგადოების განვითარების დინამიურობასა და მოდერნიზაციის პროცესს. ორგანიზაციის ბიუროკრატიული სისტემის რაციონალური სისტემის დარღვევა ანუ დისფუნქციის განალიზებისათვის მიშელ კროზე გვთავაზობს დისტრენიული უფლებამოსილების ცნებას, რაც გულისხმობს, რომ ნებისმიერ ორგანიზაციას თავისი ფორმალური მმართველობის არსებობისათვის გააჩნია ე.წ „გაურკვეველი ზონა“ რასაც როგორც ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ასევე მისი წევრები ხშირ შემთხვევაში იყენებენ საკუთარი თავისი რეალიზებისა და პირადი ინტერესების დაკმაყოფილებისათვის.

კროზე ე.წ „გაურკვეველობის ზონას“ ანუ დისკრეტულ უფლებამოსილებას მიაკუთვნებს:

ექსპერტულ ცოდნასა და გამოცდილებას; დამოკიდებულებებს და ურთიერთობებს ორგანიზაციაში;

კონტროლის ინფორმაციასა და საკომუნიკაციო ქსელზე;

საერთო და საორგანიზაციო წესებს;

დისკრეტული უფლებამოსილების მაგალითებია:

ხლმძღვანელის თანაშემწის უფლებამოსილება (საოველთაოდ აღიარებული მაღალი შესაძლებლები, სტატუსი და უნარი მოახდინოს გაფლენა ხელმძღვანელზე);

ავტორიტეტი და საუკეთესო რჩევის შესაძლებლებები, რითაც ხდება გავლენა მომუშავეებთან;

სამეცნიერო ორგანიზაციაში სიტუაციის განვითარებაზე ავტორიტეტის აკადემიური გავლენა.

დისკრეტული უფლებამოსილება ეს არის სახელისუფლო ურთიერთობების ფუნქციონირება.

ბის უნივერსალური პრინციპი.მთავრობა (სამინისტროები ქვედანაყოფები) დიდწილად საკუთარი შეხედულებებისამებრ იყენებენ მათ ხელთ არსებულ მთლიან რესურსს [3.გვ.,165].

თანამედროვე ეტაპზე, დისკრეციული უფლებამოსილება ქვემდებარება ოფიციალურად დადგენილ ხორმებს და მას განსაზღვრავს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც დისკრეციულობა არის უფებამოსილება,რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თვითს უფლებას, საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ერთ-ერთი ყველაზე უფრო მისაღები გადაწყვეტილება.

დისკრეციული უფლებამოსილების მინიჭება ემსახურება, პირველ რიგში, სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების მიზანს. ხშირ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანო შესაძლო დონისძიებებიდან იყენებს იმას, რომელიც ნაკლები ზიანის მომტანია კონკრეტული პირისათვის და იდებს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსხვავებულ გადაწყვეტილებას ფაქტების ობიექტურად და ყურადღებით შესწავლის საფუძველზე.

დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების პროცესში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საჯარო და კერძო ინტერესების პროპრიეტლობის პრინციპს.

ცალკე აღებული რომელიმე ინტერესისათვის უპირატესობის მინიჭება დაუშვებელია. საჯარო ინტერესებისგათვალისწინებით გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებულ სიკეთეს, გამოყენებულ უნდა იქნას პირის კანონიერი უფლებისთვის ყველაზე

ნაკლები ზიანის მიმყენებელი საშუალება. არჩეულმა ღონისძიებამ არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა, ანუ მიზნის მიღწევის საშუალება უნდა შეესაბამებოდეს მიზანს, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო არ უწევს ანგარიშს კანონმდებლის მიერ მისთვია მინიჭებული მოქმედების თავისუფალ სივრცეს, მის მიერ განხორციელებული მოქმედება უკანონოა და სახეზე გვაქვს შეცდომა დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში, რომელიც ძირითადად სამ შემთხვევაში დგება:

ადმინისტრაციული ორგანო არ იყენებს მისთვის მინიჭებულ დისკრეციულ უფლებამოსილებას, ის უშვებს შეცდომას და მის მიერ განხორციელებული ღონისძიება ხდება უკანონო;

ადმინისტრაციული ორგანო სცილდება მისი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებს და ახორციელებს ისეთი ღონისძიებას, რომელიც კანონით არ არის გათვალისწინებული. სახეზეა უკანონო მმართველობითი საქმიანობა;

ადმინისტრაციული ორგანო ანგარიშს არ უწევს კანონის მიზნებს და არ იყენებს მისთვის მინიჭებულ დისკრეციულ უფლებამოსილებას იმ მიზნისთვის, რაც კანონმდებელმა მასში ჩადო. სახეზეა უკანონო მმართველობითი საქმიანობა-შეცდომა დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში [1.გვ., 3-9].

აქედან გამომდინარე, დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების მართლზომი-ერგება ხშირად წარმოადგენს საკამათო საკითხს ბიუროკრატიული აპარატში მართვის პროცესების განხორციელებასა და ისეთი გადაწყვეტილებების მიღებაში, რაც საჯარო ინტერესებიდან გამომდინარეობს და ამავდროულად იცავს ფიზიკური პირის უფლებებს.

ლიტერატურა/REFERENCES

- 1 რ. სულამანიძე, დისკრეციული უფლებამოსილება, სამოქალაქო ჩართულობის ცენტრი. თბ., 2015;
- 2 Вебер М. Избранные произведения. М., 1990.с.1
- 3 Цветаева В.М. управление персоналом. Спб., 2002, с. 16
- 4 Кроэзе М. Современное государство - скромное государство. Свободная мысль. 1993. С. 9-15.
- 5 R. Sulamanidze, Discretionary power, Center for civil involvement Tb., 2015
- 6 Weber M. Selected works. M., 1990.с.12
- 7 Tsvetaeva V.M Staff management. St. Petersburg., 2002,с.165
- 8 Crozier M. The modern state is a modest state . Free thought. 1993. With. 9-15.

დარგობრივი და რეგიონული ეკონომიკა - SECTORAL AND REGIONAL ECONOMY

სოფლის განვითარების ალტერნატიული შესაძლებლობები

THE ALTERNATIVE POSSIBILITIES OF COUNTRY-SIDE DEVELOPMENT

რეზო მანველიძე

კართველი მეცნიერებათა დოქტორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი

REZO MANVELIDZE

Doctor of Economic Sciences, Professor
Batum Shota Rustaveli State University

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია სოფლის განვითარების ძირითადი ტენდენციები, არსებული საწარმოო სფეროები, ტრადიციული დარგები, რომელიც დღისისათვის წარმოადგენს მოსახლეობის ძირითადი შემოსავლის წყაროს. გაანალიზებულია აჭარაში ფერმერული მეურნეობის ფორმირების ძირითადი ეტაპები.

სტატიაში წარმოდგენილია ბუნებრივი, კულტურული და რეკრიაციული რესურსების არსებული პოტენციალი, მისი გამოყენების შესაძლებლობები და რეალიზაციის ავტორისეული შეხედულებები. კერძოდ მოცემულია ტურისტულ-საკურორტო საწარმოო კომპლექსის შექმნის მიზანშეწონილობისა და განხორციელების მთავარი პარამეტრები.

დასაბუთებულია აჭარის სოფლების მდგრადი განვითარების კომპლექსური პროგრამების შექმნის მიზანშეწონილობა და მოსალოდნებლი სოციალურ-კურომიკური შედეგები, საჭირო ბუნებრივი, ინტელექტუალური და შრომითი პოტენციალის შესაძლებლობები, ინვესტიციების მოზიდვის გზები, შესაბამისი ბიზნესგარემოს შექმნის პირობები.

საკვანძო სიტყვები: მდგრადი, ფერმერი, კომპერატივი, ტურისტული საწარმო-საკურორტო კომპლექსი, საწარმოო სტრუქტურა

Abstract

Here we consider the main tendencies of development of rural areas, existing production spheres, traditional sectors, which nowadays are the main source of income for the population. Also we analyze the main stages of formation of farms in Adjara.

In this article we present the existing potential of the natural, cultural and recreational resources, abilities of its use and the author's views concerning its realization. Particularly, the main parameters of reasonability of starting and development of tourist and health resort business are described in this article.

Also we prove reasonability of development of the complex programs of steady development of the rural areas in Adjara and expected socio-economic results, needed natural, intellectual and labor potential, the ways of mobilization of investments, conditions for creation of the appropriate business environment.

Key Words: Stable; Farmer; Cooperative; Complex of Tourist Industry; Industry Structure.

დღეისათვის კვლავ აქტუალურია სოფლის მდგრადი განვითარების პრინციპების რეალიზაცია. მდგრადი განვითარების ცნებაში მოიაზრება განვითარება, რომელიც უზრუნველყოფს თანამედროვე მოთხოვნებს, რისეის გარეშე. ეროვნული მეურნეობის დარგებს შორის მდგრადი განვითარების განსაკუთრებულ მოთხოვნებს აუკნებს სოფლისა და სატყეო მეურნეობა. მდგრადობის კონცეფცია ორიენტირებულია ადამიანის მოთხოვნილებაზე. აღნიშნული გულისხმობების იმას, რომ ძირითადი საწარმოო კავიტაციის ღირებულება ბუ-

ნებრივ რესურსებში შენარჩუნდება იმ დოზით, რომელიც მომავალი თაობის ცხოვრების მდგრადობას უზრუნველყოფს უკეთესად, ვიდრე ცხოვრობს დღევანდები თაობა. სწორედ მდგრადი განვითარების კონცეფციის რეალიზაცია განაპირობებს დარგის ეკონომიკურ მდგრადობას.

განასხვავებენ მდგრადი ან ალტერნატიული სოფლის მეურნეობის განმარტებებს. მდგრად წარმოებად ითვლება ის დონე, როდესაც დინამიურად მარაგდება მოსახლეობა სასურსათო პროდუქტებით და ამავე დროს შენარჩუნებულია სოფ-

ლის მეურნეობის ეკონომიკური სტაბილურობა. მთლიანად ტერმინი მდგრადი განისაზღვრება, როგორც სტაბილური წარმოება აგროტექნიკურ, ეკოლოგიურ, მიკრო და მაკროეკონომიკურ ღონებზე. მდგრადი სოფლის მეურნეობა მოიცავს წარმოების მართვის ტრადიციულ მეთოდებს შესამებულს მოწინავე ტექნოლოგიურ და ტექნიკურ მიღწევებთან, თანამედროვე მენეჯმენტთან. პრაქტიკაში ხშირად გამოიყენება აგრეთვე ისეთი მცნება, როგორიცაა „organuli სოფლის მეურნეობა“. ამ სახის მეურნეობა მოიცავს საწარმოო სისტემას, რომელიც გამორიცხავს ხელოვნური სასუქის, შესამჩიმიკატების, ზრდის სტიმულატორების და ქიმიური საკვები დანამატების გამოყენებას.

განვითარებული ქვეყნების გამოცდილება მოწმობს, რომ ორგანული სოფლის მეურნეობა უზრუნველყოფს ენერგომატარებლების ეკონომიას, გარემოს დაცვას, აქვს ხანგძლივი მდგრადობისა და ეკონომიკური ეფექტურობის ტენდენცია. ამასთან ის ნაკლებად კაპიტალტევადია, რაც ფერმერებს არ უქმნის დამატებით ხარჯების გადების აუცილებლობას.

სოფლის მეურნეობა დებულობს საქონელს და მომსახურებას სხვა სფეროებიდან, ასევე მიაწვდის პროდუქციას მონათესავე და მათთან დაკავშირებულ დარგებს რეგიონის შიგნით და მის გარეთ, აწარმოებს მომსახურებას, რომელსაც საბაზრო ფასი არა აქვს, მაგრამ დიდ გავლენას ახდენს სხვა სფეროს შედეგებზე, დიდ როლს ასრულებს სოციალური და კულტურული განვითარების საქმეში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ფერმერს უნდა ქონდეს წარმოდგენა იმის თაობაზე, რომ სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების ტენდენცია წარმოიშვა სამი ძირითადი ხედვის – ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური გართიანებით.

გარე სამყაროს მდგრადი განვითარებისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების ღონისძიებათა აქტუალობის შესახებ საპროგრამო დოკუმენტები და რეკომენდაციები შეიმუშავა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1992 წლის რიო-დე-ჟანეიროს კონფერენციამ. კონფერენციის საპროგრამო მოთხოვნების შესრულების მიზნით რიგი ქვეყნები შეიმუშავებენ სპეციალურ კონცეფციებს მდგრადი განვითარების პრინციპების ეტაპობრივი რეალიზაციის თაობაზე, რომელიც უზრუნველყოფს სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების დაბალანსებულ გადაწყვეტას, ბუნებრივი სიმდიდრის რაციონალურ გამოყენებას, ახლანდელი და მომავალი თაობების მოთხოვნილების დაკმაყოფილებას სასურსათო და ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფით.

გასულ საუკუნეში მსოფლიო საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება ძირითადად ორიენტირებული იყო ეკონომიკური ზრდის მაღალ ტექნიკურ ზემაცხვევაზე, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაუქნა ბუნებრივ გარემოს. კაცობრიობა შეხვდა წინადმდებარების ერთი მხრივ

მზარდ მოთხოვნილებასა და მეორე მხრივ ბიოსფეროს შეუძლებლობის ზღვარს ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების საქმეში. ცივილიზაცია, რომელიც გამოიყენებს მსხვილ ტექნოლოგიებს, ჯერ კიდევ არ შეუთავაზებია საზოგადოებისათვის ბიოსფეროს დარღვეული წონასწორობის ადგგენის მექანიზმი.

მდგრადი განვითარების სისტემისა და პრინციპების გამოყენება უზრუნველყოფს გარემოს ოპტიმალურ რეგულაციას და იხსნის სამყაროს გლობალური ცვლილებებისაგან. სწორედ აქთავნ მიმართავს იგი საზოგადოებრიობის მენტალიტებს და სულიერ სამყაროს. ის ასრულებს ეკოლოგიურად ჯანსაღი ძალების მობილიზაციის, სახელმწიფოებრივი პრიორიტეტებისა და პერსპექტიული სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების მაკორდინირებელ როლს.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში მიმდინარე რეფორმები საწყის ფაზაში იწვევენ მოქმედი სტრუქტურების დეფორმაციას და ეროვნულ მეურნეობაზე მოქმედებენ არაეფექტურად. ისინი ასევე ნებარტიურად მოქმედებენ ბუნებაზე, ეკოლოგიაზე. ძირითადი საწარმოო ფუნქციების მნიშვნელოვანი ნაწილი მორალურად და ფიზიკურად გაცვეთილია, ადამიანები სასიცოცხლო დონის შენარჩუნებისათვის საარსებო საშუალებების მოსაპოვებლად მკაცრ ექსპლუატაციას უწევენ ბუნებრივ რესურსებს. სახელმწიფო ხელისუფლებას კი, როგორც წესი მთავარი ყურადღება გადატანილი აქვს პოლიტიკური სტაბილიზაციის დამკვიდრებისათვის და გარდამავალი პერიოდის გაჭიანურების შემთხვევაში ათეულ წლობით ვერ შეიმუშავებს ეკოლოგიური უსაფრთხოების დამკვიდრების კანონებს, ვერ ქმნის შესაბამის აღმასრულებელ მექანიზმს.

მდგრადი განვითარების პრინციპებზე გადასვლა ითვალისწინებს რიგ ამოცანებს, რომელიც სოფლის მეურნეობაში უნდა გადაწყვდეს ეტაპბრივივად. მათ შორის ძირითადად მიგვაჩნია:

სოფლის მეურნეობის დარგების ეკონომიკურ გაჯანსაღების პარარელურად უნდა შემუშავდეს ეკოლოგიური სტაბილიზაციის ღონისძიებები;

გარემო ბუნების მდგრამარების რადიკალური გაუმჯობესება ეკონომიკის ეკოლოგიზაციის ღონისძიებების განხორციელებით;

ფერმერული მეურნეობების სტაბილურობა წარმოიშობა უნარჩენო, რესურსდამზოგი ტექნოლოგიების დანერგვით. მეურნეობრიობის მიზანმიმართული სტრუქტურულული სრულყოფით ბუნებრივი რესურსების აღდგენის თვალსაზრისით.

ჩვენის აზრით, მდგრად განვითარებაზე გადასვლის პირველ ეტაპზე აუცილებელია მოგვარდეს მძაფრი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, შემცირდეს უმუშევრობა, ამაღლდეს საარსებო მინიმუმი, ხელი შეეწყოს ეროვნული ეკონომიკის ტრადიციული დარგების პოტენციალის გამოყენებას, სამრეწველო მასშტაბები მიეცეს თანამდერო-

ვე ტექნოლოგიების განვითარებას, როგორც წარმოებაში, ასევე გადამუშავებაში.

შემდგომი ეტაპის მთავარ მიმართულებად მიგვაჩნია ეკონომიკის სტრუქტურული, ტექნიკური და ტექნოლოგიური სრულყოფა-მოდერნიზაცია.

აუცილებელია თანდათანობით მიღწეული იქნება ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის რაციონალური მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენების პრიორიტეტული მენტალიტეტი საზოგადოებაში.

აღნიშნული მიმართულებების პარარელურად აუცილებელია ქვეყნის შესაბამისი ინსტიტუტები, უწყებები ჩაერთონ ბუნებასთან ჰარმონიული თანამშრომლობის მსოფლიო საზოგადოებრივ მოძრაობაში.

აქვთ გვინდა შევეხოთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აგრარული სექტორის განვითარების ჩვენეული ხედვის რამდენიმე ასპექტებს.

ქვეყნის რეგიონების მიხედვით, ფერმერული მეურნეობის ჩამოყალიბების, მიწის რეფორმისა და საწარმოთა პრივატიზაციის პროცესი სხვადასხვა პირობებში წარიმართებოდა. ამ გარდაქმნას მნიშვნელოვანი თავისებურება ასესიათებდა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში და ეს მარტო აგროეკონომიკური თავისებურებებით არ იყო განპირობებული.

აჭარაში ფერმერული მეურნეობების ფორმირების პროცესი პირობითად შეიძლება ხუთ ეტაპად დავყოთ:

პირველ ეტაპად, მიგვაჩნია 1993-1996 წლები. მისი ძირითადი თავისებურება არის, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების გარდაქმნა სახელმწიფო და კოოპერაციულ მეურნეობებად. მთის რეგიონებში, ამ პერიოდისათვის ყველა კომლს საკუთრებაში გადაეცა გამოყოფილი მიწის ნაკვეთი.

მეორე ეტაპი დაიწყო 1996 წლიდან, როცა მთის რეგიონებში მოხდა კოოპერაციული მეურნეობების რეორგანიზაცია, მიწის ფართობების მთლიანად გადაეცა გლეხებს საკუთრებაში. შეიქმნა აგრარული სექტორის სერვისის გაერთიანებები, სააქციო საზოგადოებების სახით, რომლებიც ძირითადად ეწევიან აგროტექნიკურ, ზოოტექნიკურ, მომარაგების და სხვა სახეობის მომსახურებას.

მესამე ეტაპის დასაწყისად უნდა მივიჩნიოთ 2000 წელი, როცა დაიწყო შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის სრულყოფილად ამოქმედების პროცესი. გლეხები უფლება საბაზრო მეურნეობრიობის კულტურას. მიწისა და სხვა წარმოებების საშუალებების პრივატიზაცია იწყება სუბტროპიკულ ზონაშიც.

მეოთხე ეტაპია მიწისა და სხვა ძირითადი საშუალებების მასიური პრივატიზაციის დონისძებები, რომელიც დაიწყო 2004 წლიდან.

მეხუთე ეტაპი დაიწყო 2012 წლიდან, რომლის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნებია საკუთრებითი ურთიერთობების მოწესრიგება, სახელმწიფო მხარდამჭერი დონისძებების შემუ-

შავება-რეალიზაცია, კოოპერატივების ფორმირების წასალისება, სოფლის მეურნეობის პროგრამების სტიმულირება.

სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების ხელშეწყობის მოსალოდნელი ეფექტი ძირითადად არის სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოფლის განვითარების მხარდაჭერა და სასურსათო უსაფრთხოების ამაღლება, ფერმერული მეურნეობი, კოოპერატივების დამკვიდრება-განმტკიცება.

ამასთან, ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ყველაზე რთული პრობლემა შესაბამისი ფინანსური მექანიზმის ამოქმედებაა. დამუშავებას საჭიროებს ფულადი სახსრების უშუალოდ მწარმოებელზე გაცემისა და უკან დაბრუნების უზრუნველყოფი მექანიზმი. ფერმერთა სიმრავლისა და მათი დაბალი შემოსავლების გამოგათვალისწინებული დონისძიებების შესრულებისათვის საქმიანი ურთიერთობების მოწესრიგებას უამრავ პარტნიორთან, რომელთაც ესაჭიროებათ დახმარება სამეურნეო საქმიანობის სხვადასხვა ეტაპზე.

კონცეფციის მთავარი სამოქმედო პრინციპია ფერმერებზე ფინანსურ შედაგათებთან ერთად კონკრეტული მატერიალური დახმარება, რათა მათი ძალისხმევა წარიმართოს უშუალოდ პროდუქციის წარმოებაზე. ამასთან მოსალოდნელია შევერხდეს ფინანსურ საშუალებათა უკან დაბრუნება. შესაბამისად აუცილებელია პროგრამის სწორი ადმინისტრირება, რათა გატარდეს სამუშაოები იმ მიმართულებით, რომ მოსახლეობამ გააცნობიეროს მოსალოდნელი ეკონომიკური ეფექტი და ასეთი დახმარების განმეორებითი საჭიროება.

აჭარაში სასოფლო-სამეურნეო სავარგულის სიმცირე, დასახლების მაღალი სიმჭიდროვე არ იძლევა მსხვილი ფერმერული მეურნეობის გახვითარების შესაძლებლობას. დარგი მეტილად წარმოდგენილია წვრილი ფერმერული მეურნეობების (საიჯახო დონეზე) სახით 0.1 დან1.0 ჰა-მდე სავარგულით, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ფაქტიურად მიმდინარეობს შრომისუნარიანი მოსახლეობის თვითდასაქმება. ასევე საბაზრო მოთხოვნებს ერ პასუხობს გადამატებებებით მრეწველობის ტექნიკური და ტექნოლოგიური დონე.

აგრარული წარმოების პოტენციალის უფასტური გამოყენების და სასურსათო ბაზრის ფორმირების მნიშვნელოვან დონისძიებებს წარმოადგენს ფერმერული მეურნეობების ორგანიზაციული და სტრუქტურული სრულყოფის სტიმულირება, ტექნოლოგიური და ტექნიკური უზრუნველყოფის წასალისება, მეცხოველეობისა და მემცნარეობის ჯიშობრივი განახლების ხელშეწყობა, პროდუქციის დამზადების, პირველადი და სასაქონლო გადამატებების სფეროებში ინვესტიციების კონცენტრირება, ფერმერებისა და მეტარმების მომარაგების სახელმწიფოებრივი რეგულირება.

გარდა ტრადიციული დარგების აჭარის სოფლებში აგრარული და ეკოლოგიური, გამაჯანსაღებელი ტურიზმის მნიშვნელოვანი შესაძლებე-

ლობებია, მათი რეალიზაცია გაზრდის ქვეყნისა და ოკითოული ოჯახის შემოსავალს.

სწორედ მთა „mtiralaze“ ეროვნული პარკის დაარსება და მთლიანად აჭარის კულტურული, ბუნებრივი და რეკრეაციული რესურსების პოტენციალია აღნიშნული ტენდენციის პერსპექტიულობის და სიცოცხლისუნარიანობის დადასტურება.

აღნიშნულის საფუძველზე განხილვას საჭიროებს მოსაზრება ტურისტულ – საკურორტო–საწარმოო კომპლექსის შექმნის თაობაზე, რომელიც შესაძლებელია გავრცელდეს აჭარის უკელა ხეობასა და უმრავლეს სოფელში.

აჭარის მთიანეთი ერთერთი უნიკალური ადგილია გეოგრაფიული, კლიმატური, რელიეფური, წყლის, ჰაერის, ფლორისა და ფაუნის, მოსახლეობის განლაგების, სასოფლო–სამეურნეო რესურსების, ისტორიული ადგილებისა და ცხოვრების ტრადიციების თვალსაზრისით. სოფლები გაშენებულია მთლიანად მდინარეების ხეობაში. მოსახლეობა მკაცრად იცავს (kerzo მესაკუთრული ფორმირებიდან გამომდინარე) არამარტო თვეზე რის წესებს არამედ პატარა ნაკადულშიც კი ხელს უწყობდა ლიფტიების გადაყვანა გამრავლებას. შემორჩენილია წიწვოვანი და ფოთლოვანი ტყის მასივები. შესანიშნავი ლანშაპტია მთელ ხეობაში აქტიური დასვენებისათვის, ბუნებრივი საცურაო ადგილების ჩათვლით.

თოთქმის უკელა შესაძლებელია სხვადასხვა კონსტრუქციის, ორიგინალური არქიტექტურის დასახვენებელი ობიექტების მოწყობა. სოფლებში ტრადიციულად ბევრია ხელოსნები ხისა და ქვის, რკინის დამუშავების საქმეში, მშენებლობაში, შესაძლებელია ტყის სანიტარული ჭრების საფუძველზე გარკვეული რაოდენობით სხვადასხვა დანიშნულების მერქანის დამზადება. სოფლების ტერიტორიაზე იწარმოება ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურები, ხილი, გარეული ხილი, მეცხველეობის, მეფრინველეობის, მეფუთკრეობის, ეკოლოგიურად სუფთა, ადამიანის ჯამრთელობისათვის უსაფრთხო პროდუქცია. მოსახლეობა მიმართავს ახალი ჯიშის კაკლოვანი, კურეოვანი და ტესლოვანი მცხარეების მასშტაბურ გაშენებას. არსებული რესურსები საკმარისია არამარტო ადგილობრივი მოსახლეობის, არამედ ტურისტულ–საკურორტო და საწარმოო კომპლექსის შესაქმნელად. როგორც სოფლების ასევე მიმდებარე ტერიტორიებზე არის ისტორიული ძეგლები და ადგილები.

მაგალითად, ქედის რაიონის, სოფელ აგარის მისახვლელში მთა–კლდეზე ცივასულას ციხე სათვალთვალო კოშკით. იქვე ახლოს მდინარეზე მიმავალ გზაზე თამარ მეფის ხილად წოდებული საკმარი კარგად შენახული ნაგებობა. საინტერესოა და არქეოლოგიური შესწავლის ობიექტი შეიძლება გახდეს ისეთი ისტორიული უბნები როგორიცაა: ხატის მამული. ხალხური გადმოცემით გამოქვაბული სადაც თავს აფარებდნენ საეკლესიო მსახურები, თორკინაური (liton გადამუშავებისა და იარაღის წარმოების უბანი), ქალასქური,

ნაჭირვალი (Wiris გაჩენის დროს მოსახლეობის გახიზენის აღილი), ჩანჩული, ხახული, გულიგზა, შევარდენის კლდე, ორპირი, ნაეკლესიარი, ბეთლემი, საქორიხევი და ასე შემდეგ. აგარის ტერიტორია ისტორიულად სავაჭრო სამხედრო გზაზე ერთ–ერთი აქტიური პუნქტი იყო (Caqvis თავი, აგარა, ხოხნა, კორომხეთი, თურქეთი, არაბეთის ქვეყნები). ბოლო წლებში აქტიურად გამოიყენება ეს მარშუტი ტურისტული ჯგუფების მიერ. მთელი გზა საუკუნოვანი ტყეების მასივში გადის და გზაზე დაგზა წყაროს წყლებით, მინდორ ველებით, ხევებითა და მიმზიდველი ბუნებით არის მდიდარი.

აღნიშნული და სხვა სოფლების ტერიტორიის რეკრეაციული და სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წარმოების რესურსების სრულფასოვნად ათვისება მთელი წლის განმავლობაში უზრუნველყოფს ტურისტებისა და დამსვენებლების მოზიდვის გარანტიების შექმნას., რასაც გააჩნია სოციალურ–ეკონომიკური დატვირთვა. ადგილობრივი სასოფლო სამეურნეო ნედლეულის გადამუშავება და მომსახურების სფეროს გაფართოება, მოსახლეობის და ქვეყნის ბიუჯეტის რეალური შემოსავლების ზრდის წყარო იქნება.

მსგავსი პროექტების დამუშავების მირითად მიზანს წარმოადგენს:

1. რეკრეაციული და საწარმოო რესურსების ოპიმალური გამოყენების მოდელის შემუშავება;
2. ბუნებრივი გარემოს შენარჩუნების ღონისძიებების განსაზღვრა;
3. საცხოვრებელი, კულტურული მასობრივი გართობისა და დასვენების ინფრასტრუქტურის ეფექტური პროექტის შედგენა. პროექტის განხორციელებაში მოსახლეობის ჩართვის ფორმირებისა და მეთოდების განსაზღვრა;
4. პროდუქტებით მომარაგებაზე ორიენტირებული სასოფლო სამეურნეო პროდუქციის ნედლეულის წარმოების პარამეტრების განსაზღვრა, ინდივიდუალური და ფერმერული მეურნეობების განვითარება, მეცხვარეობის, მეცხოველეობის, მეფუტკრეობის, მეფრინველეობის პროდუქციის გადამამუშავებელი მინი სამქროფების შექმნისა და ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

5. ეკოლოგიურად ჯანსაღი გარემოს შენარჩუნების, გარემოს დაბინძურებისაგან დაცვის ღონისძიებების შემუშავება.

პროექტებით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურა მრავალფეროვანი და უმეტეს შემთხვევაში ცალკეული ობიექტების ინდივიდუალური მახასიათებლებით, მოცულობითი და გამოყენებითი დანიშნულებით მშენებლობის საფუძველი იქნება რელიეფის, რესურსების განთავსების, კომპლექსურობის, ლანდშაფტის, გეოლოგიური მდგრამარეობის ნორმატიული მოთხოვნების მაჩვენებლები.

სოფლები საწარმოო სტრუქტურა შეიძლე

ბა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

1. ინდივიდუალური (ოჯახური) სარგებლობის საკუთარი მისასვლელი გზით, ავტომანქანის სადგომით, კომუნიკაციებით, წყლით და ენერგო მომარაგებით უზრუნველყოფილი კოტექტები. შესაძლოა მცირე პილორო ელექტრო სადგურების აგებაც;
2. რამდენიმე სუბიექტის სარგებლობისათვის განკუთვნილი კოტექტები საერთო სარგებლობის ეზოთი და დამხმარე ნაგებობებით;
3. ბუნებრივი საცურაო აუზები, საცურაო პლაჟები, გამაჯანსაღებელი ვარუუშის სხვადასხვა სირთულისა და სიგრძის მარშუტები, კლდეზე ცოცვის, სიმნელეთა გადაღახვის სტენდების მოწყობა, ზამთრის პირობებში სათხილამურო სპორტის ობიექტების შექმნა;
4. ტელეკომუნიკაციების თანამგზავრული სისტემის (კაბელური ხაზის) გამართვა. ინტერნეტის ქსელით უზრუნველყოფა;
5. ხეობის მთლიანი აუზის დაცულ ზონად გამოცხადება;
6. მცირე სიმძლავრის საწარმო სამქროების აშენება (ხორცი, თევზის, ფრინველის პროდუქტების შესაბოლო სამქროები სიძლავრით 50-100 კგ., ცვლაში);
7. ხმელი ხილის საშრობები, ხილი, გარეული ხილი (მოცვი, მაყვალი, ანწლი დასხვა);
8. სიმინდის ფქვილის წარმოება, დაფასოება;
9. ხილის ნატურალური წვენების და სპირტსახდელი საამქრო;
10. ხორცის და რძის გადამამუშავებელი მინი საამქრო (ძეხვი, სოსისი, სარდელი, დაფასოებული ხორცი, ფარში, დელიკატესები);
11. სოფლებში არის წყაროს მარაგი და შესაძლებელია მისი ჩამოსხმა;
12. უმრავლესი სოფლების ტერიტორიაზე არის სამკურნალო წყლები. მოსახლეობა ყოველწლიურად ორგანიზებულად დადიოდა აბაზანების მისაღებად;
13. სოფლებში ზოგიერთ უბანზე არის ე.წ. მაღაროები (ქვით ნაშენი და ბუნებრივი გამოქვაბულები), რომლებსაც მოსახლეობა მიიჩნევს როგორც უძველეს ადამიანთა ჯგუფურ საცხოვრებელს.

მარკეტინგული აკლევები აჩვენებს ტურისტის რეგიონში ყოფნის საშუალო ხანგძლივობა გაიზარდა 6-8 დღით, ხოლო საშუალო დღიური დანახარჯი ყოველწლიურად იზრდება 28-30 ლარით, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ვითარდება ტურისტული სერვისი, ინფრასტრუქტურა, მომსახურება. ამ სფეროების ასეთი ტემპით განვითარება უახლოეს 2-3 წელიწადში უზრუნველყოფს საშუალო დღიური დანახარჯების 250 ლარამდე გაზრდას, რაც დამატებით შემოსავალს უზრუნველყოფს.

დარგობრივი და რეგიონული ეკონომიკა - SECTORAL AND REGIONAL ECONOMY

საზღვაო პოტენციალის გამოყენების ზოგიერთი სტრუქტურული საკითხი

MARITIME POTENTIAL APPLICATION OF SOME STRUCTURAL ISSUES

სალომე ჯაფარიძე

საერთაშორისო მენეჯმენტის მაგისტრი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის მოწვევლი სპეციალისტი

SALOME JAPARIDZE

Master of International Management Inviting Specialist
at Batumi Shota Rustaveli State University

ანოტაცია

სტატიაში განხილულია ზღვისპირა რეგიონების პოტენციალი, მისი როლი ეკონომიკის განვითარებაში. თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის ძირითადი პრინციპები, მიზნები, დადებითი და უარყოფითი მხარეები. განხილულია დუბაის თავისუფალი ეკონომიკური ზონები, უკრადღება გამახვილებულია საქართველოში არსებულ საზღვაო პოტენციალზე, კერძოდ ბათუმის, ფოთის, ანაკლიის მშენებარება და უკლევის პორტებზე. წარმოდგენილია ბათუმის პორტის შედარებითი ანალიზი, მისი განვითარების ტენდენციები და შესაძლებლობები, თავისუფალი ეკონომიკური ზონების პერსპექტივა და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკაში.

საკვანძო სიტყვები: თავისუფალი ეკონომიკური ზონა, საზღვაო პოტენციალი, ინფრასტრუქტურა, პორტი, პორტო-ფრანკო, ტერმინალი

Abstract

In this article describes potential of the sea regions, that promotes its economic development. Basic principles, goals, positive and negative aspects of creating Free Economic Zones. As well Dubai is an example of a positive functioning of the Free Economic Zone. Focusing on the Georgia sea potential: Batumi, Poti, Anaklia and Kulevi Sea Port. Following and studied the example potential of the Batumi Sea Port. Batumi Sea Port comparative analysis represents its development trends and opportunities, prospects of the free economic zones and potential in the economy of the country.

Keywords: Free Economic Zone, Sea potential, infrastructure, port, Porto-Franco, terminal

შესავალი. თანამედროვე ეტაპზე, არსებული სოციალური, ეკონომიკური თუ პოლიტიკური ფაქტორების გათვალისწინების ფონზე, ნებისმიერი საზღვაო ქვეყნის, სახელმწიფოს მიერ შემუშავებულ სტრატეგიულ გეგმაში, რომელიც თავისთავად მიმართულია და ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას და სტაბილურობას, მნიშვნელოვანს და პრიორიტეტულს წარმოადგენს საპორტო საქმიანობა, ხოლო პორტის არსებობა, კი იმ საკვანძო და დირექტულ რესურს, რომელიც ხელს უწყობს მსოფლიო სატრანსპორტო სისტემაში წარმატებულ ჩართულობას.

კვლევის მიზანი. აღნიშნული ნაშრომის კვლევის მიზანია აჩვენოს არსებული პორტების მდგომარეობა და მათი განვითარება, რომელიც ცალსახად ასახავს ქვეყნის ინტეგრაციის დონეს, მატერიალური რესურსებისა და მზა პროდუქციის გადანაწილების შესაძლებლობას მსოფლიო გლობალურ სისტემაში [3; გვ. 15].

მე-20 საუკუნის ბოლო და 21-ე საუკუნის დასაწყისი, ხასიათდება საპორტო რეგიონების განვითარების პროცესის აქტიურ ფაზაში გადასვლით. მკვეთრად იზრდება პოტენციალის ათვისების ინტენსივობა, უმჯობესდება სანაპირო ზონის

ფუნქციები, იქნება ტერიტორიულ-სამრეწველო წარმონაქმნები და ამავე დროს სხვადასხვა სახის საპორტო-სამრეწველო კომპლექსები, რომლებსაც გააჩნიათ მკაფიოდ გამოხატული სატრანსპორტო-სარესურსო, ან სატრანსპორტო-საწარმოო სპეციალიზაცია [4; გვ. 45].

კალეგის ამოცანა მდგრამარეობს მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების შესწავლაში, რომელიც ცხადყობს, რომ ნებისმიერი სახელმწიფო სხვადასხვა მეთოდით ცდილობს მათი კონტროლირებადი ტერიტორიის ისეთი მიმართულებით გაფართოებას, რომელიც მათ ზღვაზე გასასვლელს უზრუნველყოფს. ზღვისპირა რეგიონები, კი როგორც ვიციო განსაკუთრებულ სატრანსპორტო პოლიგონს წარმოადგენს და ის ხელს უწყობს მსოფლიო სასაქონლო ბაზარზე წვდომას, რაც ოკისთავად ქვეყნის ეკონომიკურ კეთილდღეობასა და მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებაზე აისახება.

კალეგის ორიგინალობა განისაზღვრება მსოფლიო ეკონომიკური პროცესების შესწავლის ფარგლებში ახალი თანამედროვე ეკონომიკური ბერკეტების ძიებით. ეკონომიკური პოლიტიკისა და რეგიონალური ეკონომიკის მნიშვნელოვან ბერკეტს არსებულ პირობებში, კი წარმოადგენს თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნა და განვითარება.

თავისუფალი ეკონომიკური ზონა, თავის-თავად წარმოადგენს ქვეყნისა და რეგიონის დაჩქარებული ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც მიიღება საერთაშორისო ტვირთბრუნვის, ინვესტიციების მობილიზაციისა და ინტეგრირებული ეკონომიკური პროცესების გაღრმავების ხარჯზე [7].

თავისუფალი ეკონომიკური ზონის ერთ-ერთი სრულყოფილი ცნება განსაზღვრულია კოოპორაციული კონკენციის მიერ 1973 წელს, რომლის მიხედვით თავისუფალი ეკონომიკური ზონის ქვეშ იგულისხმება ტერიტორიის ნაწილი, სადაც საქონელი წარმოადგენს ობიექტს, რომელიც იმყოფება ეროვნული საბაჟო ტერიტორიის გარეთ [1; გვ. 5].

თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის მიზნები ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება განსახვავდებოდეს ერთმანეთისგან, მაგალითად მრეწველობა განვითარებულ ქვექნებში, ისეთებში, როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია თავისუფალი ეკონომიკური ზონები ხშირად იქმნებოდა გარე ეკონომიკური კავშირების აქტივობისათვის, რეგიონებს შორის არსებული განსხვავებების გათანაბრებისთვის და რეგიონალური პოლიტიკის რეალიზებისათვის, რომელიც მიმართული იყო მცირე და საშუალო ბიზნესის გამოცველებაზე დეპრესიულ რეგიონებში. ასეთი პროგრამების არსებობა არ იყო მიმართული მხოლოდ უცხოური კაპიტალის მოზიდვაზე [5; გვ.

105].

თავისუფალი ეკონომიკური ზონა აღიქმება, როგორც დროებითი ღონისძიება, რომელიც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისა თუ გარკვეული რეგიონების განვითარების ხელშეწყობის მიზნებს ემსახურება.

როგორც წესი თავისუფალი ეკონომიკური ზონები ფუნქციება სასაზღვრო რეგიონში და შემდეგი ტიპის ეკონომიკური თავისუფლებას გულისხმობს:

ლიბერალური შრომითი კანონმდებლობა;

თავისუფალი ვაჭრობა უცხოეთოან;

დაბალი გადასახადები (განსაკუთრებით კორპორაციული გადასახადები), ან მათი სრული გაუქმება;

გარკვეული პოლიტიკური ავტონომია (ცალკეულ შემთხვევებში, საწყის ეტაპზე) [6].

თავისუფალი ეკონომიკური ზონები შეიქმნა და წარმატებით ახორციელებს თავიან საქმიანობას, ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ჩინეთი, ინდოეთი, ამერიკა, რუსეთი, არაბეთის გაერთიანებული ემირატები და სხვა. ადსანიშნავია, რომ დღესიათვის დუბაი ერთ-ერთ საუკეთესო სავაჭრო ცენტრს წარმოადგენს, რისი ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორიც არის თავისუფალი ეკონომიკური ზონების არსებობა, რომელმაც თავის მხრივ ხელი შეუწყო რეგიონის ინფრასტრუქტურის განვითარების მაღალ დონეს.

დუბაის ტერიტორიაზე განლაგებული პორტები, გზები, აეროპორტები, სატელეფონო და ინტერნეტ კავშირები საუკეთესო მოედს რეგიონში. დუბაის საზღვაო პორტი ტვირთბრუნვის გადაზიდვით მსოფლიოს საუკეთესო 15 პორტში შედის. ამჟამად დუბაიში წარმატებით ფუნქციონირებს რამდენიმე მსხვილი თავისუფალი ეკონომიკური ზონა, რომელთა შორისაც „jabel a lido“ წარმოადგენს პირველ თავისუფალ ეკონომიკურ ზონას, რომელიც 70-იანი წლების ბოლოს შეიქმნა და ის დღესდღეობით წარმოადგენს მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე დიდ და მზარდ თავისუფალ ეკონომიკურ ზონას, რომელიც განლაგებულია საზღვაო პორტის გარშემო. აღნიშნულ ზონაში საქმიანობს 97 ქვეყნის 2300-ზე მეტი კომპანია, მათ შორის იაპონიური (ნისანი, მიცუბიში, ჰონდა, სონი) და ევროპული მსხვილი კომპანიები (ABB, Shell, BASF და სხვა), რომლებიც დიდ როლს თამაშობენ თავისუფალი ეკონომიკური ზონის და მთლიანად რეგიონის განვითარებაში [7].

მსოფლიოში არსებული თავისუფალი ეკონომიკური ზონები გვიჩვენებს რესურსებისა და შიდა შესაძლებლობების უკეთ გადანაწილების გზებს, რაც ხელს უწყობს რეგიონში ინვესტორების მოზიდვას, ბიზნესის დაუბრკოლებლად განხორციელებას და ქვეყნის განვითარების გრძელვადიანი გეგმის შესრულების ხელშეწყობას.

თავისუფალი ეკონომიკური ზონის პო-

ტენციალური ადგილმდებარეობის შერჩევას პრინციპული მნიშვნელობა აქვს მოცემული რეგიონისადმი უცხოური კომპანიების ნათლად გამოხატული ინტერსების სახით. სასურველია რეგიონში საგარეო ეკონომიკური საქმიანობის გარკვეული პრაქტიკული გამოცდილება [1; გვ. 15].

უკანასკნელ ათწლეულებში, საქართველოში მიმდინარე პროცესებმა, მისმა ინტეგრაციამ და საერთაშორისო პროცესებში ჩართულობამ, ქვეყნის ხელსაყრელმა გეოპოლიტიკურმა მდებარეობამ, რომელიც გულისხმობს უძველეს სატრანსპორტო გზაჯვარედინზე მის არსებობას, აქტუალური გახადა ბათუმში თავისუფალი ეკონომიკური ზონის ჩამოყალიბება, რადგან ქვეყნის ჩართვა მსოფლიო ეკონომიკურ ურთიერთობებში მჭიდროდ არის დაკავშირებული თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნასთან. აქვე, უკად-საღებია, ის გარემოება, რომ რეგიონს გააჩნია ისტორიული გამოცდილება, მის ტერიტორიაზე თავისუფალი ეკონომიკური ზონების არსებობისა, რაზეც მოწმობს ქ. ბათუმის „პორტო-ფრანკო“-დ გამოცხადება, 1878 წლის 29 ოქტომბერს.

„პორტო-ფრანკო“ – სიტყვა-სიტყვით თავისუფალი ნავსადგური, ასე უწოდებდნენ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფ ბათუმს 1878-1886 წლებში. იდეა ინგლისს ეკუთვნოდა, მან ბერლინის კონგრესზე ქალაქის პორტო-ფრანკოდ გამოცხადება მოითხოვა. ბერლინში დადგებული ხელშეკრულების მე-8 უზნების მიხედვით, რუსეთს ბათუმი პორტო-ფრანკოს სტატუსით გადაეცა. რუსეთის იმპერიაში ბათუმი მესამე პორტო-ფრანკო იყო, ოდესისა და ვლადივოსტოკის შემდეგ.

ბათუმს, შავ ზღვაზე გეოპოლიტიკური მდგრამარეობის გამო, ძალზე ხელსაყრელი პირობები გააჩნდა „პორტო-ფრანკოს“ ფუნქციის შესრულებისათვის. 1884 წელს ბათუმის თავისუფალი სავაჭრო ზონა შეადგენდა 900 დესიატის. 1883 წელს ბათუმი რეინგზით ბაქოს დაუკავშირდა და გახდა ნავთობპროდუქტების საერთაშორისო ბაზარზე გასაღების ძირითადი პროდუქტი [1; გვ. 23].

ექსპორტირებადი ნავთობის მოცულობის ინტენსიურმა ზრდამ გამოიწვია ნავსადგურის შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარების აუცილებლობა.

მე-19-მე-20 საუკუნეების მიჯნაზე ბათუმში 350-380 სამრეწველო და 1000-ზე მეტი სავაჭრო დაწესებულება აღირიცხებოდა. ამავე პერიოდში გაიხსნა 5 მსხვილი ბანკი, რომლებიც საბანკო ოპერაციებს საერთაშორისო მასშტაბით აწარმოებდნენ [1. გვ. 23].

ბათუმის პორტო-ფრანკოდ გამოცხადებამ დადებითად იმოქმედა ქალაქის ინფრასტრუქტურისა და მრეწველობის განვითარებაზე. ამ პერიოდში ბათუმი ძირითადად საიმპორტო-სატრანზიტო ვაჭრობის ზონას წარმოადგენდა. ნავთობის

ტრანსპორტირებაში მონაწილეობამ ბათუმის ნავსადგური გადააქცია ეკრობის სატრანსპორტო დერეფნის უმნიშვნელოვანეს კვანძად და საერთაშორისო მნიშვნელობის მსხვილ სატრანსპორტო ობიექტად.

საქართველოს ხელსაყრელი სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობის მიუხედავად საბჭოთა კავშირში ყოფნისას იგი სატრანსპორტო „ჩიხში“ იყო და მსოფლიოს ქვეყნებთან ურთიერთობა მხოლოდ მოსკოვის გავლით ხორციელდებოდა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქვეყანამ პრაქტიკულად საერთაშორისო სატრანსპორტო გზაჯვარედინის ფუნქცია დაიბრუნა.

თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს რეგიონისათვის, რომელიც გლობალური კონკურენციის პირობებში იმყოფება, წარმოადგენს სატრანზიტო ფუნქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ამ ფუნქციის ეფექტური გამოყენება.

ქვეყნის გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური მდგრამარეობიდან გამომდინარე, მისი სატრანზიტო ფუნქცია მკვეთრად ზრდის საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან ინტერეს, რაც განპირობებულია საქართველოს მიერ ეკროპასა და აზიას შორის დამაკავშირებელი როლით. ქვეყნის ჩართვამ სატრანსპორტო დერეფნა „evro-კავკასია-აზია“-ში (TRACECA – Transport Corridor Europe-Caucasus-Asia), რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ ევროპულ სატრანსპორტო კორიდორს ევროპიდან შავი და კასპიის ზღვების გავლით ცენტრალური აზიის ქვეყნებამდე, ხელი შეუწყო ქვეყანას შესძენოდა საერთაშორისო სატრანზიტო ფუნქცია.

რეგიონის სატრანზიტო ფუნქციის და ზოგადად ტრასეგას პროექტის კონკურენტუნარიანობას რამდენიმე ფაქტორი განსაზღვრავს. მათ შორის მნიშვნელოვანია:

გამართული ინფრასტრუქტურა;

ინფრასტრუქტურაში დასაქმებული კადრები, რომლებიც ცალკეულ დონეზე დებულობენ მენეჯერულ და ლოჯისტიკურ გადაწყვეტილებებს;

დერეფნაში არსებული ინფრასტრუქტურული და სატრანსპორტო-ლოჯისტიკური ობიექტების, ერთობლივი, კოორდინირებული მოქმედები და გადაწყვეტილებები, რომელიც განსაზღვრავს დერეფნის კონკურენტუნარიანობას - დერაფნში ტერიტორიების მომრაობის სიჩქარეს, ფასს და უსაფრთხოებას.

მესამე ფაქტორს არსებითი მნიშვნელობა გააჩნია და მისი შედეგები დიდადად დამოკიდებული როგორც ცალკეული სახელმწიფოების პოლიტიკაზე, ისე პროექტში ჩართული ქვეყნების მთავრობების ერთობლიოვ და კოორდინირებულ მუშაობაზე [6].

საქართველოს უდიდესი საზღვაო-ინფრასტრუქ-

ტურული პოტენციალის მნიშვნელოვანი ნაწილია ბათუმის პორტი. კერძოდ, ბათუმის ნაგსადგური არის საქართველოს მთავარი საზღვაო კარიბჭე და მის სტაბილურ მდგომარეობაზე არსებითად არის დამოკიდებული არა მარტო აჭარის, არამედ მთლიანად საქართველოს ეკონომიკური განვითარება. ბათუმის საზღვაო ნაგსადგური ისტორიულად ითვლებოდა კავკასიის რეგიონის დოკისტიკურ ცენტრად. კერძოდ, ის არის საქართველოს ერთ-ერთი ნაგსადგური, რომლის საშუალებით საქართველო გახდა ტრანზიტული ქვეყანა. დღეს ბათუმის ნაგსადგური თამაშობს დიდ როლს რეგიონის ცხოვრებაში და მის განვითარებაში.

ბათუმის საზღვაო ნაგსადგომის შექმნის ისტორია პრაქტიკულად კავკასიის რეგიონის დოკისტიკური ცენტრის ფორმირების ისტორიაა, რომელმაც საქართველოს, როგორც ტრანზიტული ქვეყნის, როლი განსაზღვრა.

ბათუმის პორტი ევროპა-ა-კავკასია-აზიის კორიდორის მნიშვნელოვან რეგიონს წარმოადგენს, რომელიც სათავეს ევროპაში იდებს და ბულგარეთის, რუმინეთის, უკრაინის, შემდეგ შავი ზღვის გავლით კასპიის ზღვის რეგიონის ქვეყნებს - აზერბაიჯანს, ყაზახეთს, თურქეთებს და ა.შ. - აკავშირებს. პორტის განვითარების ძირითადი ფაქტორი იყო და არის კასპიის ზღვის ნავთობი. ბათუმის პორტის ძირითადი კონკურენტები შავ ზღვაზე არიან: უკრაინული - ოდესისა და ილიჩევსკის პორტები, რუსული - ნოვოროსიერისა და ტუაფსეს პორტები. ბათუმის პორტის უპირატესობა ის გახლავთ, რომ უკრაინის აკვატორია ზამთარში იყინება, ხოლო რუსეთის პორტებში, ზამთრის პერიოდში, ხშირია ძლიერი ქარები.

2008 წლის თებერვალში სს „ყაზტრანსოილი“ შვილობილმა კომპანიამ - შპს ატუმი ინდუსტრიალ თლდინგ-მა ბათუმის საზღვაო ნაგსადგურის ექსპლუზიური მართვის უფლება 49 წლით და ბათუმის ნავთობერმინალის აქციების 100%-იანი პაკეტი შეიძინა. სს „ყაზტრანსოილი“ ყაზახეთის ნაციონალური კომპანია სს „ყაზმუნაიგაზის“ შვილობილი კომპანია, რომელიც ყაზახეთის ძირითადი ოპერატორია ნავთობის ტრანსპორტირებაში. ყაზახეთის მიერ ბათუმის საპორტო აქტივების შექნის მიზანი ნათელია: საუბარია ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადაზიდვის ახალი საექსპორტო ფანჯრის შექმნაზე. ეს მიმართულება საშუალებას მისცემს ყაზახეთს, ნავთობნაკადების დივერსიფიცირება მოახდინოს და არ იყოს დამოკიდებული სხვა ქვეყნების კუთხით ტერმინალებზე [8].

ბათუმის პორტი ჩვენი სატრანსპორტო სისტემის, ასევე ეკონომიკის სატრანსპორტო დერეფნის უმნიშვნელოვანების კვანძი და საერთაშორისო მნიშვნელობის მსხვილი სატრანსპორტო ობიექტია. დღევანდებით მონაცემებით ბათუმის პორტში დასაქმებულო რიცხვი 750 -ს აღწევს. პორტს გა-

აჩნია:

საკონტეინერო ტერმინალი და სანავ მისადგომო კომპლექსი ბორნების მომსახურებისათვის; მშრალი ტერიტორიების ტერმინალი; სამგზავრო ტერმინალი. ბათუმის ნავთობერმინალი.

საკონტეინერო ტერმინალი და სანავმისადგომო კომპლექსი ბორნების მომსახურებისათვის – საკონტეინერო ტერმინალის გამტარუნარიანობა შეადგენს 100 000 TEU წელიწადში. საკონტეინერო ტერმინალს გააჩნია დია სასაწყობო ფართუბი და გადამტკირთავი დანადგარები, რომლებიც სპეციალიზირებულია კონტეინერების პირდაპირი და სასაწყობო ვარიანტით დამუშავებაზე. ბორანი კურსირებს ვარნას, ილიეჩეგსკის, ბათუმის ნავსადგურებს შორის. საბორნე სისტემის მუშაობა სრულიად ავტომატიზირებულია. ტერმინალის ნომინალური წლიური გამტარუნარიანობა შეადგენს დაახლოებით 700 000 ტ. საკონტეინერო ტერმინალი ოპერირებულია Batumi International Container Terminal LLC-ის მიერ, რომელიც წარმოადგენს ფირმა International Container Terminal Services Inc (ICTSI)-ის შვილობილ კომპანიას [9].

შშრალი ტკირთების ტერმინალი – ემსახურება დიდ და მცირებონაჟიან გემებს. სპეციალიზებულია ჯართის (pirdapiri და სასაწყობო ვარიანტები), ნაყარი, თხევადი, გენერალური და საცალო ტკირთის ტარებში გადამუშავებაზე. მშრალი ტკირთების ტერმინალის მაქსიმალური გამტარუნარიანობა წელიწადში 2,0 მილიონი ტონაა [9].

სამგზავრო ტერმინალი – განლაგებულია ქალაქის ცენტრში, სანაპირო ბულვარის გაყოლებაზე, ტერმინალის გამტარუნარიანობა შეადგენს დაახლოებით 180 000 მგზავრს წელიწადში. N 10 და N 11 სამგზავრო ნაგმისადგომები უზრუნველყოფებ სამგზავრო გემების და ასევე, Ro-Ro ტიპის სამგზავრო სატკირთო მცირებონაჟიანი ბორნების დამუშავებას [9].

ნავთობტერმინალი – ყაზახეთის პირველი სტრატეგიული ნავთობსატრანსპორტო აქტივია შევ ზღვაზე. ტერმინალი თავის კლიენტებს სთავაზობს ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადატკირვის მომსახურებას ყაზახეთიდან, აზერბაიჯანიდან, თურქეთიდან, საქართველოდან და სხვა ქვეყნებიდან. მისი საერთო ტერიტორია დაახლოებით 90 ჰექტარს მოიცავს, რომელზეც ხუთი სარეზერვუარი პარკი და ნავთობჩამოსასხმელი კომპლექსია განლაგებული. ნავთობტერმინალის გამტარუნარიანობა 15 მდნ. ტონამდე წელიწადში. ტერმინალი სპეციალიზირებულია ნედლი ნავთობისა და პრაქტიკულად ყველა ტიპის ნავთობის გადამუშავებაზე: დიზელის საწვავი, ბენზინი, მაზუთი და სხვა. აღნიშნული ნაგმისადგომები 2019 წლამდე გადაცემულია შპს „ბათუმის“ ნავთობტერმინალზე“ [9].

ბათუმის პორტი აქტიურად მუშაობს საგა-

რეო ურთიერთობების დამყარებასა და განვითარებაზე, რაც თავისთავად ხელს უწყობს გამოცდილების გაზიარებას და პორტუკებიულობის ზრდას. აღნიშნულს მოწმობს, 2015 წლის 7 აგვისტოს, დუბლინის საზღვაო პორტს, ბათუმის მერიასა და ბათუმის საზღვაო პორტს შორის გაფორმებული მემორანდუმი, რომელიც გულისხმობს გამოცდილების გაზიარებას ისეთ საკითხებში, როგორიც არის მართვა და სერვისები, საპორტო ქალაქის ინფრასტრუქტურის დაგეგმვა და განვითარება, ინვესტიციების მოზიდვა და საერთაშორისო პორტების მხარდაჭერა [10].

აღსანიშნავია, რომ დუბლინის პორტი ტვირთბრუნვისა და მგზავრების რაოდენობის მიხედვით ევროპის ერთ-ერთი დატვირთული პორტია.

საინტერესოა ავლნიშნოთ, რომ თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნას თავისი კრიტიკოსებიც გააჩნიათ, რომლებიც თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნას აქრიტიკებენ შემდეგი მოსაზრებებით:

რა კრიტერიუმით უნდა ავირჩიოთ ქვეყნის ესა, თუ ის და არა სხვა რომელიმე რეგიონი? ცალ-სახა პასუხი ძებლად მოსაპოვებელია;

სპეციალური ეკონომიკური ზონების შექმნით მიღებული შედეგები სხვა რეგიონებშიც მიიღწევა, თუ მთელს სახელმწიფოში თანაბრად გავრცელდება ლიბერალური და ბიზნესის ხელშეწყობი კანონმდებლობა და ინფრასტრუქტურა?

რატომ უნდა მიენიჭოს საგადასახადო პრეფერენციები რომელიმე რეგიონს? ეს ხომ ფისკალური ტვირთის მოსახლობის სხვა ჯგუფებზე არაპირდაპირ გადაკისრებას ნიშნავს?

რა ჯდება ასეთი ზონის აღმინისტრირება და რა გარანტია იმისა, რომ შედავათებს ფულის გათეორებისა და გადასახადებისგან თავის ასარიდებლად არ გამოიყენებენ?

ვინ უნდა დააფინანსოს საჭირო ძვირადდორებული ინფრასტრუქტურა და რა დრო და ძალისხმევა დასტირდება ინვესტორების დარწმუნებას ასეთ ზონებში ფულის დაბანდების მიზანშეწონლებაში? [7].

აჭარის რეგიონში თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნისათვის არსებობს ისეთი დადგითი მხარეები, როგორიცაა: მძლავრი სასაწყობო მეურნეობა, ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობა, მძლავრი პორტი და გამართული სტრანსპორტორი ინფრასტრუქტურა, რაც წარმოადგენს საუკეთესო ბაზას და პირობას თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნისათვის.

საქართველოში საერთაშორისო სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებას და კონკურენტუნაირანობის ამაღლებას ხელს შეუწყობს საზღვაო პოტენციალის გამოყენება ფოთის, ანაკლიის მშენებარება და ყულევის პორტის სრული დატვირთვით.

ფოთის პორტი – დამაკავშირებელი რგოლია ტვირთების გადაზიდვისას თურქეთიდან, ას დო აღმოსავლეთიდან და ევროპიდან - შეუა აზიის ქვეყნებსა და ავღანეთში. 2008 წ. ფოთის პორტის აქციების 51% და პორტის მართვის უფლება 49-wlani ვადით არაბულმა კომპანია RAK Investment Authority-m (RAKIA, UAE) შეიძინა. მოგვიანებით კომპანიამ პორტის აქციების დარჩენილი წილიც იყიდა და აქციების 100%-ian პაკეტის მფლობელი გახდა. აღნიშნული გარიგების ერთ-ერთი მთავარი გალდებულება საქართველოს მხრიდან ფოთში თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნასა და განვითარებას, ასევე ახალი აეროპორტის მშენებლობას ითვალისწინებდა. არაბი ინვესტორების მიერ გაცხადებული გრანდიოზული გეგმების მიუხედავად, 2011 წლის აპრილში RAKIA-მ ფოთის პორტის აქციების 80% დანიურ გიგანტს AP Moller-Maersk Group-is შვილობილ APM Terminals-s მიჰყდა და პორტის მართვიდან გავიდა.

ფოთის პორტი გადაზიდვებს სამი ძირითადი მიმართულებით ახორციელებს:

გადაზიდვები აზერბაიჯანსა და რუსეთში სასაზღვრო ზოლიდან - სამური/იადამა გადაზიდვები თურქეთში, ავღანეთში, ტაჯიკეთში, უზბეკეთში - ბორნით - ბაქო-თურქმენბაში

გადაზიდვები ყაზახეთში, უზბექეთსა და ყირგიზეთში - ბორნით - ბაქო-აქტაუ.

მუდმივი შეფერხებები ბორანზე ბაქო-თურქმენბაში, ბაქო-აქტაუ, ისევე როგორც სასაზღვრო ზონებში ავღანეთთან (serxetabat - ტურგუნდის მიმართულებით და გალაბა - ხაირატონის მიმართულებით) საგრძნობლად ზრდის სატრანზიტო დროს ფოთის პორტიდან [8].

ანაკლიის პორტი – გეგმის მიხედვით, ანაკლიის პორტის მშენებლობა 7 ეტაპად წარიმართება. მისი საბოლოო გამტარუნარიანობა კი 100 მილიონი ტონა იქნება და ის მოემსახურება: საკონტეინერო, თხევად, მყარ და მშრალ ტვირთებს [6].

ყულევის პორტი - შპს „Savv ზღვის ტერმინალი“ – ყულევის ტერმინალის მშენებლობა 2000 წელს დაიწყო, მაგრამ ორი წლის შემდეგ დაფინანსების შეწყვეტის გამო შეჩერდა. მშენებლობას საქართველოს რკინიგზა და ავსტრიული კომპანია „aromag იოლი“ აწარმოებდნენ. 2004 წლის სექტემბერში პროექტის გაგრძელების მიზნით შეიქმნა საერთაშორისო კონსორციუმი, რომელშიც ტერმინალის მშენებლობის ინიციატორები და ქართველი და უცხოელი ბიზნესმენები შედიოდნენ. 2007 წლის იანვარში ტერმინალი აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობექმანია Socar-ma შეიძინა. საბოლოოდ, ყულევის ნავთობექმინალი 2008 წლის 16 მაისს გაიხსნა. ტერმინალის გამტარუნარიანობა - წელიწადში 10 მლნ ტონამდე - ნავთობ-პორტუკების გადატვირთვის საშუალებას იძლევა.

სარეზერვუარო პარკის მთლიანი მოცულობა 320 ათასი კუბური მეტრია, 380 ათას ტონამდე ზრდის პოტენციალით. ობიექტს ემსახურება წინასაპორტო სარკინიგზო სადგური, რომელიც ტვირთის გადასხმის მოლოდინში მყოფ 180 ვაგონ-ცისტერნას ერთდროულად იტევს. სარკინიგზზო ესტაკადებზე ერთდროულად 168 ვაგონ-ცისტერნის გადმოტვირთვაა შესაძლებელი. 2010 წლის ივნისიდან ულევის პორტმა ყაზახური ნავთობის გადაზიდვა დაიწყო. 2012 წლის ივნისში კი, ნავთობტერმინალში არსებული პროპილენის გადასატვირთო ახალი კომპლექსის მეშვეობით, ულევის ტერმინალით ქიმიური პროდუქციის გადატვირთვაც გახდა შესაძლებელი [8].

დასკვნა. არ არსებობს ერთიანი აზრი იმის შესახ საჭიროა თუ არა რეგიონში თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნა, მაგრამ რთულია არ დავთანხმოთ პროფესორ გ. გამსახურდიას აზრს, რომელის მიხედვითაც: „...დაგროვილი გამოც-

დილების თანახმად თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნა ქვეყნის ეკონომიკის განვითარების სტატუსისა და მსოფლიო ეკონომიკურ პროცესებთან მისი დაკავშირების ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა“ [2; გვ. 214].

საქართველოს უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობა და ქვეყანაში არსებული განვითარებული პორტის არსებობა, იძლევა შესაძლებლობას ქვეყანა გადაიქცეს რეგიონული და მსოფლიო მნიშვნელობის ლოჯისტიკის ჰაბად, რაც გულისხმობს ექსპორტზე დაფუძნებული ეკონომიკურ ზრდას და უმუშევრობის შემცირებას. აღნიშნული ტრანსფორმაციის საფუძველი გახდება დია ეკონომიკა განვითარებული ინფრასტრუქტურით, მაღალი დონის აღმინისტრაციით და ვაჭრობის ხელშემწყობი ლოჯისტიკური სერვისებით [6]. სწორედ აღნიშნულ მეთოდებს მოვიაზრებთ თავისუფალი ეკონომიკური ზონის არსში.

გამოყენებული ლიტერატურა

წიგნები:

- მ. ფეიქრიშვილი, „საქართველოში თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნის მნიშვნელობა საგარეო ვაჭრობის განვითარებაში“; მეცნიერება, 1998, გვ.141
გ. გამსახურდია, „საქართველოს საფინანსო პოლიტიკის ძირითადი პრობლემები თანამედროვე ეტაპზე“; თბილისი, 1995
ა. ტიტოვი, დ. ივაშკინი, „საზღვაოპორტების განვითარების თანამედროვე ტენდენციები“, ეკონომიკური ჟურნალი, N1/2016
ი. ლიპეცკი, ვ. პულარკინი, ს. შალიხტერი, „მსოფლიო მეურნეობის გეოგრაფია“, სახელმძღვანელო, ВЛАДОС, 2015, გვ.400
ტ. ფროლოვა, „მსოფლიო ეკონომიკა“, სახელმძღვანელო, ЮФУ, 2010, გვ.346

REFERENCES

- M. Peikrishvili, "The necessity to create Free Economic Zones in Georgia in the development of international trade"; Science, 1998, pg. 141
G. Gamsakhurdia, "Main problems of the Finance politic of Georgia at the modern stage", Tbilisi, 1995
A. Titiov, D. Ivashkovich, "Modern trends in the development of seaports", Economic journal, N1/2016
I. Lipetcky, V. Puliarkin, S. Shalikhter, "Geography of the world economy"/Manual, VLADOS, 2015, pg. 400
T. Frolova, "World Economy", /Manual, UFU, 2010, pg. 346

ელექტრონული გამოცემები/Electronic publications

- http://ecopolitics.ge/?page_id=800 _ რ. მამულაძე, „საქართველოს საზღვაო-სატრანსპორტო და ლოჯისტიკური პოტენციალის განვითარების ძირითადი მიმართულებანი“, საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი – ეკონომიკური საბჭო საქართველოს პარლამენტი
<http://www.bec.ge/images/doc/tavisufali%20ekonomikuri%20zona.pdf> _ ბიზნესისა და ეკონომიკის ცენტრი
<http://forbes.ge/news/188/saqarTvelos-portebi> _ Forbes საქართველო
www.batumiport.com _ ბათუმის პორტის ვებ-გვერდი

დამხმარე მასალა:

ურთიერთგაების მემორანდუმი ქალაქ ბათუმსა და ბათუმის პორტს, საქართველო და დუბლინის პორტს, ირლანდიას შორის

Supporting material:

10. Memorandum of Understanding between Batumi City and Batumi Sea Port, Georgia and Sea Port Dublin, Ireland

დარგობრივი და რეგიონული ეკონომიკა - SECTORAL AND REGIONAL ECONOMY

დასავლეთ საქართველოს აგრარული სექტორის საექსპორტო პოტენციალი

EXSPORT POTENTIAL OF THE WEST GEORGIAN AGRICULTURAL SECTOR

ლელა კოჭლამაზაშვილი

ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის პროფესორი

LELA KOTCHLAMAZASHVILI

PhD in Economics, Georgian Technical University,
Professor

თეიმურაზ ყანდაშვილი

ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს
ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

TEIMURAZ KANDASHVILI

PhD in Economics, Georgian Technical University,
Professor

ანოტაცია

მსოფლიოს მრავალი განვითარებული ქვეყნის გამოცდილება თვალნათლივ ადასტურებს, რომ სწორი საექსპორტო პოლიტიკის წარმოებით, საჯუთარი და უცხოური ინგესტიციების ეროვნული მეურნეობის პრიორიტეტულ დარგებში დაბანდებით, სამამულო პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებით რეალურადაა შესაძლებელი ეკონომიკური ზრდის მიღწევა.

საქართველოს გააჩნია საკმაოდ მნიშვნელოვანი ეკონომიკური, საწარმოო-ტექნიკური და შრომითი პოტენციალი, ასევე ბუნებრივ - კლიმატური პირობები, რომელიც უზრუნველყოფს საკმაოდ მაღალი მასშტაბებისა და დონის საექსპორტო პოტენციალს.

ნაშრომში განხილულია თხილის, სუბტროპიკული კულტურების და ლურჯი მოცვის საექსპორტო პოტენციალი, რომელიც მოთხოვნადია, როგორც მეზობელი ქვეყნების ბაზრებზე, ასევე ევროპის ბაზარზე.

სტატიის მიზანი ეკონომიკური მონაცემების მიხედვით სამივე პროდუქტზე ბოლო წლებში მოთხოვნა საგრძნობლად გაიზარდა გაიზარდა. სასურველია ციტრუსების წარმოების სახელმწიფო პროგრამის მსგავსად შემუშავდეს ლურჯი მოცვის წარმოების სპეციალური პროგრამა, რომლის მიხედვითაც სოფლის მეურნეობის სამინისტრო გამოყოფს სუბსიდიებს, რაც ხელს შეუწყობს შემდგომში ამ აგროკულტურის ექსპორტის და შესაბამისად ქვეყნის ეკონომიკის ზრდას.

საკვანძო სიტყვები: აგრარული სექტორი, თხილ-კაკალის წარმოება, ციტრუსების კულტურა, ლურჯი მოცვის წარმოება

Abstract

The world's most developed country experience clearly shows that the export policy production, investing its national economy and foreign investments in terms of priority areas improves the competitiveness of domestic production and is realistically possible to achieve economic growth.

Georgia has a very important economic, industrial and labor-technical potential, as well as natural - climatic conditions, which ensures a high level of scale and export potential.

The paper deals with potential export of the nuts, subtropical crops and blueberries, which is demand in neighboring markets as well as in European markets.

According to statistical data of the three products in recent years, demand has increased significantly. It is desirable to develop a similar program for the citrus production and a special program for blueberries, under which the Ministry of Agriculture emissions subsidies, which will help to further the export of Agriculture and the country's economic growth.

Keywords: Agricultural Sector; Nuts, nut production, Citrus culture, Blueberries production

მსოფლიოს მრავალი განვითარებული ქვეყნის გამოცდილება თვალნათლივ ადასტურებს, რომ სწორი საექსპორტო პოლიტიკის წარმოებით, საკუთარი და უცხოური ინვესტიციების ეროვნული მეურნეობის პრიორიტეტულ დარგებში დაბანდებით, სამაშულო პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებით რეალურადაა შესაძლებელი ეკონომიკური ზრდის მიღწევა, პროგრესი კველა სფეროში.

ჩვენს ქვეყანას გააჩნია საკმაოდ მნიშვნელოვანი ეკონომიკური, საწარმოო-ტექნიკური და შრომითი პოტენციალი, რომელიც უზრუნველყოფს საქმაოდ მაღალი მასშტატებისა და დონის საექსპორტო პოტენციალს. სათანადო მუშაობით, მეცნიერთა და პრაქტიკოსთა ერთობლივი ძალისხმევით შეიძლება სერიოზული პროგრესის მიღწევა საექსპორტო პოლიტიკაში. მით უმეტეს, რომ მსოფლიო მასშტატით, თითოეული ქვეყანა, თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით, ბუნებრივ-კლიმატური პირობებით, ისტორიულად ჩამოყალიბებული სამეურნეო საქმიანობის კულტურით, ადათ-წესებით. ზენობრივი ნორმებით, საქონლის წარმოებისა, გაცვლა-განაწილებისა და მოხმარების თავისებურებებით განსხვავებულ ადგილს იკავებს საერთაშორისო ბიზნესის სივრცეში. ამ თვალსაზრისით, უნიკალური და სპეციფიკური ნიშნებით გამოირჩევა საქართველო, რომელიც ევროპისა და აზიის გზარჯვარედინზე მდებარეობს და უმნიშვნელოვანები პოლიტიკური და ეკონომიკური დერეფნის როდს ასრულებს. ეს გარემოება საქართველოს მსოფლიო ბიზნესის განვითარების თვალსაზრისით სახარბიელო ქვეყანად წარმოაჩენს, რომლის მოქლი პოტენციური შესაძლებლობები სრულად არ არის გამოყენებული.

სახოფლო-სამეურნეო წარმოების მნიშვნელოვანი წინაპირობაა ზღვრული მინიმალური ტექნიკურები, რომლების შესაძლებელს ხდიან გარკეული კულტურების გავრცელებას. ასე, მაგალითად, სუბტროპიკული კულტურების (ჩაის, ციტრუსის, ტუნგის) გაშენება საქართველოში შეიძლება მხოლოდ შავი ზღვის მიმდებარებული ტერიტორიაზე, დაახლოებით 200 მ სიმაღლემდე რადგან უფრო მაღალ ადგილებში მოსალოდნელია ისეთი ყინვები, რომელთა დროსაც აღნიშნული კულტურები იღუპება.

თხილის კულტურა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანებია საქართველოს სოფლის მეურნეობის-ათვის. ეს კულტურა კარგადაა ადაპტირებული ადგილობრივ ეკოლოგიურ-კლიმატურ პირობებთან. თხილის კულტურა ძირითად გავრცელებულია დასავლეთ საქართველოს შავი ზღვის სუბტროპიკულ ზონაში-სამეგრელოსა და აფხაზეთის ვაკეზე, ასევე გურიისა და იმერეთის რეგიონებში. ამიტომ თხილი ამ რეგიონებისათვის შემოსავლის ერთ-ერთ წარმოადგენს. მდიდარი ბუნებრივი პირობების გამო საქართველოში თხილის ჯიშების 30-მდე სახეობა გვხვდება: ანაკლიური, კულშიშველა, შევლის-

ურა, დედოფლის თითი და ა.შ..

ლაბორატორიული კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ საქართველოში მოყვანილი თხილის ნაირსახეობები მაღალი კალორიულობით გამოირჩევა. კალორიულობის მაჩვენებელია 62-72%, რაც 7-8%-ით აღემატება თურქულ, ესპანურ, ბერძნულ და იტალიურ ნაირსახეობებს.

დღესდღეობით მსოფლიოს ბაზარზე თხილი განსაკუთრებით მაღალი მოთხოვნით სარგებლობს. ქართულ თხილს, მაღალი ხარისხისა და საგემოვნო თვისებების წყალობით დიდ პერსპექტივა აქვს და შესაბამისად მზარდი მოთხოვნით გამოირჩევა. საქართველოსთვის თხილი უმსხვილესი და სტრატეგიულად უწინ შენელოვანების დარღია. 2014 წლის მონაცემებით საქართველოდან თხილის ექსპორტის ჯამურმაღირებულებამ 183,4 მლნ. აშშ დოლარი, ხოლო 2015 წლს 176,6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ამ მონაცემებით დვინის ექსპორტს გადააჭარბა და საქართველოს საექსპორტო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს შორის პირველ ადგილზე გადაინაცვლა.

მშრალი თხილისა და კაპალ-ნაყოფთა მწარმოებელთათვის და ექსპორტიორ-თათვის ევროპა ერთ-ერთი დიდი ბაზარია. ევროგაერთიანების ქვეყნებიდან ამ პროდუქტის უდიდეს წილს გერმანია (373,1 ტ.) და ნიდერლანდების სამეფო (242,1 ტ.) მოიხმარს. ამას ხელს უწყობს გამართული საგაჭრო ინფრასტრუქტურა და დიდი მოთხოვნა.

კარგი კლიმატური პირობების შემთხვევაში, საქართველოში გავრცელებული თხილის ჯიშების გამოსავლიანობა (გადამუშავების, კერძოდ კი შრობისა და ნაჟუჭის გაცლის შედეგად) დაახლოებით 7,000 ტონა თხილის გულს იძლევა. ძირითადად თხილი დასავლეთ საქართველოში იწარმოება; აქვე მუშავდება ნედლეულის დიდი ნაწილი.

საქართველოში წარმოებული და გადამუშავებული თხილის 95%-ი საექსპორტოდ გადის და წარმატებით იყიდება აღმოსავლეთ და დასავლეთ ეკოროპის ქვეყნებში (იტალია, საფრანგეთი, გერმანია, პოლანდია, ბელგია, ესპანეთი, უკრაინა, ბალტიისპირეთი).

თუ წლების წინ, ქართული თხილი გადაუმუშავებლად (გაუტეხავად) იყიდებოდა, დღეს ეს პროდუქტი ძირითადად გადამუშავებული (თხილის გამომშრალი, მოხალუები, დაქუცმაცებული გული) სახით იყიდება. ამის საჭირებას საერთაშორისო ბაზრის ტენდენციები, ხოლო შესაძლებლობას ქვეყნის შიგნით განვითარებული ინდუსტრიის თხილის სიმძლავრეები ქმნის.

გამოიკვეთა ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაც, კერძოდ, ახალგაშენებული თხილის უმცირესი ნაწილი განლაგებულია იმ ფართობებზე, სადაც ჩაის კულტურა ეკოლოგიურ იყო გაშენებული. თხილის კულტურა განსაკუთრებული იმითაც, რომ იგი არ ითხოვს დიდ კაპიტალდაბანდებას და ნაკ-

ლებად შრომატევადია, აგრეთვე ნაკლები მოთხოვნები გააჩნია კლიმატური პირობების მიმართ.

ფაქტია, რომ საბაზრო მოთხოვნიდან გამომდინარე, დასავლეთ საქართველოს ბევრმა რეგიონმა შეიცვალა პროფილი და პრიორიტეტული გახდა ის დარგები, რომელთა მიმართ მსოფლიო ბაზარზე მაღალი მოთხოვნა ჩამოყალიბდა.

საქართველოში ციტრუსოვანი კულტურები ცნობილია XII საუკუნიდან. პირველად მისი ინდუსტრია მოხდა XIX საუკუნის ბოლოს ბოლოს-XX საუკუნის დასაწყისში. ყოფილ სსრკ-ში ციტრუსოვანი კულტურების ნარგაობათა 90%-ზე მეტი მოდიოდა დასავლეთ საქართველოზე, სადაც დია გრუნტის პირობებში მოყავდათ მანდარინი, ფორთოხალი, ლიმონი, გრეიფრუტი და სხვა. ციტრუსების გავრცელები-

სა და ახალი ჯიშების გამოყვანისათვის ნაყოფიერ მეცნიერულ მუშაობას ეწევიან ქართველი სპეციალისტები. მათ დაამუშავეს ციტრუსოვანი კულტურების ნარგაობათა მოვლა-პატრონობის და აგროტექნილური პროგრამის დონისძიებანი. მიღებული აქვთ უხემსხმოიარე და სააღრეო მანდარინის ჯიშები, ყინვაგამძლე ლიმონი “დიოსკურია”, ჭიპიანი ფორთოხალი.

აჭარაში, სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგროსერვისცენტრის ჩაქვის ციტრუსოვანთა საცდელ-სადემონსტრაციო სანერგე მეურნეობაში ციტრუსოვნები გამენდა 2012 წელს, რომლის ფართობი 21,0 ჰექტარს შეადგენს, ხოლო განაშენიანებული ფართობი 15 ჰექტარს.

სანერგე მეურნეობაში წარმოდგენილია მანდარინის 28, ფორთოხლის -16, ლიმონის - 14, პომელოს - 6, გრეიფრუტის - 3, კინკანის - 3 და

ნარინჯის 1 ჯიში.

ცხრილი 1

ციტრუსების წარმოება საქართველოში

წელი	ციტრუსი (ათ. ტონა)
2011	54,9
2012	77,0
2013	110,4
2014	76,2
2015	85,5

* საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ცხრილი 2

ციტრუსების წარმოება სახეობების მიხედვით

ციტრუსების წარმოება (ათ.ტ) მათ შორის:	2011	2012	2013	2014	2015
მანდარინი	53,1	71,1	107,1	71,8	78,6
ფორთოხალი	0,6	3,5	1,4	1,9	3,6
ლიმონი	1,2	2,4	1,9	2,5	3,3

* საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2007-2011 წლებში ციტრუსებზე არ გამოყოფილა არც ერთი თეთრი სუბსიდია მთავრობის მხრიდან, ხოლო 2013 წელს მთავრობამ ციტრუსის სუბსიდირებისათვის 12 მლნ ლარი გამოყო რაც ფერმერისთვის ექსპორტირებულ 1 კილოგრამ სტანდარტულ ციტრუსზე 15 თეთრის დამატებას გულისხმობდა. არასტანდარტული ციტრუსის სუბსიდირებისთვის კი 1,8 მილიონი ლარი გამოიყო.

2013 წლის მონაცემებით, საქართველოდან ციტრუსის ექსპორტი გაიზარდა. სტატისტიკური ინფორმაციის მიხედვით, 2013 წელს საქართველოდან 20 187,7 ათასი დოლარის ღირებულების 37 936,7 ტონა ციტრუსის ექსპორტი განხორციელდა მაშინ, როდესაც 2012 წელს საქართველოდან გავიდა 7 669,8 ათასი დოლარის ღირებულების 17 129,0 ტონა.

ნა ციტრუსის ნაყოფი.

სტატისტიკური ინფორმაციის მიხედვით, ციტრუსის ექსპორტის მხრივ, საქართველოს ხომერ პირველი საექსპორტო ქავებანა უკრაინაა, სადაც 2013 წელს 9 195,0 ათასი დოლარის ღირებულების 20 607,5 ტონა ციტრუსი გაიტანეს. 2014 წელს მნიშვნელოვანი ბაზარი აღმოჩნდა ასევე რუსეთიც, სადაც 12088,4 ტონა ციტრუსი იქნა გატანილი. მაშინ როცა 2012 წელს რუსეთში სულ 19,3 ტონა ციტრუსის ექსპორტი იყო დაფიქსირებული.

2015 წელს ციტრუსის ექსპორტმა შეადგინა 13,4 მლნ. აშშ დოლარი (9%-ით და 1,3 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები). ძირითადი ექსპორტი განხორციელდა: რუსეთი (72%), უკრაინაში (14%) და აზერბაიჯანში (8%).

ბოლო 5 წლის განმავლობაში ევროკავშირში ნედლი კენკრის იმპორტი გაორმაგდა. მხოლოდ 2014 წელს არაწევრი ქვეყნებიდან იმპორტმა დაახლოებით 400 მილიონ ევროს მიაღწია, აქედან

72% განვითარებადი ქვეყნების პროდუქციამ დაიკავა. მოთხოვნა ყოველწლიურად იზრდება, რასაც ადგილობრივი წარმოება ვერ აკმაყოფილებს. მაისის ბოლო-ივლისის შეურიცხვები ის პერიოდია, როდესაც ქართველ მეწარმეებს შეუძლიათ საქუთარი პროდუქტი ევროპელ მომსმარებლებს შესთავაზონ - ამ დროს ევროპაში კენკროვანი კულტურების კრეფის სეზონი ჯერ არ არის დაწყებული და ფასიც შესაბამისად მაღალია.

ამერიკული ლურჯი მოცვი, რომელიც გურიისა და აჭარის მაღალმთიანეთის კლიმატურ პირობებს კარგად შეეგუა, უნიკალური თვისებების გამო მსოფლიო ბაზარზე დიდი მოთხოვნით სარგებლობს. საქართველოში მოყვანილი 12 ტონა ლურჯი მოცვი დიდი ბრიტანეთის ბაზარზე წელს პირველად შევიდა. amJamad მისი ექსპორტი რუსეთშიც ხორციელდება. თუ რუსეთში 1 კგ ლურჯი მოცვი 3,5 ევრო ლირს, ევროკავშირის ბაზარზე მისი ფასი 4-დან 10 ევრომდე მერყეობს.

კომპანია ~Vanrik Agro Group~-მა ლურჯი მოცვის გაშენება ოზურგეთის რაიონის სოფელ ლაიოურში 2012 წლის ბოლოს დაიწყო. პროექტში 5 მლნ ლოდარის ინვესტიცია ჩაიდო. ლურჯი მოცვის პლანტაცია ამჟამად 50 ჰექტარზეა გაშენებული. კომპანიის მენეჯმენტი უახლოეს მომავალში მეურნეობის 400 ჰა-მდე გაფართოებას აპირებს.

ქართველი ფერმერები ლურჯი მოცვის მოყვანით USAID-ის კვლევის გაცნობის შემდეგ დაინტე-

რესდნენ. პირველ ეტაპზე 147 ათასი ნერგი დაირგო. გაშენებულია 16 ჯიშის მოცვი და მოსავალი იკრიფება 15 აგვისტომდე. გველა ჯიში სხვადასხვა დროს იძლევა ნაყოფს. როგორც Vanrik Agro Group~is წარმომადგენელმა აღნიშნა, საქართველოში მოყვანილი ლურჯი მოცვი განსაკუთრებული გემოთი გამოირჩევა და ევროპის ბაზარზეც დიდი მოწონებით სარგებლობს. 12 ტონა ლურჯი მოცვი ბრიტანეთის ბაზარზე იქნა შეტანილი, ხოლო რუსეთის ბაზარზე 25 ტონა. ~Vanrik Agro Group~i ლურჯ მოცვეს 200-გრამიან და 4-კილოგრამიან პაკეტებში აფასოებს. ქართულ მიწაზე ადაპტირებული ამერიკული კენკრა ადგილობრივ ბაზარზეც იყიდება. საქართველოში 1კგ ლურჯი მოცვის ფასი 3-დან 9 ლარამდე მერყეობს. „Vanrik Agro Group~o ლურჯი მოცვის გადამამუშავებელ საწარმოს აშენებასაც გეგმავს. გადამამუშავებელი ხაზის მოწყობა უკვე დაწყებულია. მსოფლიოში ლურჯ მოცვეზე მოთხოვნა ყოველწლიურად იზრდება და მისი მოყვანა მომგებიანია. 2016 წლიდან „Vanrik Agro Group~o დაახლოებით 50 ტონამდე მოსავალს ელოდება. პროდუქცია ექსპორტზე ძირითადად უკროკავშირში გავა. ამ მიზნით პოლონურ კომპანიასთან მემორანდუმი უკვე გაფორმდა - საქართველოში მოყვანილი ლურჯი მოცვის ევროპის ქვეყნებში შეტანაზე სწორედ ეს პოლონური კომპანია იზრუნებს.

ლიტერატურა/REFERENCES:

- 1 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური;
- 2 ლ. კოჭლამაზაშვილი, თ. ყანდაშვილი „Txilis ბიზნესის განვითარების პერსპექტივები საქართველოში“ 2015 წ. აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 110-ე წლისთვისადმი მიდღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „erovnuli ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები“.
- 3 ერნალი „Cveni სოფელი“
<http://georgien.ahk.de/georgien/newsletter/agro-food-news-georgia/>
<http://eugeorgia.info/ka/>

დარგობრივი და რეგიონული ეკონომიკა - SECTORAL AND REGIONAL ECONOMY

თემის მაურნეობის დივერსიფიკაციის თანამაზროვან
პროცესის აკვაკულტურის განვითარების მიმართულებით

MODERN PROCESSES OF DIVERSIFICATION OF FISHERIES TOWARDS AQUACULTURE DEVELOPMENT

ნატალია ვდოვენკო

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი. ბიორესურსებისა და
ბუნებათსარგებლობის უკრაინის ეროვნული
უნივერსიტეტის გლობალური ეკონომიკის
კათედრის გამგე

NATALIA VDOVENKO

*Doctor of Economics, Professor, and Honored
Agriculture Worker of Ukraine Head
of the Department of Global Economics, National
University of Life
and Environmental Sciences of Ukraine*

ანოტაცია

ნაშრომში დადგენილია, რომ თევზის მეურნეობის საწარმოების შესახებ ეკონომიკური ინფორმაციის დაჯგუფებისა და სისტემატიზაციის მიზნით, ასევე ასევე კვლავწარმოების შესახებ სარწმუნო ინფორმაციის მიღებისათვის და აკვაკულტურის პროცესების მოპოვებისათვის აუცილებელია თევზის მეურნეობის სუბიექტების განვითარების პროცესების რეგულირება აკვაკულტურის სფეროში. აღნიშნულია, რომ აკვაკულტურის საწარმოებში გამოყანილი პროდუქცია განსხვავდება ველური ბუნებიდან მიღებული პროდუქციისაგან. წინადაღებების შემუშავების დროს. გაანალიზებული აღნიშნული განსხვავების არსი. კვლევის პროცესში ჩვენს მიერ შემოთავაზებულია თანამედროვე წარმოდგენები მიღებულ ინფორმაციაზე, ის მნიშვნელოვანია აკვაკულტურის სექტორის განვითარების მონიტორინგისათვის, ასევე წარმოადგენს შიდა ბაზარზე აკვაკულტურის პროდუქციის მოთხოვნისა და მიწოდების რეგულირებისათვის აუცილებელ საფუძველს.

ნაშრომში გათვალისწინებულია, რომ აკვაკულტურის თავისებურებას წარმოადგენს თვით წარმოების ობიექტის - თევზის, რომელიც გამოიყვანება ხელოვნურად ადამიანის მიერ კონტროლირებად პირობებში, სპეციფიკური ხასიათი. იმისათვის, რომ ბოლომდე იქნას გამოყენებული აღნიშნული უპირატესობა, აუცილებელია კარგი ინფორმირებულობა კველა იმ ცვლილებებზე, რომელიც ხდება თევზის მარაგების რაოდენობაში და მათ ხახობრივ შემაღებელობაში, ასევე ინტეგრაციული პროცესების პირობებში თევზჭერის დარგის საწარმო სიმძლავრეებში.

კვლევის პროცესში ჩვენს მიერ მთითებული ფორმის მიხედვით გამოვლენილი იქნა ინფორმაციის მიღების არსებული სისტემის ნაკლოვანი მხარეები. დადგენილი იქნა, რომ აღნიშნული სისტემა არასაკმარისად აკმაყოფილებს უკრაინის სახოვნების მოთხოვნილებებს ინფორმაციის მიღებაში მათზე დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად. კერძოდ, განაწილების ფუნქციის შესასრულებლად მეურნებრიობის სუბიექტებს შორის, რომელიც დაკავებული არიან თევზჭერის საქმიანობით, წყლის ბიორესურსების სპეციალური ქვობების გამოყენებით. დღისათვის, კანონმდებლობის შესაბამისად, ინფორმაცია თევზის მეურნეობის მდგრადირების შესახებ მიეწოდება მხოლოდ კრებითი ხახით.

საკანონო სიტყვები: დივერსიფიკაცია, რეგულირება, თევზის მეურნეობა, აგრარული სექტორი, აკვაკულტურის წარმოება, ბაზარი, კვრობული ინტეგრაცია, მეთოდიკა.

Abstract

In the article we have studied that the purpose of the systematization and grouping of economic information on fisheries production, obtaining reliable indicators of reproduction, growing and catching of aquaculture products, a successful organization, it is necessary to regulate the processes of development of subjects of fisheries in aquaculture. This process is grown products at the enterprises of aquaculture from products derived from wildlife are noted. It examines the nature of this distribution, that is, the possibility of applying appropriate instruments to regulate the industry development and implementation of the assessment of the extent of fish production. In the development of proposals, in the research process, we proposed modern ideas about the information received. It will be important to monitor the development of the aquaculture sector, and is the basis for proper regulation of supply and demand of aquaculture products (both marketable fish and fish stocking material) in the domestic market.

It was considered that aquaculture is a specific character of the object of production – fish produced artificially mainly controlled by human conditions. In order to fully use this advantage, you must be well-informed about all the changes that occur in fish stocks and their species composition, available production capacity. A condition of receipt of such information from the sector is well organized primary account of the production processes and consolidated accounting of harvested fish and other aquatic biological resources. Here it is necessary to focus state regulation on issues of food security of Ukraine, where a significant role to play fish supplies, given its high utility value. To achieve these objectives it is the necessary information about the changes that occur in fish stocks. Also their species composition and available capacities in the fishing industry in the context of integration processes are interested.

During the start of the study, we determined the shortcomings of the existing system to obtain indicators on these forms. It is established that this system does not fully meet the needs of Gosrybagentstvo of Ukraine to obtain information to perform its functions. The function distribution between economic entities that are engaged in the fisheries are studied. The quotas for the special use of water bioresources and the presence of indicators in the context of the respondents are investigated. According to the legislation information on the status of fisheries is available only in aggregate form. Identified in the process of variance analysis between actual and statistical data can be eliminated by prescribing the structure of gross aquaculture production by categories of farms, fishing enterprises, state-owned enterprises, farms, other subjects of managing

Keywords: diversification, regulation, fisheries, agriculture, industry, aquaculture, market, European integration, the technique

Вступление. После дополнительного изучения проекта обновленной версии Классификации видов экономической деятельности-2010 определяется необходимость обоснования методических подходов к созданию системы идентификации информации в условиях глобальных трансформационных процессов. Это необходимо с целью проведения систематизации и группировки экономической информации о рыболовном производстве, получении достоверных показателей воспроизводства, выращивания и вылова продукции аквакультуры, успешной организации и регулирования процессов развития субъектов рыбного хозяйства в области аквакультуры. Уместно отметить, что в этом процессе отличается выращенная продукция на предприятиях аквакультуры от продукции, полученной из объектов дикой природы. Если внимательно проанализировать сущность такого распределения, то есть возможность применять соответствующие инструменты для регулирования развития отрасли и осуществлять оценку масштабов производства рыбы. Согласно современным представлениям, полученная информация будет важной для мониторинга развития сектора аквакультуры, а также выступает базой для надлежащего регулирования спроса и предложения продукции аквакультуры на внутреннем рынке.

Анализ последних исследований и публикаций. Наши исследования дают основания утверждать, что экономическая научная мысль формировалась в эпоху, когда наблюдались значительные колебания производства продовольствия, когда голод был распространенным явлением. Это объясняет тот факт, что все цивилизации возникали у крупных

водоемов или рек. Самая низкая стадия дикости человечества был преодолен именно с введением рыбной пищи. Народы, являются первыми носителями цивилизации, жили у Средиземного моря [1]. Только при условии развитого сельского хозяйства, при расположении фермерского хозяйства у богатых рыбой водоемов, рента землевладельца отвечает не потому, что фермер может получить от земли, а потому, что он может получить одновременно от земли и от моря (рента входит как составная часть в цену рыбы) [1]. Хотя успешность ограничена и неопределенной в случае увеличения количества, как подчеркивает А. Смит, довольно важного продукта на рынке - рыбы и других водных биоресурсов, через топографию страны, близость или удаленность ее различных провинций от моря, количество ее озер и рек, богатство или бедность водоемов рыбой [1]. Именно земля, рудники и рыболовство, считает А. Смит, во-первых, являются главными источниками пополнения оборотного капитала, во-вторых, требуют для своей эксплуатации как оборотного, так и основного капитала. При этом наблюдается феномен, когда с помощью продукта земли извлекают рыбу из воды [1].

Среди значительного количества ученых, которые внесли свой научный потенциал в разработке мер воздействия мы отмечаем Й. Шумпетера [2], Дж. Гелбрейта [3], Ф. Хайека [4], Г. Саймона [5], Р. Коуза [6]. Многие известные ученые посвятили свои научные труды проблемам формирования рыночной экономики [7, 8]. Именно этот научный потенциал в комплексной оценке разных ученых, дал возможность выстроить для аграрного сектора систему государственных регуляторов влияния на спрос и предложение на рыбу.

Целью исследования на данном этапе выступают современные процессы диверсификации в отрасли рыбного хозяйства и актуализация внимания на экономических вопросах возрождения аквакультуры, с ориентацией на продовольственную безопасность в условиях европейской интеграции.

Изложение основного материала. Как показывает исследование, важный шаг для закрепления начатого процесса диверсификации рыбного хозяйства в направлении развития аквакультуры на основе унифицированного с высокими стандартами производства и регулирования ее методологического инструментария был сделан при разработке национальной версии КВЭД (ДК 009:2010). Этот процесс происходил на базе NACE (Rev. 2, 2006) и Центральной статистической классификации продукции по видам экономической деятельности, на базе CPA-2008. Вспомогательным методическим средством внедрения КВЭД-2010 стали разработанные с нашим участием таблицы перекодировки видов экономической деятельности. Это и КВЭД-2005 на КВЭД-2010, и КВЭД-2010 (КВЭД-2005). Другими словами эти изменения были необходимы для проведения государственных статистических наблюдений в государственную статистическую деятельность. Использование предложенных методических подходов к распределению между счетами за отдельными фазами экономической деятельности на уровне секций КВЭД-2010, в процессе исследования позволило Секцию А – «Сельское хозяйство, охота, лесное хозяйство» и Секции В «Рыболовство, рыбоводство» объединить в одну: Секция А «Сельское хозяйство, лесное хозяйство и рыбное хозяйство». Секция А состоит из 3 разделов. В свою очередь раздел 03 «Рыболовство и разведение аквакультуры» – состоит из двух групп, каждая из которых детализирована по видам деятельности (морская и пресноводная аквакультура). Учитывая положения Закона Украины «Об основных принципах государственной аграрной политики на период до 2015 года» от 18.10.2005 № 2982, политика относительно развития рынков продукции сельского хозяйства и продовольствия направлена на обеспечение платежеспособного спроса населения в продовольственных товарах. Кроме того, включены потребности предприятий пищевой промышленности в сырье, создания условий для защиты внутреннего рынка и содействие продвижению сельскохозяйственной продукции и продовольствия на внешний рынок. Безусловно, данный нормативно-правовой документ определяет, что основными направлениями решения проблем отраслевого развития и формирования рынков продукции сельского хозяйства и продовольствия являются: создание государственной системы ценового мониторинга, анализа конъюнктуры и прогноза рынков, в частности рынка продукции аквакультуры, распространение этой информации среди их участников и совершенствование системы государственной статистики субъектов рынка. Логика наших рассуждений относительно формирования достоверных отчетных данных в сфере аквакультуры направлена на выяснение технологических особенностей и специфику производства. Имеет место и учет определения уровня отображения информации в смежных формах

первичного учета и отчетности рыбохозяйственных предприятий, далее – выявление ее основных процессуальных условий, и наконец, переосмысление под этим углом традиционного отображения информации, которое сформировалось сейчас.

Здесь нужно еще учесть, что особенностью аквакультуры является специфический характер самого объекта производства – рыбы, которую выращивают искусственно в основном контролируемых человеком условиях. Для того, чтобы полностью использовать это преимущество, необходимо быть хорошо информированными обо всех изменениях, которые происходят в рыбных запасах и их видовом составе, имеющихся производственных мощностях. Условием получения такой информации от хозяйства является хорошо организованный первичный учет производственных процессов и сводный учет выловленной рыбы и других водных биологических ресурсов. Здесь необходимо сосредоточить государственное регулирование на вопросах обеспечения продовольственной безопасности Украины, где существенную роль должно играть поставки рыбы, учитывая ее высокую потребительскую ценность. Для этого нужна информация об изменениях, что происходит в рыбных запасах, их видовом составе и имеющихся производственных мощностях в рыбной отрасли. Учитывая Положение о Государственном агентстве рыбного хозяйства Украины, утвержденного Указом Президента Украины от 16.04.2001 № 484/2011, информация относительно вылова рыбы является основой для реализации государственной политики. Также необходимо не выходить из рамок Государственной целевой экономической программы развития рыбного хозяйства на 2012-2016 годы. Программа утверждена постановлением Кабинета Министров Украины от 23.11.11 № 1245, охраны, использования и воспроизводства водных биологических ресурсов в соответствии с международными стандартами и нормами, а также выполнение иных административных обязанностей и задач, отнесенных к компетенции Государственного агентства рыбного хозяйства Украины [8]. В данном контексте укажем о необходимости анализа общего табеля (перечня) отчетных форм государственных статистических наблюдений, в частности, раздела 10 «Статистика рыбного хозяйства». Он раскрывает теоретически значимые для нашего исследования аспекты общей проблемы и дает возможность убедиться в достоверности сделанных выводов о необходимости совершенствования механизма получения данных об объемах выращивания и вылова рыбы, рыбопосадочного материала. В целом, субъекты рыбного хозяйства в области аквакультуры составляют и представляют органу государственной статистики по месту нахождения только годовую форму № 1-рыба «Вылов рыбы, добывания других водных живых ресурсов за 20_ г.». Также подается и № 1-рыба «Вылов рыбы, добывания других водных живых ресурсов за январь - 20_ г.» (помесчная). Форма утверждена приказом Госкомстата от 22.04.11 № 97. Стоит упомянуть, что особенности составления статистической отчетности рыбоводческими хозяйствами были освещены еще при разработке «Методических рекомендаций по со-

ставлению обновленной годовой бухгалтерской отчетности предприятиями АПК за 2004 год». Разработка рекомендована к применению предприятиями АПК Научно-методическим советом учета, отчетности и аудита при Минагрополитики Украины и Советом Федерации аудиторов, бухгалтеров и финансистов АПК Украины (протоколы № 3 / № 5 от 19.11.2004). Важным достижением в разработке теоретических и прикладных аспектов формирования методологических подходов к получению достоверных отчетных показателей было установлено то, что фермерские хозяйства, деятельность которых связана с производством продукции аквакультуры, не отчитываются в сфере рыболовства, зарыбления, выращивания, вылова рыбы и других биоресурсов. Сказанное подтверждает и обработка данных статистического ежегодника Украины в динамике. При анализе раздела 9 «Статистика сельского хозяйства» наибольший интерес для нас составлял содержание формы 2-ферм «Основные показатели хозяйственной деятельности фермерского хозяйства за 20 год». В форме в разделе 1 по строке 028 приводится информация о водных объектах фермерского хозяйства, которые находятся в его владении или пользовании, по строке 029 – площадь, которая использовалась в отчетном году для ведения рыбного хозяйства. Далее по коду 340 отражают реализацию другой продукции животноводства, которая не указана по кодам 330-336, а именно: племенных животных, молодняка на доращивании, лошадей, суточных петушков, каракульских смушек, продукции звероводства, навоза, птичьего помета, шерсти-линьки, коконов. Данные относительно объемов реализации продукции аквакультуры отдельной строкой не отражают. Заметим, что в строке «Количество» показано количество минеральных и органических удобрений, внесенных под урожай отчетного года, независимо от времени их внесения: под пары и зябь в прошлом году, а также перед посевом, во время сева и в виде подкормки в отчетном году и осенью прошлого года. В графе 350 проставляют данные о количестве органических удобрений: навоза, различных компостов, органоминеральных смесей, птичьего помета, в графах 352, 353, 354 – соответственно общее количество азотных, фосфорных и калийных удобрений, внесенных под урожай отчетного года, в пересчете на 100 % питательных веществ. Данные относительно количества органических и минеральных удобрений, внесенных в рыбоводческие пруды на протяжении вегетационного (летнего) периода при выращивании рыбопосад-

очного материала, товарной рыбы не приведены. Без преувеличения можно сказать, что не отслеживается взаимосвязь в получении целостной и достоверной информации о деятельности хозяйства. Данные о площа-ди водного зеркала, государственную поддержку на осуществление мероприятий по воспроизводству водных биологических ресурсов (за счет бюджетных дотаций) в искусственных условиях в отчете отражаются, а информация об объемах вылова и реализации продукции аквакультуры не выделена из другой продукции животноводства. Проведены исследовательские поиски позволили подчеркнуть то, что в Приказе Минагрополитики Украины от 15.07.2004 № 255 «Об утверждении форм отчетности по рыболовству, выращивания и зарыблению» и в приложениях 1 и 2 к приказу от 16.07.2004 № 255, указано, что форма 1-РГ «Отчет о рыбоводстве» и форма 2-РГ «Отчет о выращивание и вылов рыбы» представляется юридическими лицами и их обособленными подразделениями независимо от форм собственности и подчинения – Укргосрыбхоза. Обосновывая ограниченность представления такой информации только юридическими лицами, подтверждаем, что результатом этого является потеря ценной информации о производстве и реализации продукции аквакультуры фермерскими хозяйствами. Поэтому эта проблема может повлиять на составление планов и прогнозов развития рыбной отрасли.

Выводы. В заключение имеем возможность отметить, что существующая система получения показателей по указанным формам не полностью удовлетворяет потребности Госрыбагентства Украины в получении информации для выполнения возложенных на него функций. В частности, для выполнения функции распределения между субъектами хозяйствования, которые занимаются рыбохозяйственной деятельностью, квоты специального использования водных биоресурсов, необходимо наличие показателей в разрезе респондентов. А на сегодня согласно законодательству информации о состоянии рыбного хозяйства предоставляется только в сводном обезличенном виде. Выявленные в процессе анализа несоответствия между фактическими и статистическими данными могут быть устранены путем выписанной структуры валового производства продукции аквакультуры по категориям хозяйств: рыбохозяйственные предприятия, государственные предприятия, фермерские хозяйства, другие субъекты хозяйствования.

REFERENCES

1. Smith, A. (2007). Investigation of nature and causes of wealth peoples. Moscow: Eksmo, 960.
2. Schumpeter, J. (1982). Theory of Economic Development (Study of business profits, capital, credit, interest and cycle conditions). Moscow: Progress, 455.
3. Galbraith, J. (2004). New Industrial State. Moscow: AST, 602.
4. Hayek, F. (1992). Fatal conceit. Errors of Socialism. Moscow: News, 304.
5. Simon, G. (2001). Administrative Behavior: A Study of decision making in organizations that perform administrative functions. Kiev: Artek, 392.
6. Coase, R. (2007). Federal Politics in communication. Economic politic, 3, 146.
7. Lukin, I. (1997). Economic Transformation (late twentieth century). Kiev: IN NASU, 455.
8. Lukin, I. (2007). Selected Works. Kiev: NSC IAE, 816.

დარგობრივი და რეგიონული ეკონომიკა - SECTORAL AND REGIONAL ECONOMY

განვითარებული ინფრასტრუქტურა - მცირე და საშუალო პიზნე- სის წილის ფაქტორი

INFRASTRUCTURE AS FACTOR OF DEVELOPMENT OF SMALL AND ME- DIUM BUSINESS

ლეილა ცეცხლაძე

ბიზნესის მართვის დოქტორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ასისტენტ-პროფესორი

LEILA TSETSKHLADZE

Doctor of Business Administration, Batumi Shota
Rustaveli State University, assistant professor

ანოტაცია

სტატიაში განხილულია ცნებები „infrastructure“, „mcire“ და საშუალო ბიზნესის ინფრასტრუქტურა“. მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოთა წარმატებული საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს წარმოადგენს ინფრასტრუქტურის არსებობა და მისი მდგომარეობა. სტატია ასახავს საწარმოთა ინფრასტრუქტურის ძირითად ელემენტებსა და ობიექტებს. ასევე, აღწერილია მცირე ბიზნესის ინფრასტრუქტურის მხარდაჭერის როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

საკვანძო სიტყვები: მცირე და საშუალო ბიზნესი, ინფრასტრუქტურა, ინოვაციები, მხარდაჭერის დონისძიებები, სახელმწიფო მხარდაჭრა.

Abstract

There are discussed notions of “Infrastructure” and “Infrastructure of small and medium business” in the article. One of the main reason of successful acting in the market of small and medium business is infrastructure and infrastructure condition. There are represented main elements and objects of enterprise infrastructure in the following article. We can see essential role of government support in small business infrastructure for promotion future economic development of country.

Key words: small and large Business, infrastructure, innovation, support measures, government support.

ბოლო ათწლეულებში მსოფლიოში მიმდინარე ცვლილებებმა, ეკონომიკურმა და სოციალურმა კატაკლიზმებმა დაადასტურა, რომ ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლება შეუძლებელია ეროვნული წარმოების განვითარების გარეშე. მხოლოდ მისი მეშვეობით იქმნება ქვეყნის რეალური სიმდიდრე და მატერიალური საფუძველი სხვა დარგების განვითარებისათვის. დღეისათვის ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკის სიმძლავრესა და განვითარების დონეზე მსჯელობენ ბიზნესის გარემოს ჯახსაღი პირობებით. აქედან გამომდინარე, ბიზნესი საქართველოსთვისაც ეკონომიკის უმნიშვნელოვანების შემადგენელი ნაწილი ხდება, ხოლო მეწარმეობის ხელშეწყობა, ინოვაციური და

უფრო პროდუქტიული ფირმების განვითარებისა და სწრაფად ზრდისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა სახელმწიფოს მიზნებს შორის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად რჩება.

საქართველოში საბაზო ეკონომიკის განვითარებისა და თავისუფალი მეწარმეობის გაძლიერებისათვის გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, სერიოზული მსჯელობის საგანს წარმოადგენს მოსახლეობის დაბალ შემოსავლიანი ფენებისათვის შემოსავლების ზრდის საკითხი, რაც საზოგადოებაში სოციალური პრობლემებით გამოწვეული უარყოფითი მუხტის შესუსტებას და ძლიერი საშუალო ფენის ფორმირებას უზრუნველყოფს. ამ გამოწვევის გადაჭრის უპირატეს

გზას წარმოადგენს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას უდიდესი როლი ენიჭება, უპირველესად დასაქმების პრობლემის მოგვარებაში, რადგანაც მან შეიძლება დასაქმოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი და გაზარდოს მათი შემოსავლები. ეს დასტურდება იმითაც, რომ განვითარებულ სახელმწიფო ეკონომიკის შემთხვევაში დასაქმებულთა რიცხვი დაახლოებით 60-65% შეადგენს. გარდა ამისა ის განსაკუთრებულ როლს ასრულებს მთლიანი შიდა პროდუქტის ფორმირებაში, მსხვილი კომპანიების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში, ახალი ტექნოლოგიებისა და ნოვაციების დანერგვაში. ეკონომიკის ეს სექტორი დაღებით ზემოქმედებას ახდენს სახელმწიფო ბიუჯეტზე, რაც შემოსავლებისა და ხარჯების მიმართულებებში გამოიხატება. შემოსავლების მხრივ, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება ქმნის ახალ საგადასახადო ბაზას, რაც ბიუჯეტში დამატებითი შემოსავლების სახით აისახება. ხარჯვით ნაწილში, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება ზრდის ამ სფეროში დასაქმებულთა შემოსავლებს, რაც ამცირებს ბიუჯეტიდან შესაბამისი სოციალური ტრანსფერების გამოყოფის შესაძლებლობას.

მიუხედავად იმისა, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის გატარებული პოლიტიკა სრულყოფილი არ არის, მაინც შეინიშნება მათი რაოდენობრივი ზრდა, ასევე, მათ მიერ გამოშვებული პროდუქციისა და დასაქმებულთა რაოდენობის მაჩვენებლების ზრდა, რასაც მოწმობს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, საწარმოთა ზომის განსაზღვრის ახალი მეთოდოლოგია შეიმუშავა. საქართველოში საწარმოთა ზომის განმსაზღვრელი მეთოდოლოგიის დაახლოება საერთაშორისო სტანდარტებთან, ერთ-ერთ რეკომენდაციად არის დაფიქსირებული ეკონოსტატის სექტორული მიმოხილვის დოკუმენტში. გარდა ამისა, საწარმოთა ზომების ახალი დეფინიციის შემუშავება გათვალისწინებულია მცირე და სა-

შეალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმითაც.

2017 წლამდე საწარმოთა ზომის, რომელიც 2002 წელს შემუშავებული მეთოდოლოგიით განისაზღვრებოდა, პქონდა შემდეგი სახე:

მსხვილ საწარმოებს განეკუთვნებოდა საწარმო, სადაც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა აღემატებოდა 100 კაცს ან საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა 1,5 მლნ ლარს;

საშუალო ზომის საწარმოებს მიეკუთვნებოდა ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა მერყეობდა 20-დან 100 კაცამდე, ხოლო საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა - 0,5 მლნ ლარიდან 1,5 მლნ ლარამდე;

მცირე ზომის საწარმოებს მიეკუთვნებოდა ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა არ აღემატებოდა 20 დასაქმებულს და საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა - 0,5 მლნ ლარს.

2017 წლიდან საწარმოთა ზომის განსაზღვრის შემდეგი მეთოდოლოგია მოქმედებს:


მსხვილ საწარმოებს მიეკუთვნება საწარმო, სადაც დასაქმებულითა საშუალო წლიური რაოდენობა აღემატება 249 კაცს ან საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა 60 მლნ ლარს;

საშუალო საწარმოებს მიეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა მერყეობს 50-დან 250 კაცამდე, ხოლო საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა - 12 მლნ ლარიდან 60 მლნ ლარამდე;

მცირე ზომის საწარმოებს მიეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა არ აღემატება 50 დასაქმებულს და საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა 12 მლნ ლარს.

აღნიშნული მეთოდოლოგიის თანახმად მცირე და საშუალო საწარმოების ეკონომიკურ მაჩვენებლებს გრაფიკულად აქვთ შემდეგი სახე:

ნახ.1. მცირე და საშუალო საწარმოებში პროდუქციის გამოშვება (მლნ ლარი) წლართობის განვითარება (მლნ ლარი)




მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით.

აღნიშნული მაჩვენებლები გვაძლევს შემდეგი ანალიზის საშუალებას: მცირე და საშუალო საწარმოებში პროდუქციის გამოშვებისა და დასაქმების მაჩვენებლები თანდათანობით, მაგრამ ზომიერად იზრდება. მცირე ბიზნესში პროდუქციის გამოშვება 2015 წელს 2012 წელთან შედარებით

თითქმის 50%-ით გაიზარდა, ხოლო 2014 წელთან შედარებით - 15%-ით. ასევე, დასაქმების მაჩვენებელიც 2015 წელს 2012 წელთან შედარებით გაიზარდა 17%-ით, ხოლო 2014 წელთან შედარებით კი - 4%-ით.

ნახ.2. მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობა (აTasi კაცი)



წყარო: შედგენილია აგტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით.

საშუალო ზომის საწარმოებშიც მსგავსი ტენდენცია გვაქვს. 2015 წელს პროდუქციის გამოშვება 2012 წელთან შედარებით 29%-ით გაიზარდა, ხოლო 2014 წელთან შედარებით კი - 19%-ით. დასაქმებულთა მხრივაც 2015 წელს 2012 წელთან შედარებით გვაქვს ზრდა 15%-ით, ხოლო 2014 წელთან შედარებით კი - 8%-ით.

რაც შევქება მსხვილ ბიზნესს, პროდუქციის გამოშვება 2015 წელს 2012 წელთან შედარებით გაიზარდა 19%-ით, ხოლო 2014 წელთან შედარებით - 12%-ით. დასაქმების მაჩვენებლებსაც აქვთ შესაბამისად 17% და 4%-იანი ზრდა. ზემოთ აღნიშნულიდან ჩანს, რომ მცირე და საშუალო ბიზნესს აქვს მზარდი ტენდენცია.

მცირე და საშუალო საწარმოთა ეკონომიკური მაჩვენებლების კიდევ უფრო ზრდისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინფრასტრუქტურის განვითარებას. უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს პირდაპირი დამოკიდებულება ინფრასტრუქტურის სრულყოფის ღონისძიებებსა და მცირე და საშუალო საწარმოთა რაოდენობის ზრდას შორის, შესაბამისად იზრდება მათი წლილი ეროვნული ეკონომიკის მაჩვენებელთა ზრდაში.

თანამედროვე ენციკლოპედია ტერმინ „ინფრასტრუქტურას“ (ლათინურად ინფრა – დაბლა, სტრუქტურა-განლაგება) განსაზღვრავს როგორც აღმოჩენილობების, შენობების, სისტემებისა და სამსახურების ერთობლიობას, რომლებიც აუცილებელია მატერიალური წარმოების დარღვების ფუნქციონირების უზრუნველყოფისათვის. ეკონომიკურ ლიტერატურაში ტერმინი „ინფრასტრუქტურა“ პირველად XX ს-ის 40-იანი წლების ბოლოს გამოჩნდა. ამერიკლამა ეკონომიკისტმა პაულ როზენშტეინ-როდანმა ინფრასტრუქტურა განსაზღვრა როგორც პირობების ერთობლიობა,

რომლებიც უზრუნველყოფენ ეკონომიკის ძირითად დარგებში მეწარმეობის განვითარებისათვის კეთილსასურველი პირობების შექმნას.

ამდენად, ინფრასტრუქტურის ქვეშ ესმით ღონისძიებათა კომპლექსი, რომლებიც უზრუნველყოფს მდგრად განვითარებას და დასახლებებისა და სხვადასხვა ტიპის ტერიტორიების ფუნქციონირებას, ხოლო სამეწარმეო საქმიანობის ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფა წარმოადგენს ეკონომიკური სისტემის ქვესისტემას.

მსს მხარდაჭერის ინფრასტრუქტურა - ეს არის სახელმწიფო, არასახელმწიფო, საზოგადოებრივი, საგანმანათლებლო, კომერციული ორგანიზაციების ერთობლიობა, რომლებიც ახორციელებენ საგანმანათლებლო, კონსალტინგურ და სხვა სახის მომსახურებას, რითაც უზრუნველყოფენ საქონლისა და მომსახურების წარმოებისათვის სათანადო გარემოს შექმნას.

მცირე საწარმოთა საქმიანი შესაძლებლობების გაფართოება წარმოადგენს ახალ ელექტრონურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის შესაძლებლობებს, არამედ სწავლების შესაძლებლობებსაც, რაც გულისხმობს კვალიფიკაციის ამაღლებას, პროფესიონალური ცოდნის მიღებას სამართლისა და ფინანსების საკითხებზე და ა.შ. ინფრასტრუქტურის ფორმირების მიზანია მსს-ის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, რომლებიც წარმოიქმნება ბიზნესის შექმნის, გაძლიერისა და გაფართოების პროცესში. რეგიონთაშორის და საერთაშორისო კავშირების განვითარება-გაფართოება შესაძლებლობებს შექმნის საქონლისა და

მომსახურების გაფართოებისათვის საერთაშორისო და რეგიონულ ბაზრებზე, ასევე შესაძლებელი გახდება მცირე საწარმოთა კოოპერაციის სხვადასხვა ფორმების ჩამოყალიბება, მათ შორის სუბკონტრაქტული ურთიერთობები საშუალო და მსხვილ საწარმოებთან, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ. ძალიან მნიშვნელოვანია მცირე საწარმოთა მონაწილეობა საერთაშორისო გამოვენა-ბაზრობებზე, კონფერენციებზე, სემინარებზე, საქმიან შეხვედრებზე.

ინფრასტრუქტურის ეკონომიკური შინაარსის გაგება შესაძლებელია მისი ფუნქციათა სისტემით.

პირველი ფუნქცია ზოგადად მეურნეობის დარგებისათვის, ასევე რეგიონებში, საწარმოებში და სოციალურ სფეროში ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის თანაბარი პირობების შექმნა.

მეორე ფუნქცია უკავშირდება მას როგორც სისტემაშექმნელის როლს. ის განაპირობებს კვლავწარმოების ფაზების ერთიანობას, როგორც სახალხო მეურნეობაში ასევე მის ცალკეულ სტრუქტურულ ერთეულებში, რაც მიიღწევა კვლავწარმოების პროცესში ურთიერთკავშირის დაყარებით.

მესამე ფუნქცია მდგომარეობს სასაქონლო, ფულად, საინფორმაციო და სხვა ნაკადების უწყვეტობის უზრუნველყოფაში, რომლებიც ქმნიან პირობებს მდგრადი კვლავწარმოების საერთო პირობების ჩამოყალიბებისათვის.

ამდენად ინფრასტრუქტურა წარმოადგენს კაპიტალბრუნვის დაჩქარების პირობას საბაზო დარგებში და მის ცალკეულ კანონებში. ინფრასტრუქტურის ეფექტიან მოქმედებაზეა დამოკიდებული ის, თუ რა ზომით ხდება ბიზნესზე სახელმწიფოს მხარდაჭერა. ამიტომ ეს მიმართულება წარმოადგენს პრიორიტეტულს.

მსს-ის მხარდაჭერის ინფრასტრუქტურის სისტემა შეიძლება დაიყოს შემდეგ ელემენტებად:

მსს-ის დაფინანსების სისტემა. ის მოიცავს მიკროფინანსირების, ლიზინგის, დაზღვევის სისტემებს;

მსს-ის ქონებრივი პრობლემების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული სისტემა. მასში შედის ბიზნეს-ინკუბატორები, ტექნოპარკები და ინოვაციური ცენტრები, საწარმოო-ტექნოლოგიური ცენტრები და ა.შ.

კონსალტინგის, საინფორმაციო-საკონსულტაციო მხარდაჭერის სისტემა, რაც აუცილებელია სამქწარმეო საქმიანობის გაძლიერებისათვის - ბიზნეს-დაგენერაცია, მენეჯმენტი, მარკეტინგი, პარტნერები, პერსონალის მართვა, საბუღალტრო და საგადასახადო საქმე, იურიდიული მომსახურება; ასევე შეიძლება ვიგულისხმოთ ინფორმაციის მიღება და გადამუშავება, პროგრამული უზრუნველყოფის წარმოება, მონაცემთა ბაზების შექმნა, ბიზნესის გაძლიერების ელექტრონული ფორმების განვითარება, მეწარმეობის საინფორმაციო რესურსების გაერთიანება;

ინფრასტრუქტურის ერთ-ერთი უმნიშ-

ვნელოვანების ელემენტია სამართლებრივი ბაზის ფორმირების სისტემა. მოცემული ელემენტი უზრუნველყოფს საკანონმდებლო-ნორმატიული დოკუმენტების შემუშავებას, კანონმდებლობის გამოყენებაზე მონიტორინგს, საკანონმდებლო წინადაღებების შეთავაზებას მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის;

აუგსორსინგისა და აუგსტაფინგის სისტემა, რომელიც დაკავშირებულია გარე ორგანიზაციებიდან რესურსების მოზიდვასთან. ამ სისტემის მიზანია ცალკეული ბიზნეს-პროცესების უწყვეტი მუშაობის უზრუნველყოფა, რითაც საწარმოები თავიდან ირიდებენ ძვირადლირებული შტატების შენახვას და იყენებენ მაღალკალიფიციური სპეციალისტების მომსახურებას. აქვე შედის პერსონალის ლიზინგიც;

სისტემა, რომელიც დაკავშირებულია კადრების მომზადებასა და გადამზადებასთან, კადრების სწავლებასთან.

სახელმწიფო მხარდაჭერის ეფექტიან ფორმას წარმოადგენს საინფორმაციო-საკონსულტაციო ინსტიტუტი. განსაკუთრებულად აღნიშვნას იმსახურებს ბიზნეს-ინკუბატორები, რომლებიც ბიზნესს აწვდიან ტექნიკურ და საკონსულტაციო მომსახურებას საქმიანობის საწყის და მძიმე პირობებში. ისინი არიან არაკომერციული ორგანიზაციები, რომლებიც არსებობენ მუნიციპალიტეტების და სპონსორების ხარჯზე.

ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს ინოვაციებისათვის სათანადო პირობების შექმნა. ინოვაციები წარმოიქმნება სამეცნიერო იღების წყალობით. მეცნიერული უზრუნველყოფის პრობლემა უკავშირდება ინფრასტრუქტურის ეელა ფუნქციას. ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერებების პროდუქტი შეიძლება იყოს: მეთოდოლოგია, თეორია, ფუნდამენტური ცოდნა, კვლავწარმოების ახალი მეთოდები, ინოვაციური მენეჯმენტი და მარკეტინგი, ახალი ტექნიკის გამოგონება და ა.შ. მეცნიერება მიეკუთვნება ინფრასტრუქტურას, რომელიც უშუალოდ საჭიროებს ინფრასტრუქტურულ უზრუნველყოფას.

დღეისათვის განვითარებული ქვეყნების უმრავლესობა გრძელვადიან სოციალურ-ეკონომიკურ ზრდასა და კონკურენტუნარიან მდგომარეობას უკავშირებს განვითარების ინოვაციურ გზას. ამასთან სახელმწიფო და კერძო სექტორის პარტნიორობის გამოყენება წყვეტს მთელ რიგ ამოცანებს: ინოვაციური და საინვესტიციო მიზნიდვების უზრუნველყოფა, საკადრო ინფრასტრუქტურა, ასევე მოსახლეობის დასაქმების დონის ამაღლება.

მცირე ბიზნესის ინფრასტრუქტურის სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა მდგომარეობს შემდეგ ში:

1. უზრუნველყოფა დამწერ მეწარმეთა კომპლექსური მხარდაჭერა და შესაბამისად, ახალ სამეცნიერო სუბიექტთა და ახალ ძალთა გადადინება ეკონომიკში; მეწარმეებისათვის სირთულეს

წარმოადგენს ფორმირების ეტაპი. სტატისტიკა მოწმობს, რომ დაარსებიდან ერთი წლის შემდეგ 10 დამწყები საწარმოდან რჩება მხოლოდ 3, ხოლო 10 წლის შემდეგ მცირე ბიზნესის სფეროში რჩება მხოლოდ ერთი საწარმო. ამიტომ მნიშვნელოვანია ახალი სამურნეო სუბიექტების სტიმულირება. ასევე, მათ მიერ ფორმირების ეტაპის წარმატებით გავლა;

2. მოიზიდება ჯანსაღი საზოგადოებრივი სამეწარმეო სტრუქტურები მეწარმეთა ასოციაციებისა და კავშირების სახით, რომლის მიზანიცაა მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამების რეალიზაცია, რითაც ხარჯებისა და ტვირთის ნაწილი სახელმწიფო ბიუჯეტიდან და სახელმწიფო ორგანოებიდან გადანაწილდება აღნიშნულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე;

3. მიმდინარეობს ძვრები მეწარმეებსა და ხელისუფლებას შორის არსებული ბარიერების თვალსაზრისით და იცვლება ჩამოყალიბებული სტერეოტიპი, რომელიც ეფუძნება მოქალაქეებსა და ხელისუფლების ინსტიტუციებს შორის უნდობლობას. ბიზნეს-ინკუბატორები ეს არის ინტეგრირებული სისტემა, რომელიც წყვეტს როგორც წმინდა სოციალურ, ასევე ეკონომიკურ პრობლემებს;

4. უზრუნველიყოფა ფულადი სახსრების ეკონომია, როცა მეწარმეს არ სჭირდება ფულის ხარჯვა კონსულტაციებსა და იმის დაზუსტებაში დირს თუ არა ხარჯების გაწევა;

5. იქმნება იმის საშუალება, რომ გამოყენებულ იქნას საკუთარი სამეცნიერო შემუშავებანი და წარმოებულ იქნას ახალი ხარისხის პროდუქცია. ინფრასტრუქტურის განვითარება განაპირობებს არა მხოლოდ ახალი საწარმოების გაჩენას, არამედ ახალი მეცნიერებაზევადი საწარმოების შექმნას.

საქართველოში მეწარმეობის, როგორც საბაზო ურთიერთობათა უმნიშვნელოვანესი კომპონენტის გაჩენასთან ერთად ყალიბდება შესაბამისი ინფრასტრუქტურული ინსტიტუტები. ამასთან, მისი ნაწილის ჩამოყალიბება მოხდა სტიქიურად, ხოლო ნაწილი კი სახელმწიფო, საზოგა-

დოებრივი სტრუქტურებისა და საერთაშორისო პროგრამების მიზანიმიმართული მოქმედებებით.

ზოგადი ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესების მიუხედავად, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების თვალსაზრისით, საქართველოში იგივე გამოწვევები დგას, რაც მრავალ განვითარებად ქვეყანაში. კერძო სექტორის განვითარების და განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების მხარდაჭერა საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტია, რაც ასახულია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში - საქართველო 2020, აგრეთვე სამთავრობო პროგრამაში „ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსათვის“.

კერძო სექტორის, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საქართველო-ევროპავშირის ასოცირების შეთანხმების კონტექსტში. „საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისათვის“ ეფუძნება ევროპული მცირე ბიზნესის აქტის „უპირველესად იფიქრე მცირეზე“ პრინციპს; მთავარი მიზანი არის აღნიშნული სექტორის გაძლიერება, რაც შექმნის მნიშვნელოვან საფუძველს ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდისათვის.

ამრიგად, ინფრასტრუქტურის პრობლემა არის რთული და მრავალასპექტიანი. კვლავ წარმოების, ბაზრის, მეწარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერის ინფრასტრუქტურის საკითხები წარმოადგენს მოცემული პრობლემის მხოლოდ ნაწილს. ყოველი მათგანის გადაჭრას აქვს დიდი სამეცნიერო და სამეცნიერო მნიშვნელობა. ბიზნესის მხარდაჭერის ინფრასტრუქტურის განვითარება წარმოადგენს კომპლექსურ, რეგიონულ და დარგთაშორის პრობლემას, რომლის გადაწყვეტა შესაძლებელია განვითარების ერთიანი მიდგომის პირობებში.

ლიტერატურა/REFERENCES

1. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - საქართველო 2020;
2. საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისათვის;
3. Geostat.ge - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

დარგობრივი და რეგიონული ეკონომიკა - SECTORAL AND REGIONAL ECONOMY

საზღვაო კრუიზი - უსაფრთხო ტურისტული პროდუქტი

CRUISE LINER – SAFE TOURIST PRODUCT

მარინა პუტკარაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
დოქტორანტი

MARINA PUTKARADZE

Georgian Technical University , PhD Student

ანოტაცია

ყველა საკრუიზო გემი კონსტრუქტიონულია საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის IMO, ასევე ორგანიზაცია COON - ის მკაცრი მოთხოვნების თანახმად, რომელიც განსაზღვრავს უსაფრთხოების სტანდარტებს საკრუიზო გემებზე, SOLAS კონვენციით გათვალისწინებულ, zRvASi ადამიანის სიცოცხლის უსაფრთხოების წესების დაცვის შესახებ მიღებულ ნორმებს. საზღვაო დაინერის სტრუქტურული პროექტირება და წარმოება ხორციელდება თანამედროვე გაუმჯობესებული ტექნოლოგიის საფუძველზე, რის შესაბამისადაც, ტურიზმის სფეროში საზღვაო კრუიზი მიჩნეულია კომფორტული, საიმედო და უსაფრთხო დასვენების სფეროდ. ტურისტული ბაზრის გლობალურიზაცია, გემთმშენებლობაში და საკრუიზო სერვისის პრაქტიკაში მეცნიერებისა და უახლესი ტექნიკის და ტექნოლოგიების დანერგვა საშუალებას აძლევს საზღვაო მოგზაურებებს უფრო წარმატებულად გაუწიონ კონკურენცია ჩვეულებრივ სახმელეთო ტურებს. საკრუიზო პროდუქტის ასორტიმენტი უფრო მრავალფეროვანი გახდა, საკრუიზო ბაზარი – უფრო სეგმენტირებული, ხოლო საკრუიზო გემთმშენებლობა – უფრო სპეციალიზირებული. საზღვაო ლაინერებზე უსაფრთხოების ნორმების დაცვითა და თვით ამ ნორმების სპეციალური პროცედურების ჩატარების თვალსაზრისით საზღვაო კრუიზი შეიძლება ჩავთვალოთ - თანამედროვე უსაფრთხო და საიმედო დასვენების სფეროდ.

საკვანძო სიტყვები: კრუიზი, საზღვაო ტრანსპორტი, უსაფრთხო ტრანსპორტი, თანამედროვე ტურისტული პროდუქტი, ტურიზმის გლობალურიზაცია.

Abstract

All cruise ships are constructed according to IMO and IMO strict requirements, which define safety standards on cruise ships, the norms adopted for the protection of human life safety at sea, provided by the SOLAS, 74 Convention. The Cruise liner's structural design and production is based on modern, improved technology, as a cruise in the field of tourism is considered as a comfortable, reliable and safe vacation sphere. Globalization of tourism markets, the introduction of sciences and the latest technologies and technologies in the cruise service practice in shipbuilding enables naval travels to be more successful in the competition of. The cruise product has become more - diverse, - the cruise market is more - segmented, and the cruise shipbuilding is more - specialized. Cruise can be considered as a safe and reliable vacation sphere in terms of observance of safety norms on marine lenses and special procedures for these norms.

Keywords: Cruise , Marine Transport, Safe Transport, Globalization of tourism, Modern Tourism Product;

საერთაშორისო კონვენციის (SOLAS), 1974 - სიცოცხლის უსაფრთხოება ზღვაზე მოთხოვნების შესაბამისად, ყველა ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს გემის, მგზავრისა და ეკიპაჟის უსაფრთხოება. გემის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს მისი კონსტრუქცია, აღჭურვილობა და მომარაგება, კვალიფიციური ეკიპაჟის წევრებით დაკომპლექტება, ვახტის სათანადო გაწევა და საზღვაო ხიფათების შესახებ დროული შეტყობინება.

კრუიზები არა მხოლოდ მოგზაურობის სახეობაა, არამედ მთელი ინდუსტრიად, რომელიც აერთიანებს საკრუიზო ბიზნესით, გემთმშენებლობით, საკრუიზო გემებისთვის და მათი მგზავრებისთვის საქონლის და მომსახურების მიწოდებით, საკრუიზო ნაწარმის წინ წაწევით და რეალიზაციის დაკავებულ კომპანიებს. სამრეწველო რევოლუციამ, რომელმაც მასობრივი ტურისტული ბაზრის ჩამოყალიბების წინაპირობა შექმნა, უფრო ხელმისაწვდომი გახადა ფართო მასებისთვის საზღვაო მოგზაურობები. თუმცა დღესდღეობით უშეტესობა აღიქვამს მათ რომელ დასვენების ელიტარულ სახეობას.

ტურისტული ბაზრის გლობალიზაცია, გემთმშენებლობაში და საკრუიზო სერვისის პრაქტიკაში მეცნიერებისა და უახლესი ტექნიკის და ტექნოლოგიების დანერგვა საშუალებას აძლევს საზღვაო მოგზაურობებს უფრო წარმატებულად გაუწიონ კონკურენცია ჩვეულებრივ სახმელეთო ტურებს.

ასეთი წარმოდგენა საკრუიზო პროდუქტის და მისი სამომხმარებლო თვისებების არცოდნის შედეგია. ტურისტული ბაზრის გლობალიზაცია და გემთმშენებლობაში და საკრუიზო სერვისის პრაქტიკაში მეცნიერების და ტექნიკის მიღწვევების დანერგვა საშუალებას აძლევს საზღვაო ვრიაჟებს უფრო წარმატებული კონკურენცია გაუწიოს ჩვეულებრივ სახმელეთო ტურებს. რაც შეეხება ტურპროდუქტის ხარისხს, თავს უფლებას ვაძლევთ განვაცხადოთ, რომ მსგავსი მნიშვნელობების პირობებში, თანამედროვე საკრუიზო გემზე ის უფრო მაღალია, ვიდრე ანალოგიური ფასობრივი სეგმენტის ქმონებების მიზნებით ტეტვები. და საქმე არ არის მხოლოდ იმაში, რომ კრუიზი საშუალებას იძლევა დავტებეთ დია ზღვის ატმოსფეროთი და ვეწვიოთ რამდენიმე ქვეყანას და ქალაქს „მცურავი ოტელის“ ბორტზე. თანამედროვე საკრუიზო ლეინერებთან მიმართებაში ასეთი ეპიტეტი შეუსაბამო იქნებოდა, ვინაიდან თავისი ინფრასტრუქტურით, მგზავრებისთვის შეთავაზებული საქონლის და მომსახურების ასორტიმენტით, მომსახურების ფორმების ნაირსახეობით ასეთი გემი უფრო წააგავს „მცურავ კურორტს“ ვიდრე სასტუმროს, ჯერ ერთი იმით, რომ დასვენების ასეთი მრავალფეროვნი ინფრასტრუქტურა იქმნება ნაპირზე მხოლოდ ქალაქის ან რაიონის მასშტაბით და მეორეს მხრივ იმის გათვალისწიებით, თუ რა როლს ასრულებს დღესდღეობით

სპა-ინდუსტრია საკრუიზო სერვისის ორგანიზაციაში.

თუმცა, საკრუიზო ბაზარსაც გააჩნია თავისი პრობლემები, რომელთაგან ერთერთია – კადრების მომზადების დონე, კერძოდ, ტურისტულ კომპანიებში დასაქმებული და საკრუიზო ტურების რეალიზაციაზე სპეციალიზირებადი კადრები. ეს როგორი პროდუქტია, რომელიც გაყიდვის მენეჯერისგან მოითხოვს არა მხოლოდ მისი სამომხმარებლო თვისებების ამომწურავ ცოდნას, არამედ სრულ წრმოდგენას იმის შესახებ, თუ როგორ ჩამოყალიბდა, როგორი მოწყობილია და როგორ ფუნქციონირებს საზღვაო კრუიზების ბაზარი. მით უმეტეს, რომ ამ მხრივ თვით ტურისტების, როგორც მომხმარებელთა ინფორმირებულობის დონე დღითიდლე იზრდება.

XIX საუკუნის ბოლოსთვის კრუიზების კონცეპციამ ახალი გამოხატულება მიიღო. საკრუიზო კომპანიები აღარ მისდევდნენ მგზავრების ტევადობის მაჩვენებელს. კონკურენციის საფუძველი გახდა კომფორტაბელურობა. მაგალითად 1891 წელს წყალზე ჩაშვებული ლაინერი „La Touraine“ ორჯერ დაბრუნებს გემსაშენ ვერფზე კილის დახვეწისთვის, როგორც იმ დროინდელი გემების უმრავლესობა, „La Touraine“-ს გააჩნდა ზონები სხვადასხვა კლასის მგზავრებისთვის. პირველი კლასის სივრცეები გამოირჩეოდა ინტერიერის დახვეწილობოთ. მგზავრები სარგებლობდნენ რესტორნებით, სადაც მსოფლიოს გურმანებისთვის მიმზიდველ ფრანგული სამზარეულოს კერძებს და დელიკატესებს სთავაზობდნენ. თუმცა მესამე კლასის მგზავრებსაც, სხვა ლაინერებისგან განსახვავებით, არ უჭირდათ დამის გასათავი ადგილის პოვნა, მათვის შექმნილი იყო მეორე და მესამე კლასის შეთავებული კაიუტები – პატარა ზომის, მაგრამ მოსახერხებელი და მოთხოვნადი.

XX საუკუნის დასაწყისის გემთმშენებლობის მწვერვალი გახდა ლაინერები „Olympic“ და „ოტებინიც“. ლაინერზე მოწყობილი იყო ძვირფასი კიბეები, ფლოტზე ყველაზე დიდი 500 მეტ კლიენტზე გათვლილი რესტორნები, მოსაწევი ოთახები, გასასეირნებელი გემბანები, მაგიდის თამაშებისთვის განკუთვნილი დარბაზები, სატრენაჟორო დარბაზი, თურქული აბანოები, მუსიკალური სალონი.

XX საუკუნის ნახევარში არავინ იფიქრებდა იმაზე, რომ საზღვაო სამგზავრო ფლოტი ძირითადად წარმოდგენილი იქნებოდა საკრუიზო გემებით. და ასეთი მოგზაურობების წამყვანი მოტივი იქნებოდა დასვენება და გაროობა. საზღვაო სამგზავრო გადაზიდვების სტრუქტურაში კრუიზების წილის ზრდის მიზეული წინაპირობა გახდა: უპირველესად, შრომის წარმადობის ზრდა და მასთან დაკავშირებული მოსახლეობის შემოსავლების და თავისუფალი დროის ზრდა, მეორე რიგში, თვით საზღვაო სამგზავრო ტრანსპორტის, გემთმშენებლობის და სანავსად

გურო მეურნეობის განვითარება, ამ სფეროში მეცნიერების და ტექნიკის მიღწებელების დანერგვა. შესაბამისად, საკრუიზო გემების მშენებლობაში სპეციალიზაცია და სერვისის კარდინალური ზრდა. და მესამეც, ტურიზმის სფეროში შრომის მორიგი გაყოფის შედეგად ტურბიზნესის გაჩენა, რომელიც წარმოდგენილი იყო მოგზაურობების ორგანიზებასა და გაყიდვაზე სპეციალიზირებული საწარმოებით, რომლებსაც შეეძლო არა მხოლოდ დაკვეთით ემუშავა, არამედ შემოეთავაზებინა მხა ტურპროდუქტი, ანუ “საპაკეტო ტური”(პაცკაგე tour), შეიძლება ითქვას, რომ საკრუიზო ბიზნესის განვითარებაში სანაოსნო კომპანიების გადამწყვეტ როლში სულ უფრო ხშირად ერთვებოდენ ტურისტული ფირმები. თანაც არა როგორც გემის დამფრახტველები, არამედ როგორც დისტრიბუტორები, რომლებიც ხელს უწყობდნენ ბაზრის გაფართოებას და ალლოიანად გრძნობდნენ კლიენტურის მოთხოვნებში არსებულ ცვლილებებს.

ამავე პერიოდში საკრუიზო ინდუსტრიის ევოლუციის ფარგლებში განსაკუთრებით მკეთრად ისახება ურთიერთკავშირი მოთხოვნასა და წინადაღებას შორის. საზღვაო სამგზავრო გადაზიდვებზე მოთხოვნის ზრდამ და ამ ბაზარზე კონკურენციის გაძლიერებამ სტიმული მისცა სერვისის იმ დონემდე ამაღლებას, რომ გემის ბორტზე ყოფნის პირობები კომფორტაბელურობის თვალსაზრისით უტოლდებოდა კარგ სასტუმროში ცხოვრებას. იმ განსახვავებით, რომ საკრუიზო გემის მგზავრი თან ასრულებდა მოხსილდავ საზღვაო მოგზაურობას სხვადასხვა ქალაქებსა და ქვეყნებში. ამით უფრო მეტი შესაძლებლობები იქნებოდა დასვენების და გართობის მიზნით შესრულებული საზღვაო მოგზაურობებისთვის.

თავის მხრივ, ბაზარზე შესაბამისი წინადაღების გამოხვნამ სტიმული მისცა კრუიზებზე მოთხოვნას, რომლებიც იქმნებოდა როგორც სპეციფიკური პროდუქტი ჩვეულებრივი სამგზავრო საზღვაო გადაზიდვების შემადგენლობაში, და უპირატესად რეკრეაციული მიზნებით მოგზაურ მგზვებზე გათვლილი ლაინერების მშენებლობის დაწყება გამოიწვია. კომპანია “Carnival Cruise Lines”-ma საკრუიზო დასვენების ახალი კონცეფციის საფუძველი ჩაიყრა, რომელიც შემდეგ პრინციპებზე ბაზირდებოდა:

კრუიზი – არის გასაართობი მოგზაურობა, რომლის მონაწილეები არ ისახავენ უპირატეს მიზნად ერთი წერტილიდან მეორეში მოხვედრას;

კრუიზები სრულდება კომფორტაბელურ გემებზე, რომლებსაც ბორტზე აქცავს მგზავრების მაქსიმალური რაოდენობა და სთავაზობს მგზავრებს გართობის მდიდარ ინფრასტრუქტურას;

კველა ტურისტს აქვს ერთნაირი შესვლის უფლება დაინერის კველა ზონაში, ისინა არ იყოფებიან კლასებად, თავისუფლად სარგებ-

ლობებ გემის ბორტზე არსებული მთელი ინფრასტრუქტურით;

საკრუიზო დაინერი გზაში აკეთებს მაქსიმალური რაოდენობის გაჩერებებს, რომლის დროსაც ტურისტებს შეუძლიათ ნაპირზე ჩასვლა და დროის გატარება;

კრუიზების დირექტულება შეესაბამება ანალოგიური მომსახურების კლასის სახმელეთო დასვენებას ან უფრო დაბალია.

ახალმა კონცეფციამ შეცვალა კრუიზებზე წარმოდგენა. ახლა მოსახლეობის ფართო ფენებისთვის ხელმისაწვდომი გახდა ის, რაც ადრე შესაძლებელი იყო მხოლოდ შეძლებული ადამიანებისთვის. ფასის ხელმისაწვდომობამ კრუიზებისადმი ახალი კატეგორიის მომხმარებლის უყრადღება მოიპყრო. მათ დირსეულად შეაფასეს კომპანია “Carnival Cruise Lines” მიერ შემოთავაზებული საზღვაო მოგზაურობების და სერვისის კონცეფციის უპირატესობა.

ამერიკულ ბაზარზე ნამდვილი “საკრუიზო ბუმი” უფრო ადრე, 1977 წელს დაიწყო. საბოლოო ჯამში, მისი მიზეზი გახდა საკრუიზო პროდუქტის ადეკვატური წინადაღება შეფარდებაში ფასი-ხარისხის. მგზავრების ტევადობის ზრდამ და პროგრესიული ტექნოლოგიების დანერგვამ ხელი შეუწყო ერთ სამგზავრო ადგილზე გათვლილი ხედრითი დანახარჯების შემცირებას, რამაც საშუალება მისცა საზღვაო კრუიზებს წარმატებული კონკურენცია გაეწია სახმელეთო ტურებისთვის, ხოლო საკრუიზო ბეზნესს ფინანსურ სიმყარეს აინჭებდა.

თავისი სტრუქტურით, კვების ორგანიზაციის, განთავსების, გასაართობი პროგრამით კრუიზი დღეისათვის იგივე პროდუქტია, ერთი შეხედვით უწინდესობა, მაგრამ გემზე კომფორტული ყოფნისთვის არსებითი სხვაობით. მაგალითად, კვების რამდენიმე ცვლილი ორგანიზაცია, როგორც წესი მხოლოდ ვახშის დროს დარჩა. ფანჯრიანი კაიუტები წარსულს ჩაბარდა, თანამედროვე დაინერებზე იზრდება აივნიანი კაიუტების პოპულარობა.

უნდა აღინიშნოს, რომ თვით საკრუიზო პროდუქტის ასორტიმენტი უფრო მრავალფეროვანი გახდა, საკრუიზო ბაზარი – უფრო სეგმენტირებული, ხოლო საკრუიზო გემთმშენებლობა – უფრო საეციალიზირებული.

საკრუიზო ინდუსტრიის ჩამოყალიბების პირველ ეტაპზე, როგორც ავღნიშნეო, საუბარი იყო საკრუიზო პროდუქტის, როგორც უსაფრთხო საზღვაო მოგზაურობის სახეობის გამოხვნაზე, რომელიც ხორციელდებოდა დასვენებისა და გართობის მიზნით. ეს ეტაპი დასრულდა სწორედ კრუიზებისთვის განკუთვნილი ლაინერების მშენებლობით. მეორე ეტაპზე დადგა საკითხი, თუ როგორ გაეხადად ეს პროდუქტი მაქსიმალურად მოთხოვნადი შეძლებული კლიენტურისთვის. მესამე ეტაპზე – როგორ გადაექციათ კრუიზები მასობრივი მოთხოვნის პროდუქტად. ხოლო თანამედროვე, მეოთხე ეტაპზე – როგორ

გაეხადათ ეს პროდუქტი იმდენად კონკურენტუნარიანი და მრავალფეროვანი, რომ უფრო მეტად გადმოებირად კრუიზების კენა სახმელეთო ტურნაკადები, მათ შორის სხვადასხვა მიზნებით მოგზაური და სხვადასხვა საზოგადოებრივი ფენის, დემოგრაფიული ჯგუფის წარმომადგენელი მომსმარებლის ინტერესებისადმი მაქსიმალურად ადაპტირებული პროდუქტის შექმნის ხარჯზე.

მსოფლიო საზღვაო საკრუიზო ფლოტის მგზავრთა ტევადობა ბოლო ოცდაათი წლის მანძილზე თითქმის რვაჯერ გაიზარდა და 2010 წელს 317,9 ათას მგზავრს მიაღწია. CLIA – სა და ევროპის საკრუიზო საბჭოს (European Cruise Council – ECC) პროგნოზით, 2014 წლისთვის ის უნდა გაიზარდოს 349,0 ათას ადგილამდე.

შესაბამისად იზრდება საკრუიზო ინდუსტრიის შემოსავლებიც. კრიზისულ 2009 წელს საკრუიზო ბაზრის ბრუნვამ, "Cruise Market Watch"-is ექსპერტების შეფასებით, 24,9 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, 2010 წლის შედეგებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გაყიდვები ჩრდილოეთ ამერიკის ბაზარზე გაიზარდა 60%, ხოლო დანარჩენ ბაზრებზე – 40%.

დამახასიათებელია ასევე ისიც, რომ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პირბებში საკრუიზო კომპანიებმა ფასების დაკლების პოლიტიკით შეძლეს შეენარჩუნებინათ მგზავრების ნაკადი, ეს ფასი ნამდვილად შეესაბამება ეკროპულ კურორტზე 5 ვარსკვლავიან სატუროში გაჩერების ღირებულებას იმ განსხვავებით, რომ ლაინერი კიდევაც მოძრაობს და ერთი კვირის მანძილზე რამდენიმე ქაღაქის და ქვეყნის დათვალიერების საშუალებას იძლევა. ანუ საზღვაო კრუიზებს, ფასობრივი კონკურენციის თვალსაზრისით, ტურისტულ ბაზარზე საქმაოდ ძლიერი პოზიციები უკავია

როგორც ძირითადი საკრუიზო კორპო-

რაციების ისტორია მოწმობს, ბოლო ათწლეულების დროს საზღვაო კრუიზების მსოფლიო ბაზრის სტრუქტურულმა ცვლილებებმა გამოიწვიეს მისი გლობალიზაცია. გარეშე ფაქტორებზე დამოკიდებულების თავიდან აცილების მიზნით, საკრუიზო კომპანიები შერწყმის და შთანების პროცესში ჩაერთო. პირველი ადგილი მათ შორის მყარად დაიკავა ამერიკულმა კომპანიამ "Carnival Corporation". საკრუიზო გემთმშენებლების განვითარების ძირითად ტენდენციად შეიძლება ჩაითვალოს კონცეფცია "გემი – მცურავი კურორტი", რომელშიც ჩადებულია ერთი გემის ბორტზე დასვენების და ტურიზმის სხვადასხვა სახეობების შერწყმის პრინციპი. ფაქტობრივად ეს არის ოკეანეში განთავსებული საკურორტო ქალაქი თავისი აუზებით, სპორტული მოედნებით, სატრენაჟორო დარბაზებით, სპა-სალონებით, სარბენი ბილიკებით, საჩოგბურო კორტით, კონოეატრებით, საბავშვო ცენტრებით, აკვა ატრაქციონებით, მაღაზიების გალერეებით და მრავალი სხვა ობიექტით.

თანამედროვე ლაინერებზე შესრულებული კრუიზები შესაშური მოთხოვნით სარგებლობს მთელ მსოფლიოში, მაგრამ საკრუიზო კომპანიები მომავალი განვითარებისკენ, ახალ ბაზრებზე გასვლისკენ მიისწრავებიან.

ამრიგად, უსაფრთხოების ნორმების დაცვით, სამგზავრო სტრუქტურაში კრუიზების წილის ზრდის ობიექტური წინაპირობა გახდა: უპირველესად, შრომის მწარმოებლურობის ზრდა და მასთან დაკავშირებული მოსახლეობის შემოსავლების და თავისუფალი დროის ზრდა, ამასთანავე, თვით საზღვაო სამგზავრო ტრანსპორტის, გემთმშენებლობის და სანავსადგურო მეურნეობის განვითარება, ამ სფეროში შეცნიერების და ტექნიკის მიღწევების დანერგვა. და მესამე - ტურიზმის სფეროში შრომის მორიგი

დანაწილების შედეგად ტურბიზნების გაჩენა.

ლიტერატურა/REFERENCES

1. С.П. Шпилько, Н.В. Андронова, Р.В. Чударев, Морские круизы. [S.P. Shpilko, A.V. Andronova, R.V. Chudarev, Sea cruises];
2. С.П. Шпилько, Теория и практика классификации видов туризма. [S.P. Shpilko, Theory and Practice of Classification of Tourism Types];
3. Я. ÈîèiÀaaâé, А. Стасяк, Іaëbgëeåbêéé продукт. [J. Kachmarek, A. Stasyak, Tourist Product];
4. Berlitz. Complete guide to cruising and cruise ships, 2010, Douglas Ward;
5. Cruise Line International Association. URL: <http://www/cruising.org>;
6. URL: <http://www/carnivalcorp.com>;

დარგობრივი და რეგიონული ეკონომიკა - SECTORAL AND REGIONAL ECONOMY

საზღვაო ტრანსპორტის როლი საერთაშორისო პიზე
- მართაციების სისტემაში

MARITIME TRANSPORT IN INTERNATIONAL BUSINESS OPERATIONS МОРСКОЙ ТРАНСПОРТ В СИСТЕМЕ МЕЖДУНАРОДНЫХ БИЗНЕС-ОПЕРАЦИЙ

მარინა პუტკარაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
დოქტორანტი

MARINA PUTKARADZE

Georgian Technical University , PhD Student

МАРИНА ПУТКАРАДЗЕ

Докторант кафедры транспорта, Грузинский
технический университет

Абстракт

Статья посвящена анализу доли морского транспорта в системе международных коммерческих перевозок. Определены основные транспортные условия внешнеторгового контракта, где особо выделена роль и структура транспортной составляющей в контракте. Показан сравнительный анализ доли основных видов транспорта в международном бизнесе по странам и по видам грузоперевозок. Показана динамика влияния морского транспорта на развитие международных бизнес-операций в целом. Определены факторы, влияющие на транспортное обслуживание международных бизнес-операций, где особо отмечена роль морских перевозок. Определены основные проблемы, препятствующие активному развитию морских перевозок, и показаны пути их возможного решения.

Ключевые слова: система транспортных коммуникаций, транспортные условия внешнеторгового контракта, морской транспорт, транспортная составляющая в международных бизнес-операциях, морское судоходство.

ანოთაცია

ლობითი, იძულებითი, მუდმივი და დროებითი მიგრაციის მიზეზების შედეგად მსოფლიოს განვითარებადი ქვეყნების მსგავსად საქართველოდან გადინება მოხდა მეტწილად შრომისუნარიანი და რეპროდუქციული ახალგაზრდებისა, რამაც მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინა მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის და რიცხოვნობის ფორმირებაზე, შობადობის კლებაზე, მუშახელისა და კვალიფიციური კადრების ნაკლებობაზე და სხვა.

დასკვნა

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ქვეყანაში განვითარებული, როგორც პოლიტიკური ასევე მძიმე ეკონომიკური პრობლემები გახდა საწყისი საფუძველი დემოგრაფიული პრობლემების გამოწვევი მიზეზებისა, რომლებიც თანამედროვე ეტაპზე ექვემდებარება ეკონომიკურ გაანალიზებასა და შეფასებას. დემოკრატიული მოწყობისაკენ მიმავალი ჩვენი ქვენის სახელმწიფო მმართველობით სისტემაში, საწყის ეტაპზე როგორც აღმოჩნდა დემოგრაფიული პრობლემების გამომწვევი მიზეზების შექმნება და შეუძლებელი გახდა ეფექტური და დროული რეფორმების განხორციელება.

კვლევის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები გამოიხატება საქართველოში არსებული დემოგრაფიული პრობლემების აღმოფხვრისათვის სახელმწიფოს მიერ განხორციელებული რეფორმების შექმნების შემთხვევაში. ნაშრომის კვლევის შედეგად მიღებული თეორიული და მეთოდოლოგიური შედეგები გამოადგებათ დემოგრაფიული პრობლემების საკითხებით დაინტერესებულ მეცნიერ-მუშაკებს, მკვლევარებს, დოქტორანტებს, მაგისტრანტებსა და ბაკალავრიატის სტუდენტებს, ხოლო კვლევის პრაქტიკული შედეგები შეიძლება გამოყენებული იქნეს სხვადასხვა აღმასრულებელი ორგანოების მუშაკობა მიერ.

რეკომენდაციები. საქართველოში ბოლო ორი ათეული წლის მანძილზე მიმდინარე დემოგრაფიული პრობლემების აღმოფხვრის მიზნით ხელისუფლებამ მიზანშეწონილია განხორციელოს დემოგრაფიული პოლიტიკა:

1. რომელსაც საფუძვლად უნდა დაედოს, ერთი მხრივ საქართველოში არსებული დემოგრაფიული პრობლემების შესწავლა, გაანალიზება და მისი მასშტაბების განსაზღვრა, ხოლო, მეორე მხრივ, დემოგრაფიული კრიზისის გაღრმავების შექმნება და არსებული ხიტუაციის სტაბილიზება, შემდეგ კი საქართველოს დემოგრაფიული აღორძინების ფონით შექმნით არსებული ვითარების გაუმჯობესება (უფასო მშობიარობა; მშობიარობისას შვებულებისა და ანაზღაურების სისტემის გაუმჯობესება, დახმარება მრავალ შვილიან ოჯახებზე, რაც მოსახლეობის გამრავლებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს), რაც ხელს შეუწყობს დემოგრაფიული პრობლემების გადაწყვეტის გზების დასახვას და ღონისძიებების შემუშავებას;
2. რაც უნდა ითვალისწინებდეს როგორც ში

და ასევე გარე ფართო მასშტაბიანი მიგრაციული პროცესების შეჩერებას, მათ შორის: -Sida მიგრაციული პროცესის შეჩერებისათვის განახორციელოს შესაბამისი დაფინანსება სოფლად ფერმერული მეურნეობის განვითარებისათვის, რასაც თან უნდა ახლდეს დასაქმების დონის ზრდა. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ სახელმწიფოს მიერ შემუშავებული პოლიტიკა იქნება განმსაზღვრელი იმისა, თუ რამდენად შეუწყობს ხელს მოსახლეობას დაჩქა სოფლად.

- გარე მიგრაციული პროცესის შეჩერებისათვის განახორციელოს, როგორც ქვეყნის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების პროგრამები ასევე შეიმუშაოს და რეალიზება გაუკეთოს უსაფ-

როხო დემოგრაფიული განვითარების პოლიტიკას.

3. რომელიც უნდა ითვალისწინებდეს მოქადაცობის შემცირებას და მასთან შობადობის სტაციულირებას რომლის მიმართაც ამოქმედებული საყოველთაო დაზღვევა თავის მხრივ საწყის ეტაპზე ეფექტის მომტანია. ქართველი დემოგრაფების მოსაზრებებით თანამედროვე ეტაპზე ხელისუფლების მოწოდებები (საყოველთაო დაზღვევა) არ არის შობადობის ზრდის საფუძველი, რადგან აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრა შესაძლებელია საზოგადოების ცხოვრების დონის გაუმჯობესებით.

ლიტერატურა/REFERENCES

1. „migraciuli პროცესები თანამედროვე გლობალიზებად მსოფლიოში”, ივანე ჯავახიშვილის სახელის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მიგრაციის კვლევის ცენტრი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2005
 2. „demografiis და სოციოლოგიის პრობლემები“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი, შრომების კრებული, თბილისი 2014
 3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები, 2000-2016 წლები
 4. <http://www.ambioni.ge/saqartvelo-demografiuli-katastrofis-winase>
 5. <http://www.hwngo.org.ge/analytics/54-demografiuli-mdgomareoba-saqartveloshi>
1. Migration processes in the modern globalized world”, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Research Center of Migration, Published by Tbilisi University, Tbilisi 2005
 2. „Problems of Demography and sociology”, Ilia State University Institute of Demography and sociology, Digest of articles, Tbilisi 2014
 3. Data of the national statistical department of Georgia, 2000-2016

ფინანსები და საპანკო პოლიტიკა - FINANCE AND BANKING POLICY

საპანკო კონკურენციის კვლევა ეროვნული კანონმდებლობით

RESEARCH BANKING COMPETITION BY NATIONAL LEGISLATION

ლაშა ბერიძე

ქუთაისის უნივერსიტეტის დოქტორანტი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწი-
ფო უნივერსიტეტი
მოწვევლი მასწავლებელი

LASHA BERIDZE

შტუდენტს ოფ უტაისი ნიგერსიტყ,
ატუმი შპოტა დუსტაველი შტატე ნი-
გერსიტყ
ნევიტედ ტეაცერ

ანოტაცია

როგორც საქართველოს, ასევე ნებისმიერი ქვეყნის მნიშვნელოვან სეგმენტს წარმოადგენს საფინანსო სექტორი და მისი განვითარების დონე. საქართველოში საფინანსო სექტორის ძირითად მოთამაშებად გამო-
დიან კომერციული ბანკები და მათი საერთო კაპიტალი საქმიანობის სხვა სფეროში მოღვაწე ინსტიტუცი-
ებს გაცილებით აღმატება. თანამედროვე მიღვომებით არ არსებობს ერთიანი პოზიცია საბანკო სექტორში
კონკურენციის კვლევის მეთოდოლოგიაზე, უფრო მეტიც, ხშირად ვერ ხერხდება შეჯერება იმ საკითხთან
დაკავშირებითაც, თუ რამდენად პოზიტურად შეიძლება იმოქმედოს საბანკო სექტორში არსებულმა კონკუ-
რენციამ ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობაზე. მიუხედავად ამისა, არსებობს მეტად თუ ნაკლებად განვი-
თარებული ინდიკატორები, რომლებმაც შეიძლება მოგვცეს ზოგადი წარმოდგენა საბანკო კონკურენციას
და კონკურენტრაციაზე. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია საბანკო კონკურენციის კვლევა საქართველოს
კანონმდებლობის მიხედვით და შესაბამისი დასკვნების გაკეთება.

საკვანძო სიტყვები: კონკურენცია, კონკურენტრაცია, უთანაბრობის ხარისხი, ლინდის ინდექსი, დომინანტური მდგომარეობა, CR3, CR5,

Abstract

Both for Georgia and for any countries important segment is country's financial sector and its development level. In Georgia major players of financial sectors are commercial banks and their total capital assets is much larger than other institutions. By the modern approaches there is no a common position about banking competition methodology, moreover often is not possible to summarize the issue with regard to how much of a positive affect can bring competition in the banking sector to the country's economic stability. However, there are more or less developed indicators, which can give us a general idea of banking competition and concentration. at the same time, it is important to conduct survey by domestic legislation, of course if we have.

Keywords: competition, concentration, degree of inequality, Lind index, dominant position, CR3, CR5

შესავალი.

კონკურენცია, კონკურენტული ბრძოლა დამახა-
სიათვებელია საბაზო ეკონომიკის მქონე ყველა
ქვეყნისათვის. ხშირ შემთხვევაში მონოპოლიური
ან ოლიგოპოლიური გარემოს არსებობა ბაზარ-
ზე განაპირობებს, როგორც ბაზრის მონაწილე-
ების, ასევე მოსახლეობისა და სახელმწიფო ინ-
ტერესების დაზარალებას, ასევე მნიშვნელოვნად
აფერხებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.
გამომდინარე აქედან, უნდა არსებობდეს ისეთი

სახელმწიფო და სამართლებრივი რესურსი, რო-
მელიც გამოავლენს კონკურენციის ჩამოყალიბე-
ბული წესების დარღვევის ფაქტს და რომელსაც
ექნება ასეთი ქმედების პრევენციის ფუნქცია. ასუ-
თი ღონისძიებების განხორციელება სხვადასხვა
ბაზრისათვის შეიძლება გასხვავდებოდეს სირთუ-
ლისა და კომპლექსურობის მიხედვით, მითუფრო,
თუ ეს ეხება საბაზო ეკონომიკის ისეთ სპეციფი-
კურ სექტორს, როგორიცაა საბანკო სექტორი.

საკითხის ამ კუთხით კვლევა განსაკუთ-

რებით მნიშვნელოვანია საქართველოს საბანკო სექტორისათვის, ვინაიდან საქართველოში ფაქტობრივად არ მოპოვება ნაშრომი, რომელიც აღნიშნული კუთხით გამოიკვლევდა ამ სფეროს, ასევე არ არსებობს არც სახელმწიფო დონეზე არსებული სრულყოფილი სამართლებრივი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფდა საბანკო სექტორში კონკურენციის ეფექტიან მონიტორინგს. ნაშრომის მიზანია გამოიკვლიოს საქართველოს საბანკო სექტორში კონკურენცია საქართველოში არსებული საკანონმდებლო ნორმების საფუძველზე, რომელიც არეგულირებს კონკურენციის წესებს. ამასთანავე, მნიშვნელოვანია განისაზღვროს საბანკო სექტორში კონკურენციის განხორციელებაზე ზედამხედველი ორგანო, რადგან კანონმდებლობის დონეზე ვაწყდებით კოლიზიურ სიტუაციას, ანუ ზედამხედველობა უნდა განახორციელოს ეროვნულმა ბანკმა თუ კონკურენციის საგენტომ, თუ ორივემ ერთად. ნაშრომში ძირითადი კვლევა მიმართულია დომინაციის კვლევაზე საბანკო სფეროში, რადგან საზოგადოების ზოგადი წარმოდგენით აღნიშნულ სფეროში უნდა შეიმჩნეოდეს მონოპოლიური (ოლიგოპოლიური) მდგომარეობა.

ძირითადი შინაარსი. საბანკო სისტემის ფინანსური სტაბილურობის განსაზღვრა წარმოადგენს ცენტრალური ბანკის მთავარ მიზანს. ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც ზეგავლენას ახდენს ფინანსური სისტემის სტაბილურობაზე არის კონკურენციის არქინა, მაგრამ კვლევები ცხადყოფს, რომ ზუსტი პასუხი არ გვაქვს მიასთან დაკავშირებით თუ რამდენად შეიძლება იყოს კონკურენციის არსებობა საბანკო სექტორში ფინანსური სტაბილურობის გარანტი. მეცნიერების Marcus [1. გვ., 557] და Charletti და Hatmann (2003) [2.] მიხედვით კონკურენციას მოაქვს ფინანსური სისტემის არამდგრადობა. ისინი თავიანთ მიდგომას ასაბუთებდნენ იმით, რომ მკაცრი კონკურენცია ასუსტებს საბაზრო ძალას, ამცირებს მოგების მიღების მარჯას და იძულებულს ხდის ბანკებს, რომ აიღონ უფრო მეტი რისკი. ამის მიუხედავად, თანამედროვე ლიტერატურა ამოდის საწინააღმდეგო პოზიციიდან და ამბობს, რომ კონკურენციის არსებობა უფრო მეტი გარანტიაა ფინანსური სტაბილურობის. ამასთანავე, მრავალი მონაცემების არსებობა მეცნიერებს აძლევს საშუალებას აწარმოონ გარკვეული სახის „ტესტები“ სხვადასხვა ჯგუფის ქვეყნებისათვის. განსხვავებული ქვეყნების მონაცემების გამოყენების საფუძველზე, Shaeck-ma [3. გვ. 1-40] და სხვ. (2006) და Boyd [4. გვ. 1330] და სხვ. (2006), მიაკვლიეს ემპირიულ მტკიცებულებას იმისა, რომ კონკურენციული საბანკო ბაზრი ნაკლებად განიცდიდა საბანკო კრიზისებს.

კონკურენცია წარმოადგენს ფართო გაების ცნებას და ეხება აღამიანების საქმიანობის მრავალ მხარეს. კონკურენციის სფეროში კონკურ-

ციის ცნებას გააჩნია თავისი სპეციფიკა და იგი სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაში განსხვავებულად არის ჩამოყალიბების შემთხვევაში, კონკურენციის ძირითადი შინაარსი განმარტებულია საქართველოს კანონმდებლობაში შემდგანაირად: კონკურენცია არის „სამეურნეო სუბიექტების დაპირისპირება, რომლის დროსაც ყოველი სუბიექტის დამოუკიდებელი ქმედებები გამოირიცხება ან შეიზღუდება შესაძლებლობებით ზემოქმედება მოახდინოს სასაქონლო და მომსახურების ბაზრის საერთო პირობებზე“ [5.]. საბანკო კონკურენცია - ეს არის კომერციული ბანკებისა და სხვა საკრედიტო ორგანიზაციების მეტოქეობის პროცესი, როდესაც ისინი მიისწავლიან დაიკავონ მტკიცე აღგილი საკრედიტო და საბანკო მომსახურების ბაზარზე.

საბანკო კონკურენციის განსაკუთრებულობა მდგომარეობს შემდგეში: საბანკო კონკურენცია გამოირჩევა განვითარების მაღალი დონითა და ინტენსივობით;

კომერციული ბანკების კონკურენციებად გამოდიან სხვა კატეგორიის ეკონომიკური აგენტებიც (სადიზანგო, საინვესტიციო კომპანიები, ფონდები, ფოსტა და სხვ);

შიდა დარგობრივი კონკურენცია ატარებს გამორჩეულ ხასიათს, რაც იწვევს საბანკო მომსახურებისა და საქონლის დიფერენციაციას;

საბანკო მომსახურება და საქონელი შეიძლება შეენაცვლოს ერთმანეთს, მაგრამ მათ არ ყავთ კონკურენციარიანი „შიდა“ (არასაბანკო) შემცვლელები;


ფასობრივი კონკურენციის შეზღუდვა წინა პლანზე წამოწევს საბანკო მომსახურების მართვის ხარისხის პრობლემას;

ინდივიდუალურ კონკურენციასთან ერთად შეიძლება აღგილი პქნედეს ჯგუფურ კონკურენციას.

კონკურენციის დამდგენი წესების რეგულირება მოექცა 2012 წელს მიღებული საქართველოს კანონის „კონკურენციის შესახებ“ ნორმების ფარგლებში. აღნიშნული კანონის შესაბამისად, შეიქმნა კონკურენციის სააგენტო, რომელსაც დაუვალა კონკურენციის სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება და კონკურენციის განვითარების ხელშემწყობი პირობების შექმნა. ამ პოლიტიკის ფარგლებში კონკურენციის სააგენტომ შეიმუშავა ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები, რომლებიც საერთოა საქართველოში არსებული ყველა ბაზრისათვის, მათ შორის საბანკო ბაზრისათვის. კონკურენციის სააგენტოს მიერ შემუშავებული ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები ატარებს ზოგად ხასიათს და გამოიყენება ყველა ტიპის ბაზრისათვის. საქართველოში ჯერ-ჯერობით არ გამოიყენება საბანკო ბაზრის კონკურენციის დონის ანალიზის სპეციალური სპეციფიკური მეთოდოლოგია. გა მ მ დ ი ნ ა რ ე აქედან, დღის წესრიგში დგას იმის დადგენა, თუ

რამდენად ზუსტად ასახავს ბაზრის მონოპოლიზაციის/ოლიგოპოლიის განსაზღვრის არსებული საკანონმდებლო წესები საქართველოს საბანკო ბაზარზე არსებულ მდგომარეობას. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ფინანსური ბაზარი საქართველოში წარმოდგენილია ძირითადად კომერციული ბანკები:

ბით, ამაზე მეტყველებს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ მიღებული კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგიაც. ფინანსური სექტორი აქტივების მიხედვით ასე გამოიყურება:



დიაგრამა N1. ფინანსური სექტორის აქტივები [6].

შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ნაშრომში გამოიკვლიოთ ბანკთაშორისი კონკურენცია, რადგან, როგორც დიაგრამიდან ჩანს კომერციულ ბანკებს ფინანსური სექტორის სხვა წარმომადგენლებთან შედარებით მაღალი აქტივები აქვთ და ამასთანავე იგავებენ ფინანსური ბაზრის 92%.

ბაზრის ანალზისის მეთოდური მითითებებით გამოიყენება ორი მაჩვენებლი, ეს არის პერფორმანს-კირმანის ინდექსი (HHI), რომელიც არის ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებელი და ლინდის ინდექსი (L), რომელიც გვიჩვენებს კონკრეტულ ბაზარზე ლიდერ მომწოდებელთა შორის უთანაბრობის ხარისხს. პერფორმანს-კირმანის ინდექსის მიხედვით საქართველოს საბანკო სექტორი ითვლება, როგორც მაღალკონცენტრირებული [7.], ამიტომ მნიშვნელოვანი იქნება გამოვიკვლიოთ საბანკო სექტორში დომინანტური მდგომარეობა ლინდის ინდექსის მიხედვით და ზოგადი წარმოდგენა საბანკო სექტორში მონოპოზიტის/ოლიგოპოლიის შესახებ დავასაბუთოთ საკანონმდებლო

მიდგომის (metodis) მიხედვით. ლინდის ინდექსი გამოითვლება ფორმულით:

$$L=1/K(K-1) \times \sum_{j=1}^n Q_j, \quad \text{სადაც } K - \text{მსხვილი მიმწოდებლების რიცხვი (2-დან 10-მდე);$$

Q_j - დამოკიდებულება j მომწოდებლის საშუალო წილსადა $K-j$ მიმწოდებლის წილს შორის;

$K-j$ - მსხვილ მიმწოდებელთა შორის წამყვან მიმწოდებელთა რიცხვი.

$Q_j = A_j / j \times (A_k - A_j) / (K-j)$, სადაც A_j - ბაზრის საერთო წილი, რომელიც მოდის j მიმწოდებელზე;

A_k - ბაზრის წილი, რომელიც მოდის k მსხვილ მიმწოდებელზე. ლინდის ინდექსი ჯგუფური დომინირების საზღვრების განსაზღვრისას გამოიყენება შემდეგნაირად: გაიანგარიშება L , $K=2$ -სთვის, $K=3$ -სთვის და A . შ., სადაც $L_k+1 > L_k$, ანუ არ იქნება მიღებული L მაჩვენებლის უწყვეტობის პირველი დარღვევა.[8.] საზღვარი ჩაითვლება დადგენილად, თუ მიიღწევა L_k+1 მინიმალური მნიშვნელობა L_k+1 მნიშნელობასთან შედარებით.

გამარტივებული სახით ლინდის ინდექსი რამდენიმე ბანკისათვის შეიძლება წარმოვიდგინოთ შემ-

დეგი სახით:

- 1 ლინდის ინდექსი ორი უმსხვილესი პარამეტრის მიხედვით
- 2 სამი უმსხვილესი ბანკისათვის

$$I_L I_L = \frac{1}{6} \times \left[\frac{k_1}{(k_2 + k_3)/2} + \frac{(k_1+k_2)/2}{k_3} \right]$$

$$I_L = \frac{1}{6} \times \left[\frac{k_1}{(k_2 + k_3)/2} + \frac{(k_1+k_2)/2}{k_3} \right]$$

$$I_L = \frac{1}{12} \times \left[\frac{k_1}{(k_2 + k_3 + k_4)/3} + \frac{(k_1+k_2)/2}{(k_3 + k_4)/2} + \frac{(k_1+k_2+k_3)/3}{k_4} \right]$$

- 2 ოთხი უმსხვილესი ბანკისათვი

თავდაპიველად ლინდის ინდექსი შემოთავაზებულ იქნა ევროკავშირის კომისიის თანამშრომლის - რემო ლინდის მიერ. აღნიშნული ინდექსი, როგორც ფართოდ გავრცელებული კონცენტრაციის CRn ინდექსი, გამოიყენება მხოლოდ რამდენი-

მე მსხვილი ბანკისათვის, ამიტომ საქართველოს საბანკო სექტორის დომინაციის კვლევისას სავარაუდო შედეგი უნდა მიგოდოთ ბანკების მცირე მონაწილეობის შემთხვევაშიც კი. ვისარგებლოთ ოფიციალური კომერციული ბანკების ფინანსური ანგარიშებით [9.]:

კომერციული ბანკების ფინანსური მონაცემები და საბაზრო წილები

კომერციული ბანკები	წმინდა საპროცენტო შემო-სავალი	მთლიანი აქტივები
დასახელება	n	მოცულობა ლარებზე
ბანკი რესპუბლიკა	7%	46 302 895
თიბისი ბანკი	27%, 34	187 467 727
საქართველოს ბანკი	33%	226 766 666
ლიბერთი ბანკი	8%	58 242 557
ბაზის ბანკი	3%	18 686 709
ვითიბი ბანკი ჯორჯია	4%	27 385 556
ბანკი ქართული	4%	30 287 058
პროგრედიტ ბანკი	5%	31 939 003
სილკ როუდ ბანკი	0%	1 255 551
კაპიტალ ბანკი	0%	2 258 779
აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი - საქართველო	0%	3 271 551
ზირაათ ბანკის ობილისის ფილიალი	0%	1 529 561
კაბასიის განვითარების ბანკი - საქართველო	0%	593 517
თურქეთის იშ ბანკის ბათუმის ფილიალი	1%	3 885 076
პროგრესს ბანკი	0%	2 630 625
ტერაბანკი	2%	11 460 676
ხალიკ ბანკი საქართველო	1%	8 753 209
კაშა ბანკი საქართველო	1%	7 718 708
ფინკა ბანკი საქართველო	3%	18 302 430
ჯამი		688 737 854
		25 274 376 182

$$\text{ორი ბანკისათვის } I_L = \frac{1}{2} \times \frac{\frac{34}{33}}{3} = 0.51$$

$$\text{სამი ბანკისათვის } I_L = \frac{1}{6} \times \left[\frac{\frac{34}{(33+8)/2}}{8} + \frac{(34+33)/2}{8} \right] = 0.97$$

ოთხი

ბანკისათვის

$$I_L = \frac{1}{12} \times \left[\frac{\frac{34}{(33+8+5)/3}}{(8+5)/2} + \frac{(34+33+8)/3}{5} \right] = 1.03$$

მიღებული შედეგით ნათლად ჩანს, რომ საქართველოში დომინაციას ქმნის ორი ბანკი (სს „საქართველოს ბანკი“ და სს „თი ბი სი ბანკი“), მიუხედავად იმისა, რომ დარღვევა უწყვეტობისა გამოვლინდა ორი, სამი და ოთხი ბანკისათვის, პირველ უწყვეტობას ქმნის ორი ბანკი, ამიტომ შეიძლება აღნიშვნული მეთოდით მივიჩნიოთ საქართველოს საბაზო ბაზარი, როგორც ოლიგოპოლიური (დუპოლიური). ამასთანავე, აღნიშვნულთან დაბავშირებით უნდა ითქვას, რომ ქართული კანონმდებლობის მიხედვით დომინირებული მდგომარეობა განხმარებულია, როგორც შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების ისეთი მდგომარეობა, რომელიც მათ საშუალებას აძლევს იმოქმედონ კონკურენციი ეკონომიკური აგენტების, მიწოდებლების, კლიენტებისა და საბოლოო მომსახურებლისაგან დამოუკიდებლად, არსებითი გავლენა მოახდინონ ბაზარზე საქონლის მიმოქცევის საერთო პირობებზე და შეზღუდონ კონკურენცია. თუ სხვა მტკიცებულებები არ არსებობს, ეკონომიკური აგენტები არ ჩაითვალისწინ დომინირებული

მდგომარეობის მქონედ, თუ შესაბამის ბაზარზე მათი წილი არ აღემატება 40 პროცენტს. ორი ან მეტი ეკონომიკური აგენტიდან თითოეული ჩაითვალისება დომინირებული მდგომარეობის მქონედ, თუ ის არ განიცდის მნიშვნელოვან კონკურენციას სხვა ეკონომიკური აგენტებისაგან მათი ნედლეულის წყაროებსა და გასაღების ბაზრებზე შეზღუდულ ხელმისაწვდომობას, ბაზარზე შესვლის ბარიერებისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით და იმავდროულად:

არაუმეტეს 3 ეკონომიკური აგენტის ერთობლივი წილი 50% აღემატება, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი არანაკლებ 15%.

არაუმეტეს 5 კულტურული მნიშვნელოვანი წილის მქონე ეკონომიკური აგენტების ერთობლივი წილი 80%-ს აღემატება, ამასთანავე თითოეულის საბაზრო წილი არანაკლებ 15%. [10.]


წვენს შემთხვევაში, მხოლოდ ორი ბანკი (თიბისი და საქართველოს ბანკი) დახავს 15% ბარიერს და მათი საბაზრო წილი 66-67% ფარგლებშია, რაც გვაძლევს იმის ვარაუდს, რომ საქართველოს საბაზო ბაზარი კონკურენტულთან ერთად ჩავთვალით დომინირებულად, მიუხედავად იმისა, რომ

კანონით დაწესებულია სხვადასხვა პირობების არსებობა - კონკურენციის შეზღუდვა, ბაზრის საერთო პირობებზე ზეგავლენა და სხვა. ეფროპის ცენტრალური ბანკის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშით გავაკეთოთ სხვადასხვა ქვეყნებ-

თან შედარებითი ანალიზი ბაზრის მონაწილე 5 უმსხვილესი კომერციული ბანკის (CR5) მაგალითზე [11]. კვლევაში მოვიყვანოთ მხოლოდ ისეთი ქვეყნები, რომლებიც შეიძლება შეესაბამებოდეს საქართველოს საბანკო ბაზრის პროდუქციულ და

ტერიტორიულ საზღვრებს. წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ არაკორექტულ სურათს.

დიაგრამა N 2



აღნიშნული მაჩვენებლით, რათქმაუნდა როულია კონკრეტული დასკვნების გაკეთება, მაგრამ გარკვეულ მინიშნებას გვაძლევს იმის თაობაზე რომ, 5 უმსხვილესი ბანკის წილის შემთხვევაში საქართველოს მონაცემები რადიგალურად არ განსხვავდება სხვა ქვეყნების მონაცემებისაგან, თუ არ ჩავთვლით ლუქსემბურგის სადაც, აღნიშნული მაჩვენებელი 32-33% ფარგლებში მერყეობს.

დასკვნა. ყოველივე აღნიშნული მეტყველებს იმაზე, რომ საჭიროა ეფექტური მონიტორინგის განხორციელება, როგორც ეროვნულ ბანკის, აგრეთვე, კონკურენციის სააგენტოს მხრიდან, მიუხედვებად იმისა, რომ კომერციული ბანკების საქმიანობა მიეკუთვნება ეკონომიკის რეგულირებად სფეროს, საჭიროა ისეთი მექანიზმების არსებობა, რომელიც გარანტი იქნება საბანკო სექტორში კონკურენციული ნორმების გატარებისა და დაცვისათვის. ამასთანავე, ევროკავშირთან დაახლოების გზაზე მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს, თუნდაც კაპიტალური და ფინანსური ბაზრების თავსებადობა

ეფროკავშირის ქვეყნებთან. ასეთი თავსებადობის მიღწევა კი კონკურენციის გარეშე შეუძლებელი იქნება. საქართველოს საბანკო ბაზარი ითვლება მაღალკონცენტრირებულად, ამასთანავე, აშკარად შეინიშნება ლიდერ მიმწოდებელთა შორის უთანაბრობის ხარისხი პირველი ორი ბანკის შემთხვევაში, ამიტომ ქმედითი ნაბიჯების გადადგმა აუცილებელია. ასევე, უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ კომერციულ ბანკებზე ზედამხედველობა დაუბრუნდა ეროვნული ბანკის კომპეტენციას (2015 წლის ცვლილებებით გადაეცა ახლად შექმნილ ფინანსური ზედამხედველობის სააგენტოს, რომელიც 2017 წლის 10 მარტის ცვლილებებით კვლავ დაუბრუნდა ეროვნულ ბანკს) და შესაძლებელია კონკურენციის სააგენტოსთან ურთიერთანაბრძობლობის მემორანდუმის გაფორმების გზით, ერთობლივი მიღებით საბანკო სფეროში კონკურენციის წესების დაცვაზე მონიტორინგის განხორციელება, მთულებელ ასეთ პრაქტიკას უცხოური გამოცდილება ითვალისწინებს.

ლიტერატურა/REFERENCES

- Marcus, A. J. (1984). Deregulation and bank financial policy. *Journal of Banking & Finance*, 8(4), 557-565
- Carletti, E., & Hartmann, P. (2003). Competition and Financial Stability: What's Special about Banking?, *Monetary History, Exchange Rates and Financial Markets: Essays in Honour of Charles Goodhart*.
- Schaeck, K., & Čihák, M. (2007). Banking competition and capital ratios. *IMF Working Papers*, 1-40.
- Boyd, J. H., & De Nicolo, G. (2005). The theory of bank risk taking and competition revisited. *The Journal of finance*, 60(3), 1329-1343
- საქართველოს კანონი „konkurenciis შესახებ“ ელექტრონული წყარო, ხელმისაწვდომი: 25.12.2015 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1659450>
- Georgian Law „about Competition“, el. source, available: 25.12.2015 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1659450>

- 7 ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, კაპიტალის ბაზრის განვითარების სტარტუგია, ხელმისაწვდომი: 27.03.2017, http://www.economy.ge/uploads/meniu_publikaciebi/ouer/kapitalis_bazris_ganvitarebis_strategia.pdf
- 8 Ministry of Economy and Sustainable development, Capital Market Development Startegy, el. source, available: 27.03.2017, http://www.economy.ge/uploads/meniu_publikaciebi/ouer/kapitalis_bazris_ganvitarebis_strategia.pdf
- 9 ელიავა ლ., ბერიძე ლ., ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის გამოყენება საბანკო სექტორში კონკურენციის შეფასებისას, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, 2015 წ.
- 10 Eliava L., Beridze L., Using Herfindal-Hirschman Index in the banking competition, Paata Gugushvili named institute of Economics, International scientific and practical conference, 2015
- 11 ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები, დანართი N1, კონკურენციის სააგენტო, ხელმისაწვდომი: 16.03.2016 <http://competition.ge/ge/page2.php?p=4&m=138>
- 12 Methodical instructions of Market analysis, appendix N1, Competition Agency, available: 16.03.2016, <http://competition.ge/ge/page2.php?p=4&m=138>
- 13 საქართველოს ეროვნული ბანკი, ხელმისაწვდომი: 16.03.2016, <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=404> Georgian National Bank, available: 16.03.2016, <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=404>
- 14 საქართველოს კონკურენციის შესახებ, მუხლი 5, ხელმისაწვდომი: 18.03.2017, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1659450>
- Georgian law „About Competition”, article 5, available: 18.03.2017, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1659450>
- 15 ევროპის ცენტრალური ბანკი, ფინანსური ანგარიში, ხელ: 22.10.2016, <https://www.ecb.europa.eu/pub/pdf/other/reportonfinancialstructures201510.en.pdf>
- European Central Bank, Financial Report, available: 22.10.2016, <https://www.ecb.europa.eu/pub/pdf/other/reportonfinancialstructures201510.en.pdf>

სახელმწიფო და მუნიციპალური მართვა -

- STATE AND MUNICIPAL MANAGEMENT

სახელმწიფო და საინვესტიციო პროცესის სამართლებრივი რეგულირებისათვის

STATE AND LEGAL REGULATION OF THE INVESTMENT PROCESS

ლამარა ქოქაური

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესიონალი. საქართველოს ეკონომიკური
მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

LAMARA QOQIAURI

Doctor of Economic Sciences, Professor,
Member of the Academy of Economic Sciences of
Georgia and Scientific Academy of New York

ანოტაცია

კომპლექსური სახელმწიფო ინვესტიციური პოლიტიკა, რომელიც მიმართულია ხელსაყრელი ინვესტიციური გარემოს შექმნისაკენ ქვეყანაში, მის რეგიონებსა და სამრეწველო წარმოების დარგებში, არსებითად ზრდის ეკონომიკაში ინვესტიციური რესურსების მოდინებას. ამისათვის სახელმწიფომ უნდა შეიძლოს ინვესტიციური პოლიტიკის ზუსტი და მკაფიო კონცეფცია, რომელშიც ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს ეკონომიკის ინვესტიციური შემადგენლების შეფასების მეთოდიკას.

შედარებით ფართო სახით ეკონომიკის ინვესტიციური შემადგენლელი ეს არის ნორმატიულ-სამართლებრივი, სოციალური და ეკოლოგიური პირობების ერთიანობა, რომელიც განსაზღვრავს კვლავწარმოებითი პროცესის ტიპსა და დინამიკას, რომელიც უზრუნველყოფს დაბანდებული კაპიტალის უკანაძღვების საიმედობას და ეფუძნებას.

იმ ამოცანების გადაწყვეტა, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტიციური აქტივობის ამაღლებასთან, განაპირობებს სახელმწიფოს ეკონომიკურ განვითარებას. კომპლექსური სახელმწიფო ინვესტიციური პოლიტიკა, რომელიც მიმართულია ხელსაყრელი ინვესტიციური გარემოს შექმნისაკენ ქვეყანაში, მის რეგიონებსა და სამრეწველო წარმოების დარგებში, არსებითად ზრდის ეკონომიკაში ინვესტიციური რესურსების მოდინებას. ამისათვის სახელმწიფომ უნდა შეიძლოს ინვესტიციური პოლიტიკის ზუსტი და მკაფიო კონცეფცია, რომელშიც ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს ეკონომიკის ინვესტიციური შემადგენლების შეფასების მეთოდიკასა და აგრეთვე მისი სამართლებრივი რეგულირების საკითხებს.

აუცილებელია პრინციპულურ ასალი სახელმწიფო რეგულირების ინსტრუმენტების მიება ინვესტიციების სფეროში, უნდა შეიქმნას ხელსაყრელი კლიმატი კაპიტალდაბანდებისათვის, რომელიც საერთო ეკონომიკური სიტუაციის კარდინალური ცვლილებების და დანაზოგების ხტიმულირების ამოცანების ადეკვატური იქნება. ინვესტიციური კრიზისიდან გამოსვლის რეალური ალტერნატივები არ არის ორიენტირებული დანაზოგების რესურსებზე, რომლებსაც ბაზრის სუბიექტები აკეთებენ. დღეისათვის ძალზე საჭიროა სახელმწიფოს მეშვეობით საბაზრო პრინციპების დაცვით ინვესტირების სფეროში წარიმართოს, თუნდაც, ძალზე მცირე დანაზოგები, შექმნილი კერძო მეწარმეობით სექტორში ეკონომიკის აღდგენის გადაუდებელი ამოცანების გადაჭრაზე.

აქედან გამომდინარე ჩვენ შრომაში წინა პლანზე დავაყენეთ საინვესტიციო პროცესის სახელმწიფო სამართლებრივი რეგულირების როლის ამაღლების აუცილებლობა.

საკვანძო სიტყვები: ინვესტიციები, საინვესტიციო კანონები, ინვესტიციების რეგულირება, უცხოური ინვესტიციები, საინვესტიციო ბიზნესი, ფინანსური ინვესტიციები, საინვესტიციო პოლიტიკა, საინვესტიციო ბაზარი, ფინანსური აქტივები, პროფესიული ინვესტიციები, რესურსები.

Abstract

Complex state investment policy, directed towards creation of advantage investment surrounding in the country, its regions and fields of industrial production, essentially grows inflow of investment resources into the economy. For this the state must process firm conception of investment policy, in which the most central place is occupied by the methodology of estimation investment consisting parts of the economy.

Relatively wider investment consisting part of the economy is the totality of normative-legislative, social and ecological conditions, which defines type and dynamics of the process of further production, which provides trustfulness and effectiveness of the invested capital.

A role and importance of investment policy is large in the business of economical development of the country. Effective usage of investment potential existed in the national economy and its appropriate resources greatly depends on it, which finally conditions achievement of firm economical growth, recovering of investment potential, further production of basic industrial funds and this is achieved by processing investment policy of modern type.

State regulation of investment processes – this is totality of those forms and methods, which provide: unity of private and state interests; formation of rational proportions among usage, accumulation and investments; correlation between prediction of at investment market, indicated regulating and activities of state influence.

Therefore, the necessity to regulate the state legal regulation of the investment process is raised on the foreground in our work, searching of new state instruments of regulation is necessary in the investment domain; they must form advantage climate for capital investments, which will be adequate to the objects of stimulating savings and cardinal changing of total economical situation, real alternatives for coming out of investment crisis situation are not oriented towards resources of savings, which are made by the market subjects. Today it is necessary to direct even small savings to the investment domain by protecting marketing principles for solving the most important problems in the sector of private industry.

Keywords: investment, investment laws, investment regulation, foreign investment, investment business, financial investment, investment policy, investment market, financial assets, resources, portfolio investments, investment planning.

შესავალი

საინვესტიციო საქმიანობის სრულყოფა და საინვესტიციო პოტენციალის განვითარება ერთ-ერთი სერიოზული მეცნიერებლი პრობლემაა. ეს იმ განსაკუთრებული როლით აისხება, რასაც ინვესტიციები აღწარმოების პროცესში ასრულებენ. ვფიქრობთ, საქართველოში ინვესტიციური ურთიერთობების მოწერიგება, ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნა, საერთოდ საინვესტიციო საქმიანობის შეფასების სწორი სისტემის დანერგვა, უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და ეფექტიანი დაბანდება, ინვესტიციის ბაზრის სწორი ფუნქციონირება, ინვესტიციური ბანკების შექმნა და სხვა აქტუალური საკითხების კვლევა ერთგვარი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება საინვესტიციო საქმიანობაში არსებული პრობლემების დაძლევის გზაზე.

საერთოდ, ეროვნული ეკონომიკის სტრატეგიული ამოცანების შესრულებაში საინვესტიციო საქმიანობის გააქტიურება საჭირო, ეს კი სახელმწიფოს ქმედით მონაწილეობას მოითხოვს. სახელმწიფოს მონაწილეობის დონეს დიდად განსაზღვრავს საბაზო მექანიზმების ფორმირების მდგომარეობა. სახელმწიფოს, ბანკებისა და არასაფინანსო ორგანიზაციების მჭიდრო თანამშრომლობა აუცილებელი საერთო ეროვნული ინტერესების მისაღწევად, ამ თანამშრომლობის ეფექტიანობას კი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოს დღევანდელი ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლისათვის. სახელმწიფოს ჩარევის მიმართულებებისა და ხერხების შერჩევა მოითხოვს რეალური და ფინანსური კაპიტალის ურთიერთკავშირის ფორმების შემუშავებას, სამრეწველო-საინვესტიციო კომპანიების დაფინანსების საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლას.

გონივრული ეკონომიკური პოლიტიკის ამოცანა იმაში მდგომარებს, რომ მოიზიდოს მოსახლეობაში გაფანტული კაპიტალი საწარმოო მიზნების სამსახურში. არსებითად ასეთი ეკონომიკური პოლიტიკა მიმართულია ერთის მხრივ, აქციონერთა შორის ინტერესების წინააღმდეგობათა აღმოსაფეხოებად და მეორეს მხრივ კაპიტალების მწარმოებლების – კაპიტალის რეციფინების ინტერესების დასაცავად.

ასე რომ, როგორც პირდაპირი, ასევე პორტფელური ინვესტიციების ეკონომიკური შინაარსი, არსებითად ერთიანია. როგორც ერთი, ისე მეორე წამოადგენს კაპიტალის, როგორც თვითმხარდი ღირებულების მოძრაობას. და მაინც, ერთი განსხვავდება მეორისაგან ინდივიდუალური მიზნებითა და ინტერესებით, პროცეში მონაწილეობა ურთიერთობებით. შესაბამისად, სახელმწიფოს ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ როგორც პირველი, ასევე მეორე შემთხვევაში საზოგადოებამ მთლიანდ მიიღოს მაქსიმალური უკუგება ამ ურთიერთობის ყოველი მონაწილის მოქმედებიდან. უნდა აღინიშნოს, რომ როგორც პირველი ასევე მეორე შემთხვევაში სახელმწიფოს მოქმედების მეთოდები განსხვავებული იქნება.

პირველ შემთხვევაში ინვესტორის წარმატება ბევრადაა დამოკიდებული თვითონ მასზე, საწარმოს განვითარების პროგნოზის დასაბუთებულების წარმატებაზე, მათ ძალისხმევაზე, მიღებული გადაწყვეტილებების სისწორეზე. არანაკლები მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს მიერ მიღებული კანონმდებლობის სისწორეს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ინვესტორის საწარმოს (ბიზნესის) ორგანიზაციასთან და მართვასთან, დაკავშირებული მინიმალური დანახარჯები, ასევე საწარმოს (ბიზნესის) განვითარების პროგნოზირების წინასწარ განსკვრებისა და გონიერი დასაბუთების შესაძლებლობას. მეორეს მხრივ,

სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ის, რომ კაპიტალის ინვესტირებამ არ გამოიწვიოს საზოგადოებრიც ინტერესთა ბალანსის დარღვევა.

მიუხედავად იმისა, რომ საინვესტიციო საქმიანობა, საინვესტიციო პროცესის ოქორიული ასევების კვლევა, პირდაპირი და პორტფელური ინვესტიციების შესწავლის საკითხებზე გამოქვეყნებულია სერიოზული შრომები [1, 2, 3, 4, 7 და ა. შ]. ჩვენი მოსახრებით საქმარისი ყურადღება არა აქვს დათმობილი ინვესტიციების დაგეგმვისა და სახელმწიფო რეგულირების მნიშვნელოვან პრობლემებს, კერძოდ, შემდგომ შესწავლას მოითხოვს პირდაპირი და პორტფელური ინვესტიციების სამართლებრივი რეგულირება, თვით სახელმწიფო ამოცანების დაკონკრეტებას ინვესტიციების რეგულირების კუთხით; ურთიერთდაკავშირებული საინვესტიციო დაგეგმვა, რეალური და ფინანსური ინვესტიციების სახელმწიფო რეგულირების თავისებურებების ახსნა, საინვესტიციო პროცესის, მისი ძირითადი ეტაპების, მონაწილეობისა და მათი ფუნქციების განმსაზღვრელი ფაქტორების ჩამოყალიბება; საინვესტიციო დაგეგმვის არსისა და პერიოდების განსაზღვრა და სხვ.

ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების გადაჭრის აუცილებლიობამ განაპირობა შრომაში შემდეგი მიზნების გადაჭრის აუცილებლობა:

- პირდაპირი და პორტფელური ინვესტიციების სახელმწიფო და სამართლებრივი რეგულირება;
- ინვესტიციების რეგულირებისას სახელმწიფოს ძირითადი ამოცანების გადაჭრის უზრუნველყოფა, რეალური დაფინანსური ინვესტიციების ურთიერთდაკავშირებული გადედმვის განხორციელების კრიტერიუმების შერჩევა;
- საინვესტიციო პროექტების განხორციელებისას საინვესტიციო რისკების ფაქტორების აუცილებლობის დასაბუთება, შესაბამისად საინვესტიციო რისკების ძირითადი სახეების მიმოხილვა საქართველოს საინვესტიციო კლიმატის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ინვესტიციური პროცესის ძირითადი ეტაპების განსაზღვრისათვის.

ინვესტიციის პროცესი საინვესტიციო საქმიანობის განხორციელების ეტაპების, მოქმედებების და ოპერაციების თანმიმდევრობაა. ამ პროცესის კონკრეტული დინება ინვესტირების ობიექტზეა დამოკიდებული. ამის შესაბამისად, ინვესტიციის პროცესის ეტაპების გამოჯვენაც მნიშვნელოვანი და განპირობებული ინვესტირების სახეებით. საუბარია უპირველეს ყოვლისა, რეალურ და ფინანსურ ინვესტიციებზე.

გამოვყოფთ ინვესტიციის პროცესის ორ ძირითად ეტაპს:

1. გადაწყვეტილების მიღება ინვესტირების შესახებ და 2. ინვესტიციების განხორციელებასა და ექსპლუატაციას. მიღებულია პირველი ეტაპის

დაყოფა რამდენიმე დამოუკიდებელ ფაზად (ქვეეტაპად), რომლებიც ახასიათებს როგორც რეალურ, ისე ფინანსურ ინვესტიციებს. ამ ფაზების რაოდენობა სხვადასხვა შეიძლება იყოს, მაგრამ ყველაზე უფრო ტიპიურია სამი: ა) ინვესტირების მიზნების გამოკვეთა; ბ) ინვესტირების მიმართულების განსაზღვრა და გ) ინვესტირების კონკრეტული ობიექტების შერჩევა.

ინვესტირების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში სხვადასხვა მიზნებს განსაზღვრავენ და სახავენ. ამოსავალია ფორმალური მიზნები, რომლებსაც შემდეგ ინვესტიციების შერჩევის კრიტერიუმად იყენებენ. ფორმალური მიზნები ინვესტორის სტრატეგიული მიზანდასახულობიდან გამომდინარეობს.

საინვესტიციო საქმიანობის სტრატეგიული მიმართულებების შემუშავება უკავშირდება როგორც პერსპექტიული პერიოდის კონკრეტულ ეტაპზე ინვესტირების ამა თუ იმ ფორმის თანაფარდობის განსაზღვრას, ისე საინვესტიციო საქმიანობის მიმართულების პროფილის განსაზღვრასაც, მისი დარგობრივი შემაღებელი ნაწილის ჩათვლით. ინვესტორის მიერ ამა თუ იმ ეტაპზე ინვესტირების ფორმების პრიორიტეტულ შერჩევას მოელი რიგი შიდა და გარე ფაქტორები განაპირობებს.

შიდა ფაქტორებიდან უმნიშვნელოვანესია ფუნქციური მიმართულება, ე. ინვესტორის (საწარმოს, ორგანიზაციის) საქმიანობის ძირითადი სახეები. მაგალითად, ინსტიტუციური ინვესტორებისთვის საინვესტიციო საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა ფასიან ქაღალდებში ინვესტირება. ეკონომიკის რეალური სექტორის საწარმოები, რომლებიც საწარმოო საქმიანობას ეწვიან, პრიორიტეტს ანიჭებენ, როგორც წესი, მატერიალური და არამატერიალური აქტივების შეძენაში დაბანდებებს.

ფინანსური ინვესტირება ხორციელდება უპირატესად ან სხვა საწარმოების (როგორც კონკრეტების, ისე პარტნიორების) მართვაში მონაწილეობისთვის წილობრივი ფასიანი ქაღალდების შეძენის ფორმით, ან სპეციალური მიზნებით თავისუფალი ფულადი სახსრების დროებით განთავსების ფორმით.

სხვა შიდა ფაქტორებიდან ინვესტირების მიმართულებათა შერჩევაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საოპერაციო საქმიანობის სტრატეგიული მიმართულება, საწარმოს (ორგანიზაციის) სიდიდე, ინვესტორის სასიცოცხლო ციკლის სტადია და სხვა.

ეკონომიკის რეალური სექტორის საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან ფინანსური ინვესტიციების ზრდა, როგორც წესი, ახასიათებს მსხვილ საწარმოებს, რომელთაც ინვესტიციების დაფინანსების წყაროების პოვნის მეტი შესაძლებლობები აქვთ, და იმ საწარმოებს, რომლებიც „სიმწიფის“ სტადიაზე იმყოფებიან. ადრეულ სტადიობზე ინვესტირების უფრო გავრცელებული ფორმაა მატერიალურ და არამატერიალურ

აქტივებში დაბანდებები.

იმ გარე ფაქტორებს შორის, რომლებიც ინვესტირების ფორმების შერჩევაზე ახდენენ არსებით გავლენას, ყველაზე მნიშვნელოვანია ინფლაციის ტემპები და ფინანსურ ბაზარზე ჩამოყალიბებული საპროცენტო განაკვეთი.

ფორმალურ მიზნებს შეიძლება მივაღუთვნოთ მოგების გადიდება, წარმოების (საქმიანობის) მასშტაბების გაფართოება, ძალაუფლებისა და საზოგადოებაში პრესტიჟის მოპოვება; ასევე, სოციალურ-ეკოლოგიური ამოცანების გადაჭრა, სამუშაო ადგილების შენარჩუნება ან გადიდება და ა.შ.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს მიზნები ხშირად მქაფიოდ არაა განსაზღვრული, კორდინირებული არაა პრიორიტეტულობის მიხედვით ან შემოწმებული არ არის მათი რეალიზაციის შესაძლებლობის საგანზე. ამიტომ, საჭიროა ფორმალური მიზნებიდან გამოვავთოთ ინვესტირების რეალური მიზნები კონკრეტული მიზნობრივი მაჩვენებლების დადგენით. მაგალითად, ფორმალური მიზანი – მოგების ზრდა – უნდა დაკონკრეტდეს მთელ რიგ ისეთ მაჩვენებლებად, რომელთათვისაც შესაძლებელი იქნება მათი მიღწევის ხარისხის განსაზღვრა. კერძოდ, ეს შეიძლება იყოს მოგების საშუალო სიდიდე რამდენიმე წლისთვის, ან წმინდა მოგების მაჩვენებელი, ან ის სხვა მაჩვენებლები, რომლებიც ინვესტირებიდან მიღებულ მოგებას ახასიათებენ.

ინვესტირების ფორმალური მიზნები ამარტივებს ინვესტირების მიმართულებათა განსაზღვრის ამოცანების გადაწყვეტას. მათ შორის შეიძლება იყოს როგორც ურთიერთდაკავშირებული ინვესტიციები, ისე დამოუკიდებელი და ალტერნატიული (ურთიერთგამომრიცხავი) ინვესტიციებიც.

საინვესტიციო პორტფელის ჩამოყალიბებასთან მიმართებაში, ინვესტიციის პროცესი მნიშვნელოვნად მარტივდება მისი ეტაპების შემცირების ხარჯზე. ამ პროცედურისადმი მიღვნილ საზღვარგარეთულ ლიტერატურაში მიღებულია ინვესტიციის პროცესის შემდეგი ეტაპების გამოყოფა:

1. საინვესტიციო პოლიტიკის შერჩევა;
2. ინვესტიციების ბაზრის ანალიზი;
3. ფასიანი ქაღალდების პორტფელის გადასინჯვა;
4. ინვესტირების ეფექტიანობის შეფასება [1. გვ., 3-4].

პირველ ეტაპზე განისაზღვრება ინვესტირების მიზნები და მისი რეალიზაციისთვის საჭირო სახსრების მოცულობა, აგრეთვე, რისკისა და შემოსავლიანობის ხარისხი ყონანსური ინსტრუმენტისათვის. ეს ეტაპი სრულდება პოტენციური სახის იმ ფინანსური აქტივების შერჩევით, რომლებიც პორტფელში შეიძლება იყოს შეტანილი.

მეორე ეტაპზე ზუსტდება ცალკეული სახის ფასიანი ქაღალდის საკურსო ლიტებულება

მოცემული მომენტისთვის ჩამოყალიბებული საბაზრო კონიუნქტურის საფუძველზე და დგინდება კონკრეტული ფირმის აქციების კურსების დინამიკის პროგნოზი. ამ მიღვომას ტექნიკურ ანალიზს უწოდებენ. მიღებული მონაცემების საფუძველზე შემდგებ ტარდება ფუნდამენტური ანალიზი. მისი არსია ყველა იმ ნაღდი ფულადი ნაკადის დაყვანილი ღირებულების გაანალიზება, რომელთა მიღებასაც მომავალში აპირებს ფინანსური აქტივების მფლობელი.

ინვესტიციის პროცესის მესამე ეტაპი გულისხმობს ინვესტირებისთვის კონკრეტული აქტივების შერჩევას, აგრეთვე, აქტივების შორის ოპტიმალური პროპორციების განსაზღვრას საინვესტიციო კაპიტალის ფარგლებში. ამის საფუძველია სელექციურობა, ოპერაციების დროის შერჩევა და რისკის დივერსიფიკაცია მთელი პორტფელის მიხედვით.

მეოთხე ეტაპი მოიცავს მიმდინარე პორტფელის პერიოდულ შეფასებას ინვესტორის მიზნების ცვლილებასთან და ოპტიმალური პორტფელიდან მის გადახრასთან მიმართებით. ამის შემდეგ შესაძლებელია აღრე შეძენილი ფასიანი ქაღალდების ნაწილის გაყიდვა და ახლის ყიდვა.

საბოლოო ეტაპზე სწარმოებს ფაქტიური შემოსავლიანობის და რისკის დონის პერიოდულ შეფასება და მათი შედარება არსებულ სტანდარტებთან [2. გვ., 12].

ინვესტიციის პროცესის ძირითადი მონაწილეების წრეს ეკუთვნის: სახელმწიფო, ხელისუფლების რეგიონული და ადგილობრივი ორგანოები, საწარმოები და ფიზიკური პირები: მათ შეუძლიათ ინვესტიციის პროცესში მონაწილეობა მოთხოვნისა და მიწოდების მხრივ.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ინვესტიციის პროცესში მონაწილეობა წრე მნიშვნელოვნადაა გაფართოებული. განსაზღვრული ბაზების, საკრედიტო-კომერციული ორგანიზაციების, საინვესტიციო ფონდებისა თუ კომპანიების და სადაზღვევო კომპანიების ქაღალდების დამოუკიდებლად იღებენ ინვესტიციურ გადაწყვეტილებებს. და მათი, ინვესტიციის პროცესში მათ მონაწილეობას განსაზღვრავენ სახელმწიფო და ხელისუფლების რეგიონული და ადგილობრივი ორგანოები, რაც გამოიხატება საინვესტიციო კონკურსების ჩატარებით, საინვესტიციო პროექტების შერჩევითა და დამტკიცებით, პროდუქციის გამოშვების ლიცენზირებითა და კოტირებით, საპროცენტო განაკვეთისა და დაბეგვრის სიდიდის განსაზღვრით. სახელმწიფოს, რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების საფინანსო საქმიანობა როგორც მოთხოვნის, ისე მიწოდების მხრივ არსებით გაფლენის ახდენს საფინანსო ინსტიტუტებისა და ფინანსური ბაზრის ქცევაზე.

ფინანსურ ბაზარზე ფულის ძირითადი მიწოდებელი მოსახლეობაა, რადგან იგი გაცილებით მეტს აძლევს ინვესტიციის პროცესს, ვიდრე იღებს. ცხადია, ამას ვერ ვიტყვით აღმას-

რულებელი ხელისუფლების ორგანოებსა და საწარმოებზე.

უცხოელი მეცნიერების უ.შარპის, გ.ალექსანდრისა და გ.ბეილის გამოკვლევები გვიჩვენებს,

რომ მთლიანობაში სახელმწიფო და საწარმოები ფულადი სახსრების წმინდა მომხმარებლები არიან, ე.ი. მეტ სახსრებს მოიხმარენ, ვიდრე გასცემებს [4. გვ., 10]. კერძოდ, მრავალ მსხვილ კომპანიას თავიანთი გრძელვადიანი მიზნების რეალიზაციისათვის უზარმაზარი თანხები სჭირდება ქარხნების ასაშენებლად, მოწყობილობების შესაძენად, ახალი პროდუქტების შესამუშავებლად და ა.შ. გარდა ამისა, ნადირ ფულის მასის მართვის აქტიური და რთული სტრატეგიის განხორციელებით ისინი ფასიანი ქაღალდების მთავარ მყიდველებად გვევლინებიან. ამგვარი ვითარება იქმნება სახელმწიფოს, ხელისუფლების რეგიონული და ადგილობრივი ორგანოების მხარეზეც, რომელთა საქმიანობა უკავშირდება კაპიტალურ დაბანდებებსა და მიმდინარე ხარჯების უზრუნველყოფას.

აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები ფულადი სახსრების უქმარისობას ივხებენ სავალო ვალდებულებებისა და ობლიგაციების, კომპანიები კი – აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების გამოშვებით.

საინვესტიციო პროექტის მონაწილეობა შემადგენლობას და მათ მიერ შესასრულებელ ფუნქციებს შემდეგი ფაქტორები განსაზღვრავს:

- საინვესტიციო პროექტის სპეციფიკა, მისი მასშტაბები, ტექნოლოგიური სირთულე და ა.შ.;
- საინვესტიციო პროექტის მონაწილეობა მიერ ფუნქციების შეთავსება პროექტის რეალიზების დროს;
- დამკვეთის ფინანსური მდგომარეობა, რომელიც ამცირებს ან ადიდებს საფინანსო სტრუქტურების მოზიდვას საინვესტიციო პროექტის რეალიზებაში;
- დამკვეთის უზრუნველყოფა საეუთარი მატერიალური რესურსებით, სამშენებლო მასალებით, ტექნიკით, მოწყობილობათა და ა.შ.;

- საინვესტიციო პროექტის მართვის ტიპის შერჩევით (ტრადიციული თუ პროგრესული).
საინვესტიციო პროექტის ტრადიციული ტიპით მართვისას გამოყოფენ მის შემდეგ ძირითად მონაწილეებს: სპონსორებს, მენარღეს, მოწყობილობის მიმწოდებელს, დაზღვევის კონსულტანტებს, იურისკონსულტებს, გადასახადებისა და ფინანსების დარგის კონსულტანტებს, კრედიტორებს და სხვა.

უფრო დაწვრილებით განვიხილოთ ისინი. ფართო გაგებით, სპონსორი არის თავდები, გარანტი; ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც აფინანსებს ეკონომიკურ პროექტსა თუ სოციალურ დონისძიებათა გატარებას. აგრეთვე, დამკვეთი, მსხვილი პროექტის ორგანიზატორი ან მოწყობი სპონსორი შეიძლება იყოს როგორც კომერციული, ისე არაკომერციული სტრუქტურა.

რაც შექება სპონსორს, როგორც ინვეს-

ტიციის პროცესის მონაწილეს, იგი შეიძლება ვუწოდოთ დამკვეთს, ორგანიზატორს, რომელიც ერთმანეთთან აკაგზირებს პროექტის ყველა მონაწილის საქმიანობას, ეწევა მოლაპარაკებებს, აანალიზებს მომწოდებლების, საფინანსო სტრუქტურების მენარდეთა კომერციულ წინადაღებს, ახორციელებს მარკეტინგულ კვლევებს და ფინანსური პარტნიორის შერჩევას. ცალკეულ შემთხვევაში იგი თავისთავზე იღებს სამშენებლო ინჟინერინგის ისეთი ფუნქციების შესრულებას, როგორიცაა: საინინირო-კონსალტინგური მომსახურება, საპროექტო-საკონსტრუქტორო და ანალიტიკურ-განვითარებითი სამუშაოები, პროექტების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების მომზადება, წარმოების ორგანიზაციისა და მართვის, პროდუქციის რეალიზაციის სფეროში რეკომენდაციების შემუშავება. ეს ამცირებს ინვესტიციის პროცესის მონაწილეობა რაოდენობას. მენარღის, ე.ი სამუშაოთა შემსრულებლის როლს ასრულებენ საპროექტო-სამშენებლო და სამშენებლო ორგანიზაციები ან ინდივიდები. მენარღეს შეუძლია შეკვეთის შესრულებაში ჩართოს სხვა პირები, რომლებიც სუბმორიზარები ხდებიან, თვითონ მენარღე კი გენერალური მოიჯარე ხდება. იგი სამშენებლო იჯარის ხელშეკრულების მთავარ შემსრულებლად გვევლინება და მთლიანად პასუხისმგებელი დამკვეთის წინაშე სამუშაოთა იმ მთელი კომპლექსის შესრულებაზე, რომელიც ხელშეკრულებითა დადგენილი.

მოწყობილობის მიმწოდებელი არის ფილიალები, შვილობილი კომპანიები თუ ის სხვა ფირმები, რომლებსაც ხელი აქვთ მოწყობილი მოწყობილობის მიწოდებასა და მომსახურების გაწევაზე. თუკი საწარმო ხელშეკრულებას აფორმებს დამკვეთონ მრავალი ფირმისათვის მასალების, სამშენებლო ტექნიკის და მოწყობილობის კომპლექსურად მიწოდებაზე, მაშინ იგი გენერალური მიმწოდებელი ხდება და მთელ მიწოდებაზე აგებს პასუხს.

დაზღვევის კონსულტანტს იწვევენ დასაზღვევი რისკის გამოსავლენად და სადაზღვეო დაფარვის მეშვეობით პროექტის დაცულობის ხარისხის შესაფასებლად, აგრეთვე, შესაბამისი რეკომენდაციების შესამუშავებლად. იურისკონსულტი ახორციელებს პროექტის გარშემო იურიდიული დოკუმენტაციის მომზადებას, განიხილავს მთლიანად შეთანხმებებსა და კონტრაქტებს.

საგადასახადო საკითხთა დარგის კონსულტანტი აანალიზებს პროექტის სარეალიზაციოდ ქვეყანაში არსებულ საგადასახადო სიტუაციას და ყველა მონაწილის საგადასახადო ვალდებულებებს, ადგენს რეკომენდაციებს გადასახადების მინიმიზაციისათვის.

საფინანსო კონსულტანტი ალტერნატიული ვარიანტების შეჯერების მეშვეობით უზრუნველყოფს ოპტიმალურ საფინანსო, საკრედიტო და საანგარიშებულებურ პირობების შერჩევას პროექტის რეალიზაციისთვის. პროექტში უცხოე

ლი ინვესტორების მოწვევის შემთხვევაში მან იგი უნდა მოიყვანოს არსებულ საერთაშორისო სტანდართებთან შესაბამისობაში, რაც დიდად ამსუბუქებს პოტენციური ინვესტორებისა და კრედიტორების მდგრადი მიზანს.

კრედიტორები, როგორც ინვესტიციის პროცესის მონაწილეები, ფულს სესხად იძლევიან გარკვეული ვადითა და გარკვეული პირობებით. ამ საფუძველზე მათ უფლება აქვთ კრედიტის დაბრუნება ან სხვა რაიმე ვალდებულების შესრულება მოთხოვონ დებიტორს. კრედიტორი შეიძლება იყოს სახელმწიფო, ბანკი, საწარმო ან ფიზიკური პირი, საინვესტიციო ფონდები და სხვა.

ინვესტიციის პროექტის მართვის ტრადიციულ ფორმას, რომლის დროსაც დამკვეთი თვითონ ახორციელებს მართვის ფუნქციებს, გარკვეული ნაკლოვანებები აქვს. ჯერ ერთი, დამკვეთების უმრავლესობა არასაკმარისად კომპეტენტურია პროექტის რეალიზაციასთან დაკავშირებულ ყველა საკითხში. ეს აძლიერებს რისკის დონეს მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების დროს, რაც გარდაუვალ დანაკარგებს იწვევს. მეორე, გამოცდილება გვიჩვენებს, რომ წარმატებით მართვა მოთხოვს ხელმძღვანელის სისტემატურ მონაწილეობას ინვესტიციის პროცესში, ამას კი დამკვეთი ყოველთვის ვერ ახერხებს. მესამე, პროექტის მართვის ამ ფორმას ახასიათებს ფაზებისა და ეტაპების შედარებითი დაქსაქსულობა როგორც დროში, ისე ორგანიზაციულად, რაც დამატებით სინქელებებს ქმნის მისი ყველა მონაწილის მოქმედებათა შეთანხმებულობის უზრუნველყოფაში.

აღნიშნულ ნაკლოვანებათა დაძლევა ხდება საინვესტიციო პროექტის მართვის პროგრესულ ფორმაზე გადასვლისას. მისი არსი ისაა, რომ საინვესტიციო საქმიანობის ორგანიზაციასა და მართვაში მთავარი ფიგურა ხდება პროექტის მმართველი (მენეჯერი). ეს შესაძლოა იყოს სამშენებლო ან სამშენებლო-საპროექტო ორგანიზაციის საგანგებოდ მომზადებული მაღალკალიფიციური სპეციალისტი ან გამოცდილი ხელმძღვანელი. იგი ახორციელებს პროექტის საერთო ხელმძღვანელობას, რაშიც შედის ფინანსების მართვა, პერსონალის მართვა და სამშენებლო წარმოების მართვა.

2. ინვესტიციების ობიექტების შერჩევა და დაგეგმვა.

ინვესტიციის პროცესის პირველი ეტაპის დამაგირგვინებელი ფაზაა ინვესტირების კონკრეტული ობიექტების შერჩევა, რაც ინვესტიციების დაგეგმვის პროცესში ხორციელდება. ინვესტიციების დაგეგმვის პროცესს, როგორც წესი, უწოდებენ პროექტების ისეთი პორტფელის (საინვესტიციო პროგრამის) ფორმირების პროცესს, რომელიც შეიძლება განხილულ იქნეს ინვესტირების მიზნების მიღწევის ერთ-ერთ აღტერნატიულ და ყველაზე უფრო სასურველ გარიანტად [7. გვ., 57]. ინვესტიციების დაგეგ-

მვას უპირატესად ახდენენ მათემატიკური მოდელების გამოყენებით, რომლებსაც სრულად არ შეუძლიათ ასახონ საინვესტიციო საქმიანობის ყველა ფაქტორი. ამიტომ მოდელირების შედეგები არ უზრუნველყოფს ისეთი აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილებების მიღებას, რომლებიც დასახული მიზნების მიღწევის გარანტია იქნება. ინვესტირების იმ კონკრეტული ობიექტების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას, რომლებიც საწარმოს საინვესტიციო პროგრამაში უნდა იქნეს შეტანილი, საწარმოს ხელმძღვანელობა ახდენს დაგეგმვის შედეგებზე დაფრთხობით და საინვესტიციო საქმიანობის სხვა არაფორმალიზებული ფაქტორების გათვალისწინებით.

ინვესტიციურ მოდელს უწოდებენ ისეთ მათემატიკურ მოდელს, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ინვესტიციების ეფექტიანობისა და შედეგიანობის შეფასება, როგორც დასახული მიზნის მიმართ, ისე მისი მიღწევისათვის საჭირო სახსრების მიმართ [7. გვ., 60].

